დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2022 წლის 17 - 23 ოქტომბერი
N 43 1455
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# თბილისს არ ჰყავს ნაცხროვის გადასაყენებელი მერი!

## უნდა შედგეს «მარიტას სია!»




ყვანიას საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ კობა ხარშილაძე ასევე საეჭვოდ გახდა მაღალშემოსავლიანი ბიზნესის მეწილე!




ტენდერებს ფინანსები და ფინაცებები არ უნდა იგებდნენ!

## გაზის სექტორიდან დენის ვექტორამდე

**ჯონდი ბაღათურია:**

ამერიკის ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები პირდაპირ უბიძგებენ რუსეთს, რომ ევროპაში ბირთვული იარაღი გამოიყენოს! 6



## მებარკლე ფადიასლის მრისხანე დირექტივა



ყველამ თავის ლიბანს მიხედოს! 11

**მიხეილ ცაგარელი:**

მეათასედ ვამბობ და კარგად დაიხსომეთ – 8



ვიდრე ნაცებს არ მოვიშორებთ, ეს ქვეყანა ვერ დაწყნარდება!

## ვალერი გამოძახებით



ვაფრთხილებთ გიული ალასანიასა და გიორგი ჩალაძეს! 13



ვალერი გელბახიანი ვის კარზეც მოურავად ან მეთულუხჩედ დადგა, ზოგი ქვეყნიდან გააქცია, ზოგი მიწაში ჩააწვინა, ხოლო ზოგი დააწვინა!

**თამთა მეგრელიშვილი:**



სამარცხვინოა, რომ შავბნელი და ამორალური წარსულის მქონე ზაზა ოქუაშვილი ივანიშვილისათვის თავის გატოლებას და მასთან დაპირისპირებას ბედავს! 14

„— მოკლედ, ეხლა უნდა დავსახოთ ახალი სტრატეგია... აქედან რომ გახვალ, მოძებნი გელბახიანს. მაგას ეტყვი, გადავიდეს ხაჭაპურიძეებში და ილაპარაკოს...“ 12



## სიკვდილა

## ღია წერილივით ნინო ნადირაძე-კუზანოვას

# უნდა შედგეს «მარიტას

***ჩვენ ვიცით ნიკო ლორთქიფანიძის მიერ ზუსტად 100 წლის წინათ — 1922 წელს შექმნილი სულისშემძვრელი შედევრი „ტრაგედია უგმიროთ“ და ახლა უკვე ვიცით 2022 წელს ვაკის პარკში დატრიალებული სულისშემძვრელი ტრაგედია, რომელსაც თავისი გმირები და ანტიგმირები ჰყავს.***

13 ოქტომბერს ვაკის პარკში დატრიალებული **ტრაგედიის უპირველესი გმირი ამავე ტრაგედიის მსხვერპლი მარიტა მეფარიშვილი გახლავთ** — 13 წლის გოგონა, რომელიც შადრევანში ჩახტა მაშინვე, როგორც კი დაინახა, რომ მის ორ მეგობარს შველა სჭირდებოდა. მარიტა დენის დარტყმით დაიღუპა, მისი მეგობრები გადარჩნენ.

ვაკის პარკში დატრიალებული **ტრაგედიის გმირია** თბილისის მერიისადმი რწმუნებული შპს-ის „ეკოსერვის ჯგუფის“ თანამშრომელი, **მებაღე დავით (დევი) მეზურნიშვილი,** რომელიც შადრევანში ბავშვების გადასარჩენად ჩავიდა და სამიდან ორი მოზარდის გადარჩენა შეძლო.

რაც შეეხება ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის **ანტიგმირებს,** ისინი ორ კატეგორიად იყოფიან — **პერსონალურ და კოლექტიურ ანტიგმირებად!**

**პერსონალური ანტიგმირების** ვინაობა ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, რადგან გამოძიება არ დასრულებულა, ყველა ექსპერტიზის დასკვნა არ დადებულა და არ თქმულა, რის გამო და ვის გამო, კონკრეტულად რა მიზეზითა და კონკრეტულად ვისი ბრალეულობით დატრიალდა ტრაგედია.

ცხადია, ამ ტრაგედიას აუცილებლად ეყოლება **კონკრეტული დამნაშავეები,** რომლებიც კანონის წინაშე აგებენ პასუხს სამსახურებრივი გულგრილობის, დაუდევრობის ან სულაც საბოტაჟის მუხლით, რადგან **გამორიცხული არ არის, რომ ის, რაც 13 ოქტომბერს ვაკის პარკში მოხდა, ვილაცის განიზნული ბოროტმოქმედება იყოს.**

ერთადერთი, რაც ამ ეტაპზე ზუსტად არის ცნობილი — ვაკის პარკში შადრევნის სარეკონსტრუქციო სამუშაოები თბილისის მერიის კონტრაქტორმა კომპანია **„გრინსერვის პლუსმა“** შეასრულა, რომლის შეფებიც **სააკაშვილის რეჟიმთან დაკავშირებული პერსონები** არიან და, რომლებიც დღევანდელი ხელისუფლების მიერ ერთხელ უკვე იყვნენ მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მუხლით. **საუბარია „გრინსერვისის“ დამფუძნებლებსა და მეწილეებზე — ლაშა ფურცხვანიძესა და კობა ხარშილაძეზე,** რომელთაგანაც პირველი ნაციონალების მმართველობისა და თბილისში **გიგი უგულავას** ზეობის დროს **ძველი თბილისის რაიონის გამგებელი** იყო, ხოლო მეორე მისი მოადგილე გახლდათ.

აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ **„გრინსერვისის“ დღევანდელი მეწილე კობა ხარშილაძე ზურაბ ჟვანიას დაცვის უფროსი იყო და პრემიერ-მინისტრის ბურუსით მოცულ გარდაცვალებაში მისი როლის შესახებ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს.** ამ თემაზე ჩვენი ჟურნალისტის — **ქეთევან ხამიცაშვილის** წერილი „ასავალ-დასავალის“ ამავე ნომერში შეგიძლიათ, წაიკითხოთ.

მოკლედ, **სანამ გამოძიება თავის სათქმელს იტყვის, ისღა დაგვრჩენია, საზოგადოებასაც და ხელისუფლებასაც ერთი იდეა შევთავაზოთ:** როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირში არსებობს **„მაგნიტსკის სია“,** როგორც საქართველოში არსებობს **„ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია“,** სწორედ ასე უნდა შეიქმნას **„მარიტა მეფარიშვილის სია“.**

მოგეხსენებათ, **„მაგნიტსკის სიაში“,** რომელიც რუსეთის ციხეში საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი ადვოკატის **სერგეი მაგნიტსკის** სახელობისაა, აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს რუსეთის ის მოქალაქეები შეჰყავთ, რომლებიც სხვადასხვა სახის მძიმე დანაშაულში არიან მხილებული. რაც შეეხება საქართველოს მიერ დამტკიცებულ **„ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიას“,** რომელიც ოკუპირებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სეპარატისტული რეჟიმების მიერ მოკლული **გიგა ოთხოზორიასა და არჩილ ტატუნაშვილის** სახელებს უკავშირდება, მასში იმ პირების შეყვანა ხდება, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეების მიმართ დანაშაულს ჩაიდენენ.

**სწორედ ამ პრინციპით უნდა შეიქმნას 2022 წლის 13 ოქტომბერს ვაკის პარკში შადრევნის გაუმართაობის გამო დენის დარტყმით დაღუპული მარიტა მეფარიშვილის სახელობის სია და მასში შეტანილი იქნას ყველა ის კომპანია, რომელიც თუნდაც ერთხელ მაინც იყო მხილებული სატენდერო პირობების დარღვევაში, ნაკისრი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულებაში, ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულის გაფლანგვასა და სხვა**

## სამუდამოდ აეკრძალოთ ტენდერებში მონაწილეობა!



კახა კალაძე მარიტა მეფარიშვილის დაკრძალვაზე

## კვირგვინოსანი მსხვილი პლანით



**დევი მეზურნიშვილი**

*ბავშვების გადასარჩენად შადრევანში შესული „ეკოსერვის ჯგუფის“ თანამშრომელი*

შემთხვევის ადგილზე იმ დროს მივედი, ბავშვები უგონო მდგომარეობაში აუზში ჩაძირულები რომ იყვნენ. ყვირილის ხმა გავიგე, ხალხი შველას ითხოვდა — ჩქარა, ბავშვები ვერ გამოდიან წყლიდანო! ზოგი ყვიროდა — ბავშვები დაიხოცნენო! **ვერავინ ბედავდა ჩასვლას. ეგრევე ჩავხტი წყალში, რას წარმოვიდგენდი, დენის ამბავი თუ იყო.** მერე კი მივხვდი, რაშიც იყო საქმე... რაც უფრო ახლოს მივდიოდი, დენის დარტყმა უფრო ძლიერდებოდა, მაინც შევძელი დენის ატანა და ორი ბავშვის გამოყვანა. მაინც გავრისკე, აბა, რა უნდა მექნა, შეიძლება, იქ ჩემი შვილიც ყოფილიყო... ძლივს გადავრჩი, ისეთი ძაბვა იყო. გოგონას ამოყვანა შადრევნის გათიშვამდე შეუძლებელი გახდა, რადგან ის შორს, შადრევნის ცენტრალურ ნაწილში იყო და დენი არ მიშვებდა იქამდე. როცა ამოვიყვანე, არცერთი არ იყო კონტაქტური, ერთი ბიჭი ოდნავ რეაგირებდა, თავს აქნევდა და გამოყვანის შემდეგ მალევე გამოვიდა მდგომარეობიდან. მეორე არ სუნთქავდა... **ბავშვების გამოყვანის მერე ბევრჯერ ვიტირე, ახლაც მეტირება, ეს რომ მახსენდება. ჩემმა შვილებმაც ტირილით დამირეკეს, იმ დაღუპულ გოგონას ტიროდნენ — ნეტავ, ეგეც გადარჩენილიყოო.** ალბათ, ჩემი თვალებიდან არც არასდროს ამოვა იმ ბავშვების სახეები, მთელი ცხოვრება გამყვება, მითუმეტეს ანგელოზივით მარიტასი!

თვითონ სამი შვილის მამა ვარ, პატარა ბიჭი 17 წლის მყავს, გოგონები — 28 და 29 წლისანი. წინანდალში დავიბადე და თბილისში ვცხოვრობ. 5 წელია, ვაკის პარკში ვმუშაობ, მანამდე დასუფთავების სამსახურში ვიყავი — „თბილსერვის ჯგუფში“. მას მერე, რაც „ეკოსერვისი“ შეიქმნა, აქ გადმოვედი და ამჟამად უფროსი მებაღე ვარ...

„ამბები.ჯი“

## საქართველოს დედაქალაქს ნაცხროვის გადასაყენებელი მერი არ ჰყავს!

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**

*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ჩვენი **მთავარი საზრუნავი** ამ ქვეყნის მკვიდრი ყველა მოქალაქის **მშვიდობა და უსაფრთხოებაა.**

„იმედინიუსი“

**ილია მეორე**

*საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი*



**სინამდვილეში სიკვდილი არ არსებობს, რადგან გარდაცვალება არის დასაწყისი ახალი, მარადიული, ჭეშმარიტი ცხოვრებისა, რომელიც მხოლოდ დროებით განგვაშორებს ახლობლებს; მთავარია, ჩვენ შევძლოთ ღვთის გზით სვლა.**

„ამბები.ჯი“

# სია»!



უკანონობაში, რასაც ადამიანური მსხვერპლი მოჰყვა ან რის გამოც საზოგადოებასა და სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა.

**„მარიტას სიაში“ შეტანილ კომპანიებს სამუდამოდ უნდა აეკრძალოთ სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობა!**

თუ **„მარიტას სიაში“** შეტანილი კომპანიის რომელიმე დამფუძნებელი სანქციის გვერდის ასავლელად და სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად ახალ კომპანიას დააფუძნებს, ის კომპანიაც ავტომატურად უნდა მოხვდეს **„მარიტას სიაში“!**

ვფიქრობთ, **ეს მექანიზმი ძირფესვიანად თუ ვერ აღმოფხვრის, მნიშვნელოვნად მაინც შეზღუდავს სახელმწიფო ტენდერებში უპასუხისმგებლო და არაპროფესიონალი, მხოლოდ ბიუჯეტის ფულების ქაფვაზე ორიენტირებული და სხვათა უსაფრთხოებისა და სიცოცხლის ფეხებზე დამკიდებელი სუბიექტების მონაწილეობას და, მით უფრო, გამარჯვებას!**

ძველად თბილისში მდარე ხელოსნებს, ანუ არაპროფესიონალებსა და საქმის უცოდინარებს **ფინაჩებს** ეძახდნენ, დღევანდელ თბილისსა და საქართველოში კი ძალიან ბევრი **ფინაჩი** ბიზნესმენობას იჩემებს, სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობს და ხშირად იგებს კიდეც, რასაც შემდეგ სავალალო შედეგები, მათ შორის, უმძიმესი ტრაგედიები მოჰყვება ხოლმე!

ყველა ასეთი **ფინაჩი** „მარიტას სიაში“ უნდა მოხვდეს!

**ფინაჩები** სახელმწიფო ტენდერებს ვერ უნდა იგებდნენ!

სახელმწიფო ტენდერებს ვერ უნდა იგებდნენ ვერც ფი**ნაცებ**ი, ანუ **ფინაჩი ნაცები,** რომელთა კრებსით სახესაც დღეს **ფურცხვანიძე და ხარშილაძე** წარმოადგენენ!

ისე კი, **რა წყევლაა საქართველოს თავს, რომ ლამის ყველა უბედური შემთხვევის, ტრაგედიისა და სიკვდილის კვალი, პირდაპირ თუ ირიბად, ბოლოს მაინც ნაცხროვასთან მიდის?!**

## ბოლოთქმა

როცა ზემოთ ვთქვით, რომ ვაკის პარკში დატრიალებულ ტრაგედიას **კოლექტიური ანტიგმირები** ჰყავს, პირველ რიგში, **ნაცსექტას** ვგულისხმობდით, რომელიც მუდმივად ცდილობს, ყველა ადამიანური ტრაგედია თავისი ბინძური პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენოს!

**ნაცსექტა პოლიტიკური სარგებლის ნახვას ცდილობდა დათუნა სარალიძის სიკვდილით, თემირლან მაჩალიკაშვილის სიკვდილით, გიორგი შაქარაშვილის სიკვდილით, თამარ ბაჩალიაშვილის სიკვდილით და ახლა მარიტა მეფარიშვილის სიკვდილითაც იმავეს ცდილობს!**

ნაცსექტას სურს, ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედია თბილისის მერის **კახა კალაძის** პოლიტიკურ განაჩენად აქციოს და თანამდებობიდან მის გადადგომას ითხოვს, მაგრამ **საქართველოს დედაქალაქს სისხლიანი ნაცხროვის, მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი ნაცბანდის გადასაყენებელი მერი არ ჰყავს!**

*ჯაბა ხუბუა*

# ტენდერებს ფინაჩები და ფინაცები არ უნდა იგებდნენ!

*12 ოქტომბერს ვაკის პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების ფონზე კომპანია „გრინსერვისის“ მეწილის კობა ხარშილაძის გამოჩენამ 17 წლის წინანდელი ტრაგედია გაგვახსენა, როდესაც ჯერ კიდევ სახელმწიფო დაცვის სამსახურში მუშაობის დროს მას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია გაზით გაეგუდა. სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით გასამართლებული დაცვის უფროსი წლისა და 9 თვის შემდეგ პატიმრობიდან კი გათავისუფლდა, მაგრამ „გაზის სექტორთან“ ასოცირება დღემდე ვერ ჩამოირეცხა და ახლა ვაკის პარკში დენის დარტყმის შედეგად 13 წლის გოგონას გარდაცვალებაც მის სახელს დაუკავშირდა.*



**ახლო წარსულში პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაცვის უფროსი, დღეს კი კომპანია „გრინსერვისის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მეწილე კობა ხარშილაძე**

**პრემიერის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ კობა ხარშილაძე ასევე საეჭვოდ გახდა მაღალშემოსავლიანი ბიზნესის მეწილე!**

# გაზის სექტორიდან დენის ვექტორამდე

კომპანია „გრინსერვისი“ ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ მაშინ მოექცა, როდესაც მისი ხელმძღვანელები **ლაშა ფურცხვანიძე და კობა ხარშილაძე** უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზებაში დაადანაშაულეს. **ლაშა ფურცხვანიძე 400-ათასლარიანი გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს, ხოლო ხარშილაძე ამ საქმესა და კიდევ ჟვანიას საქმეზე პატიმრობაში დატოვეს.** პრემიერის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ კობა ხარშილაძე ასევე საეჭვოდ გახდა მაღალშემოსავლიანი ბიზნესის მეწილე. თუმცა, ფართო საზოგადოებამ იგი გაიცნო არა როგორც **ლანდშაფტის დიზაინერი,** არამედ ის პირი, რომელიც სასამართლო პროცესებზე ოსტატურად ნიღბავდა პრემიერის გარდაცვალების დეტალებს, ადგილს უცვლიდა პრემიერთან ერთად გარდაცვლილი 26 წლის **რაულ უსუპოვის ცხედარს,** ახდენდა შემთხვევის ადგილის ფალსიფიკაციას, ძარცვავდა სახელმწიფო კანცელარიაში არსებულ პრემიერის სეიფს და პროცესებზე დამსწრეებს არწმუნებდა — ზურაბ ჟვანია არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისა იყოო. **ჟვანიას გარდაცვალების კვალდაკვალ, 2005 წლიდან, საქართველოს პოლიტიკური ვექტორის შეტრიალებაც სწორედ ხარშილაძის „გაზის სექტორით“ დაიწყო, როდესაც მთელი ძალაუფლება ხელში აიღო მიხეილ სააკაშვილმა და პრეზიდენტობასთან ერთად პრემიერ-მინისტრობაც შეითავსა!**



**კომპანია „გრინსერვისის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მეწილე ლაშა ფურცხვანიძე**

17 წლის შემდეგ, როდესაც სააკაშვილი და მისი ნაცხროვა ყველა მეთოდით ცდილობს ერთპიროვნული მმართველობის დაბრუნებას, ვაკის პარკში მომხდარ ტრაგედიაზე ასეთი მოსაზრებაც გამოითქვა, **ვიღაცამ მიზანმიმართულად ხომ არ მოახდინა წყალში „დენის გაჟონვა“, შემდეგ კახი კალაძისა და მთელი მთავრობის გადადგომის მოთხოვნით ნაცმოძრაობა გარეთ რომ გამო-**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**ნიკო ლეკიშვილი**
*თბილისის ყოფილი მერი*



ტრაგედია მოხდა, საშინელებაა პატარა გოგოს დაღუპვა. საერთოდ, ადრე უფრო დიდი უბედურებაც მომხდარა თბილისში და საქართველოში. **გაზის აფეთქების გამო თბილისში მრავალსართულიანი სახლი დაინგრა და 30 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის, ბავშვები... მთაწმინდის საბაგირო გაწყდა და 17 ბავშვი და პედაგოგი დაიღუპა... თბილისის ზღვაზე იალქნიანი ნავი კაბელს გამოედო და 3 ბიჭი დენით დაიღუპა... შახტებში დაიღუპა ბევრი ადამიანი, ჭიათურაშიც და ტყიბულშიც...**

დააპატიმრეს ბევრი ხელმძღვანელი, ბევრი თანამდებობებიდან მოიხსნა, მაგრამ მერები და ქალაქის პირველი პირები არავის დაუდანაშაულებია. **ევროპაში, ამერიკაში ბევრი ხიდი დანგრეულა, ასობით ადამიანი დაღუპულა, დაუჭერიათ მშენებელი, პროექტანტები, ექსპლუატაციაში მიმღები, მაგრამ მერები არსად ამის გამო არც გადაუყენებიათ და არც გადამდგარან.** ასე რომ, ნუ იგონებთ რაღაც ახალ წესებს, თუ ევროპასა და ამერიკას ბაძავთ, მიბაძეთ იმაში, როგორ იქცევიან ისინი ასეთ დროს და როგორ რეაგირებენ ასეთ ტრაგიკულ მოვლენებზე!

„ფეისბუქი“

**ვატო შაქარიშვილი**
*„აი ის“ თანადამფუძნებელი*



**კალაძეს** და მერიას ჩემგან კრიტიკა არ აკლია, მაგრამ დღეს **ვიდრე გამოძიება არ დასრულებულა და მიზეზები არ გარკვეულა,** თანაგრძნობის გარდა, ყველა სიტყვა სპეკულაცია და ბინძური პოლიტიკური მავნებლობაა!

„იმედინიუსი“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



**რატომ გახდა ასეთი საძულველი ნაცსექტა?** იმიტომ, რომ მათი ბუნებაა ასეთი — **ადამიანურ ტრაგედიებზე სპეკულირებენ, უბედურებას დესტრუქციული დღის წესრიგის წინ წასაწევად იყენებენ და კისკისით „გლოვობენ“.**

„იმედინიუსი“

# გაზის სექტორიდან დენის ვექტორამდე

# ფუი,

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ეჟვანაო. აკი, გამოვიდნენ კიდეც.

**ამათ, კობა ხარშილაძის ჩათვლით, ორი გვამის მერაბიშვილისეული ფილოსოფია უკვე გავლილი აქვთ, გვამი მათთვის პოლიტიკური და კარიერული წინსვლის წითელი ხალიჩაა და ამჯერადაც ამ სიტუაციის გამოყენებას ცდილობენ.**

9 წლის განმავლობაში ჩადენილ დანაშაულებსა და მკვლელობებზე ნაციონალური მოძრაობიდან დღემდე სინანული არავის გამოუთქვამს, ბოდიშიც არ მოუხდია და არც საკუთარ თავზე აუღია პასუხისმგებლობა. პირდაპირ ვიტყვით — **კახი კალაძის მსგავსად, ღირსეულად არავინ მოქცეულა და არავის უთქვამს: „მეც გაუბედურებული ვარ! ვისაც დანაშაული მიუძღვის, ყველა აუცილებლად აგებს პასუხს, მათ შორის, მეც! თუ მაქვს რაიმე დანაშაული, მზად ვარ, კანონის წინაშე ვაგო პასუხი“!**

**ეჭვი არ გვეპარება, იმ წუთებში კახი კალაძე ვაკის პარკში შადრევანთან ახლოს რომ ყოფილიყო, ისევე მოიქცეოდა, როგორც ამავე პარკის მებაღე დევი მეზურნიშვილი, რომელიც საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად, შადრევანში ჩავიდა და ბავშვები წყლიდან ამოიყვანა.**

„გრინსერვისის“ დამფუძნებელმა **ლაშა ფურცხვანიძემ** კარგად იცის, რომ ამ ტრაგედიაში **კახი კალაძეს** ბრალი არ მიუძღვის და რომ ის — ოთხი შვილის მამა — ყველაზე მეტად განიცდის მომხდარს. ფურცხვანიძის სიტყვებია: „მე ვიყავი პირადად პასუხისმგებელი“. **შეგახსენებთ, რომ ლაშა ფურცხვანიძე თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას მეგობარია და ისიც კარგად იცის, რომ უგულავას მერობის პერიოდში მოწყობილ სტადიონებზე დატრიალებული ტრაგედიის გამო, როცა იქ განთავსებულმა რკინის კარმა რამდენიმე ბავშვის სიცოცხლე შეიწირა, ქალაქის მერის პასუხისმგებლობა არ დამდგარა, არც პრეზიდენტი გადამდგარა და არც — პრემიერ-მინისტრი!**

პოლიტიკური სვავები ტყუილად ცდილობენ 13 წლის მარიტა მეფარიშვილის ლამაზი სიცოცხლის დაღუპვის გამოყენებას საკუთარი მიზნებისათვის, მათ, ვისაც ბავშვის სიკვდილი აღაფრთოვანებთ, მომავალი არ უწერიათ!



ახლო წარსულში პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაცვის უფროსი, დღეს კი კომპანია „გრინსერვისის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მეწილე კობა ხარშილაძე

## პოლიტიკური სვავები ტყუილად ცდილობენ 13 წლის მარიტა მეფარიშვილის ლამაზი სიცოცხლის დაღუპვის გამოყენებას საკუთარი მიზნებისათვის, მათ, ვისაც ბავშვის სიკვდილი აღაფრთოვანებთ, მომავალი არ უწერიათ!






ბოლოთქმა

ქართველმა მკითხველმა **მარიტა** ზუსტად 60 წლის წინათ, 1962 წელს გაიცნო, როდესაც **გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“** გამოიცა. 1976 წელს მარიტას ხორცი შეასხა და სული ჩაუდგა **ლიკა ქავჟარაძემ,** როდესაც **თენგიზ აბულაძემ** „ნატვრის ხე“ გადაიღო. სრულიად საქართველოს კიდევ ერთი **მარიტა** ჰყავს, 13 ოქტომბერს მეგობრების დასახმარებლად შადრევნის წყალში შესული უმანკო სული, რომელიც ზეცის ანგელოზად იქცა... 11 ოქტომბერი ნატვრის ხის **მარიტას** — **ლიკა ქავჟარაძის** გარდაცვალების დღეა, გასვენდა **14 ოქტომბერს ვაკის სამების ეკლესიიდან.** ლიკას გარდაცვალებიდან ხუთი წლისთავზე, 13 ოქტომბერს ტრაგიკულად დაიღუპა 13 წლის **მარიტა მეფარიშვილი,** გასვენდა **15 ოქტომბერს იმავე ვაკის სამების ეკლესიიდან.**

***ქეთევან ხამიცაშვილი***

***13 ოქტომბერს ვაკის პარკში დატრიალებულმა ტრაგედიამ მთელი საქართველო შეძრა: შადრევანში ბურთის ამოსატანად ჩასული და დენის დარტყმით გარდაცვლილი 13 წლის მარიტა მეფარიშვილის დაღუპვა ენით აუწერელი ტკივილია ყველასათვის... თუმცა, აქ მხოლოდ ადამიანები იგულისხმება, რადგან ნაცებმა ამ უბედურების სათავისოდ გამოყენებაც სცადეს და ისეთი ამაზრზენი პოლიტმეძავური სპეკულაციები დაიწყეს, ამ აბსოლუტურად ამორალური სექტისაგანაც კი რომ გაგიკვირდება!***

ტრაგედიისადმი მიძღვნილ თოქ-შოუში ნაცაქტივისტმა **ლევან ბუთხუზმა** პირდაპირ ეთერში სიტყვასიტყვით თქვა: **„მერამდენედ მაქვს განცდა, რომ რატომ არ ვკიდებთ ხელს „მოლოტოვის კოქტეილებს“, რატომ არ ვამტვრევთ ვიტრინებს და რატომ არ ვანგრევთ ქალაქს?!“**

ეს არსება, უბრალოდ, ნაცაქტივისტი კი არა, ამ **ნაცტელევიზიის** თანამშრომელია და სამედიცინო გადაცემის — **„მთავარი დიაგნოზის“** წამყვანია! ჰოდა, **მთავარი დიაგნოზი დაუსვა საკუთარ თავსაც, თავის ტელებოსელსაც და სრულიად სანაცეთსაც:** პირდაპირ მოუწოდა სანაცეთს ტერორისტული აქტებისაკენ, ქალაქის გადაწვისა და დანგრევისაკენ!



## ლევან ბუთხუზი:

## რატომ არ ვკიდებთ ხელს „მოლოტოვის კოქტეილებს“, რატომ არ ვამტვრევთ ვიტრინებს და რატომ არ ვანგრევთ ქალაქს?!

რა თქმა უნდა, **აუცილებლად და სასწრაფოდ უნდა გამოიძიონ, რატომ მოხვდა შადრევანში დენი და ეს უბედური შემთხვევითობა იყო თუ სამსახურებრივი გულგრილობა, მაგრამ არანაირი გამოძიება არ სჭირდება იმას, რაც ნაცბანდამ ამ ტრაგედიის კვალობაზე ჩაიდინა!**

მხოლოდ ორ ფაქტს შემოგთავაზებთ: 13 ოქტომბერსვე ნაცების „მთავარ არხზე“ ამ **ლევან ბუთხუზმა,** რომ ხელბორკილები დაადონ და „ვირის აბანოში“ მიაბრძანონ?! **მეტი რაღა უნდა გააკეთოს ამ ნაცტელებოსელმა „მთავარმა არხმა“, რომ ის მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე დახურონ ტერორისტული აქტებისა და სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგის დამხობისაკენ ღია მოწოდე-**

კი მაგრამ, მეტი რაღა უნდა გააკეთოს ამ

## კვირგვინოსნები



**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

რადიკალურ ოპოზიციაში არ სურთ, **„დეოლიგარქიზაციის შესახებ“** ახალი კანონი მათ ოლიგარქებს შეეხოთ, ამიტომ არიან დაინტერესებულნი, რომ კანონი არ იყოს მიღებული. **რადიკალურ ოპოზიციაში მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც ობიექტურად არიან ოლიგარქები და განეკუთვნებიან ოლიგარქების წრეს.**

„პირველი არხი“



**დავით ვადაჭკორია**
*ექიმი-ნარკოლოგი, კლინიკა „ნეოგენის“ დირექტორი*

წლებია, ჩვენს ქვეყანას 3 გამოწვევა აქვს. **ტერიტორიული მთლიანობისა და სიღარიბის პრობლემის შემდეგ** (რიგითობაზე კამათიც შეიძლება) **მესამე ნარკომანიის პრობლემაა.** ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შედეგად ჩვენი გენოფონდი ნადგურდება. გენოფონდი თუ განადგურდა, აღარც ტერიტორიების დაბრუნებას აქვს აზრი და აღარც სიღარიბის დაძლევას.

„კვირის პალიტრა“



**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*

მომავალი წელი საქართველოსთვის **ევროპის წელი** იქნება, სწორია ამის დაკავშირება **ნიკო ნიკოლაძესთან,** რადგან სახელმწიფოს შესახებ ყველა მისი აზრი **ევროპის გზას** ემთხვევა.

„პირველი არხი“



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

მგონი, **საზოგადოებამ უკვე აღმოაჩინა ოლიგარქი,** მაგრამ არა იმ მისამართზე, რომელზეც ოპოზიციის ნაწილი მოელოდა.

„პირველი არხი“



**ალექსანდრე ლუკაშენკო**
*ბელარუსის პრეზიდენტი*

ომი ყოველთვის ცუდია, ყოველდღე ხალხი კვდება — **მოდით, ომი შევაჩეროთ და შემდეგ გავარკვევთ, ვინ არის მართალი და ვინ — დამნაშავე.**

„ინტერპრესნიუსი“

# თქვე ნაც-მასუნებო!



პრემია „საბა“ წლის საუკეთესო რომანისთვის ბესო სოლომანაშვილს გადაეცა

ბისთვის?!

„მთავარ არხს“, რომლის პირდაპირ ეთერში **ლევან ბუთხუზის ეს ტერორისტული მოწოდება** გავიდა, არც კი შეუმჩნევია ეს აშკარა დანაშაული! ისე კი, რატომ გაემიჯნება არშემდგარ ჰეროსტრატეს, როდესაც ზუსტად ისეთივე სნე სჭირს?

თუმცა, ნაცების ფსკერს ქვემოთ სვლა ამით არ დასრულებულა! კიდევ ერთმა ნაცაქტივისტმა, რეჟისორმა და სცენარისტმა **ბესო სოლომანაშვილმა** აი, ასეთი ფეისბუქპოსტი დაწერა ვაკის პარკის ტრაგედიის მოხდენისთანავე:

> *„შვილო, იცი შენს მამიკოს შენთვის საჩუქრები, გემრიელობები, ლამაზი ტანსაცმელი, კარგი რამები რომ ეყიდა, კარგი მანქანით რომ გევლო, შენმა მამიკომ შენი ტოლი მეგობარი მოკლა, იცი? შენს ყველა ტანსაცმელს სისხლი უსვია, შენს საჭმელში სისხლია, შენს ყველა გასართობში მკვდარი ბავშვებია, იცი, პატარა? იცი პატარა, მალე სხვისი შვილის მამიკო გამოჩნდება, რომელიც შენ მოგკლავს თავისი შვილის საჭმლისთვის, იცი?“*

აი, ამას რა სახელი უნდა დავარქვათ?! ამას სახელი, საერთოდ, შეიძლება ჰქონდეს?! **უბრალოდ, ნაცია და ამით ყველაფერია ნათქვამი!** თანაც, ეს იმდენად ამაზრზენი ტექსტია, რომ ამ არაკაცმა შემდეგ პოსტი წაშალა, რადგან ხალხმა

Beso Solomanashvili

4 ч. ·

შვილო, იცი შენ მამიკოს შენთვის საჩუქრები, გემრიელობები, ლამაზი ტანსაცმელი, კარგი რამეები რომ ეყიდა , კარგი მანქანით რომ გევლო, შენმა მამიკომ შენი ტოლი მეგობარი მოკლა, იცი? შენს ყველა ტანსაცმელს სისხლი უსვია, შენს საჭმელში სისხლია, შენი ყველა გასართობში მკვდარი ბავშვებია, იცი, პატარა?
იცი პატარა, მალე სხვისი შვილის მამიკო გამოჩნდება, რომელიც შენ მოგკლავს, თავისი შვილის საქმლისთვის, იცი?

დამსახურებული გინება დაუწყო — **რას წერ, შე ავადმყოფოო!** რა თქმა უნდა, სოლომანაშვილის წკავწკავი იმ კამპანიის ნაწილია, ნაცებმა კულისებიდან რომ დაიწყეს თბილისის მერის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, მაგრამ ბავშვები რა შუაშია?! ეს პათოლოგიური ბელეტრისტიკა — „სისხლიანი“ საჭმელი და „სისხლში“ ამოსვრილი ტანსაცმელი რომელ ნორმაში ჯდება?!

სამწუხაროდ,

**არცერთი სოროსელი უფლებადამცველი ამაზე კრინტსაც არ დაძრავს და არც მამუკა ხაზარაძის სექტა ამოიკნავლებს –**

**ეს ბესო სოლომანაშვილი ხომ ხაზარაძის ლიტერატურული პრემია „საბას“ 2020 წლის გამარჯვებულია**

**საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებისათვის!**

ფუი, თქვე ნაცმაცუნებო!

***გიორგი გიგაური***

## მეტი რაღა უნდა გააკეთოს ამ ლევან ბუთხუზმა, რომ ხელბორკილები დაადონ და „ვირის აბანოში“ მიაბრძანონ?!

## ვინ უნდა აგოს პასუხი ვაკის პარკში მომხდარ ტრაგედიაზე?



**სოსო არჩვაძე**, ***ეკონომისტი:*** — აქ ყველას პასუხისმგებლობის საკითხი დგას, თუმცა, ხანდახან იმასაც ვფიქრობ, **ხომ არ შეიძლებოდა ეს საშინელება მიზანმიმართულად ყოფილიყო განხორციელებული.** არცერთი ვერსიის გამორიცხვა არ შეიძლება. იმედია, გამოძიება ობიექტურ დასკვნებს გამოიტანს.



**სოსო შატბერაშვილი**, *პოლიტიკოსი*: — პასუხი უნდა აგოს იმან, ვინც დაარღვია უსაფრთხოების წესები. **მერმა თავად განაცხადა, თუ ჩემი პასუხისმგებლობის საკითხი გამოიკვეთება, პასუხს უყოყმანოდ ვაგებო. რამდენი ტრაგედიის მომსწრე გავხდით ბოლო 30 წლის განმავლობაში, მაგრამ ასეთი შეძრული და შეწუხებული არცერთი მერი ან ხელმძღვანელი არ მინახავს.** არ სწყინდება ე.წ. ოპოზიციას ტრაგედიებით მანიპულირება.



**ალი ბაბაევი**, ***ქართულ-აზერბაიჯანული კონგრესის თავმჯდომარე:*** — ყველა ვხედავთ, რამდენი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება ქალაქში. **რაც კარგია, იმას არ ლაპარაკობს ოპოზიცია და ახლა, როცა ეს საშინელი შემთხვევა მოხდა, უნდათ, დესტაბილიზაციისთვის გამოიყენონ.** ქურდი და ავაზაკი ნაციონალი მერი ახსოვს თბილისის საზოგადოებას. ის მერი ახლა აქეთ გვასწავლის ჭკუას. **გლდანის ხიდზე რომ მამა-შვილი დაიღუპა, აგო ამაზე პასუხი მაშინდელმა მერმა? თუ ვინმე უნდა დაისაჯოს, პირველი მათ შორის უგულავა უნდა იყოს.**



**გურამ საღარაძე**, ***მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, თბილისის საპატიო მოქალაქე:*** — რა უბედურებაა ეს, რატომ უდგებიან მოვალეობებს უპასუხისმგებლოდ. საკუთარი თავი ჩააყენონ მსგავს მდგომარეობაში — ნებისმიერი მუშის, ელექტრიკოსის, სხვა სპეციალისტის შვილს რომ ასეთი რამე მოსვლოდა? ვინ იყო დაზღვეული? შეიძლება მიფუჩეჩებით საქმე აკეთო?



**მერაბ შათირიშვილი**, ***მწერალი:*** — რა თქმა უნდა, პასუხი უნდა აგოს იმან, **ვინც შეასრულა სამუშაოები.** რაც მოხდა, ყოველი ჩვენგანის ტრაგედიაა და ეს პოლიტიკას არ ეხება. **ვერ ხედავთ კახის განცდებს? კაცი განადგურებულია. ქალაქის მერი უდიდეს მორალურ პასუხისმგებლობას გრძნობს.** ქუთაისში მემორიალი რომ ააფეთქეს და დედა-შვილი დაიღუპა, მაშინ არავის უგრძნია არც მორალური პასუხისმგებლობა და არც პასუხი უგია ვინმეს კანონის წინაშე უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლის მოსპობის გამო. **რა ნამუსით ღრიალებენ ახლა და იშვერენ თითს უდანაშაულო კაცისკენ.**



**დავით ახრახაძე**, ***აფხაზეთის ომის ვეტერანი:*** — სანამ გაირკვევა, ქარხნული წუნის გამო მოხდა ყველაფერი თუ სპეციალურად მოწყობილი დივერსია იყო, მანამდე რომ გადაუარეს **კახი კალაძეს** და გააპოლიტიკურეს ეს ტრაგედია, **ეს არის ნაციონალების სახე. გვამებზე არიან დაგეშილი ეს შობელძაღლები. ხანდახან ბოლო მოდელის „მერსედესი“ ფუჭდება ქარხნიდან გამოტანიდან ერთ თვეში, ხომ შეიძლება ელექტროგაყვანილობა გაფუჭებულიყო ან ყოფილიყო ქარხნული წუნი.** რაც არ ვიცით, უკვე იმაზე ვითხოვთ ადამიანის გადადგომას? იქნება ვინმე შეცდა, ვინმეს შეეშალა, ვინც შეამოწმა, უპასუხისმგებლოდ შეამოწმა..., ეს უნდა გაირკვეს, შემსრულებლები უნდა დაისაჯონ.



**რეზო მახათაძე**, ***კინოდოკუმენტალისტი:*** — ბავშვი არ დაბადებულა და აბრაამს არქმევდნენო, **ჯერ არაფერი იციან, არ ჩატარებულა კვლევა ან გამოძიება და უკვე დამნაშავედ აცხადებენ ადამიანს, წინასწარ აკეთებენ დასკვნებს და მერის გადადგომას ითხოვენ.** საოცარია, პირდაპირ. არსებობს გამოძიება, არსებობენ ექსპერტები, **რატომ ვუსწრებთ მოვლენებს. ქართველებს გვაქვს ერთი სამარცხვინო თვისება — გამორჩეული ადამიანებისა და ლიდერების ზიზღი. რა უბედურებაა ეს?**

მოამზადა ***ირანდა კალანდაძემ***

## კვირგვინოსნები

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ვატო (ჭუტა) წერეთელი სინამდვილეში 15 წლის ბიჭის მკვლელია, რომელიც დღეს ბედავს, ისარგებლოს უმძიმესი ტრაგედიით და **კახი კალაძეს** თავი გაუტოლოს. ბიჭი მორალსა და ადამიანურ ღირებულებებზე საუბრობს და კახის კაცობასა და ადამიანობას უწუნებს.

**ვის-ვის და კახის?! ქველმოქმედს, უამრავი გაჭირვებული ადამიანის იმედსა და ქომაგს, ქალაქზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს, მერს, ოჯახის კაცს — შენ ეპაექრები ბიჭო?!**

კახი პირველია, ვინც კამერების წინ თქვა: **„თუ ამ უბედურებაში რაიმე ფორმით ჩემი დანაშაული გამოიკვეთება, მზად ვარ, პასუხი ვაგო!“**

შენნაირად კი არ დამალულა! შენნაირად კი არ გაქცეულა! შენნაირად კი არ უყიდია 15 წლის ბავშვის სიკვდილი! **(შენ ამ უბედურებაზე ხომ პასუხი არ აგე! მოისყიდე ყველა და ყველაფერი, გააუბედურე ის ოჯახი).**

შე მშიშარა ლაჩარო, კაცის პროვოკაცია რომ ხარ და საკუთარი ლანდის სიბნელეშიც გეშინია, ჩაიგდე ენა! სადაა შენი სალაპარაკო?!

„ფეისბუქი“

**გიორგი კობერიძე**
*საერთაშორისო პოლიტიკის სპეციალისტი*



**საქართველო, ფაქტობრივად, ომის მდგომარეობაშია.** თავს ნუ მოვიტყუებთ იმაზე ფიქრით, რომ, რადგან თბილისში რუსული ტანკი არ დგას, ომში არა ვართ. **ომის მდგომარეობაა, როდესაც დედაქალაქიდან 40 კილომეტრში ოკუპანტის ჯარი დგას.**

„კვირის პალიტრა“

**მარია ზახაროვა**
*რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერი*



ევროკავშირში **ალარ ბანაობენ, არ რეცხავენ ტანსაცმელს, არ ყიდულობენ ჩვენგან ტუალეტის ქაღალდს, არ ასხამენ საწვავს და არ იხდიან ტანსაცმელს სახლში,** კლოუნს კი სანქციების ახალი პაკეტი სჭირდება.

„რუსთავი-2“



# ჯონდი ბაღათურია: ამერიკის ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები პირდაპირ უბიძგებენ რუსეთს, რომ ევროპაში ბირთვული იარაღი გამოიყენოს!



„რუსეთს აქვს რესურსი, მოწინააღმდეგეს მთლიანად გაუთიშოს ინტერნეტი და მოუსპოს კოსმოსიდან ხედვის საშუალება!“

*ტროტილიანი სატვირთო ავტომობილის მეშვეობით ყირიმის ხიდის აფეთქებას რუსეთის ხელისუფლებამ უკრაინის ქალაქების, მათ შორის, კიევის დაბომბვით უპასუხა, ხოლო ერთ-ერთ მარშრუტად, რომელიც შენიღბული ასაფეთქებელი მოწყობილობით დატვირთულმა ტრაილერმა გაიარა, საქართველოც დაასახელა. არის თუ არა მოსალოდნელი, რომ კრემლმა ეს ფაქტი საქართველოს წინააღმდეგ ახალი აგრესიის საბაბად გამოიყენოს და რამდენად რეალურია მსოფლიოს პოლიტიკურ ლიდერთა შეფასებები იმის თაობაზე, თითქოს კიევის დაბომბვა რუსეთის განწირულობასა და პუტინის პოლიტიკურ აგონიაზე მეტყველებს? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე პარლამენტის ყოფილ წევრს* ***ჯონდი ბაღათურიას*** *ვესაუბრებით:*

— ჩვენ ყოველდღიურად გვესმის სრულიად არასერიოზული განცხადებები იმის შესახებ, რომ რუსეთი განწირულია, ხოლო პუტინი აგონიაში ჩავარდა... დასავლეთის პოლიტიკური ლიდერები ამას მხოლოდ პროპაგანდისტული მიზნებისათვის იყენებენ, სინამდვილეში კი ძალიან კარგად იციან, რა ძალასთანაც აქვთ საქმე რუსეთისა და მისი პრეზიდენტის სახით.

**— კონკრეტულად?**

— რუსეთს ჰყავს მსოფლიოში ნომერ პირველი არმია, რომლის ბირთვული შეიარაღებაც მთელი ნატოს ბირთვულ არსენალს აღემატება.

**ბირთვული ქობინების გადამტანი ტექნიკა და ანტისარაკეტო სისტემები, რომლებსაც რუსეთი ფლობს, ორი თაობით უსწრებს ნატოს იმავე დანიშნულების ტექნიკას და კოსმოსური თანამგზავრების განეიტრალებაც კი შეუძლია.**

შესაბამისად, რუსეთს აქვს რესურსი, მოწინააღმდეგეს მთლიანად გაუთიშოს ინტერნეტი და მოუსპოს კოსმოსიდან ხედვის საშუალება. რაც მთავარია, რუსეთს ჰყავს ლიდერი, რომელსაც გადაწყვეტილებების მიღება და მოქმედება შეუძლია.

**— თუ რუსული არმია მსოფლიოში ნომერ პირველია, მაშინ რატომ განიცდის წარუმატებლობას უკრაინის ფრონტზე და ერთმანეთის მიყოლებით რატომ კარგავს იმ ტერიტორიებს, რომელთა დაკავებაც 24 თებერვლიდან მოყოლებული დღემდე ისედაც ძლივს მოახერხა?**

— ვისაც საომარ მოქმედებებზე ოდნავი წარმოდგენა მაინც აქვს, კარგად იცის, რომ ერთიორი დასახლებული პუნქტი ყოველთვის შეიძლება აიღო ან დაკარგო, მაგრამ ეს ომის საბოლოო შედეგზე გადამწყვეტ გავლენას ვერ მოახდენს. **რაც შეეხება რუსული არმიის მიერ უკრაინის ფრონტზე განცდილ გარკვეულ წარუმატებლობას, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი თავდაცვის სისტემაში კორუმპირებულ ჩინოსანთა სიმრავლეა და რუსეთის პროკურატურამ ამასთან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაიწყო.**

რაც მთავარია, რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ უკრაინის ტერიტორიებს კი არ იპყრობს, არამედ საკუთარ ტერიტორიებს იბრუნებს. რუსები ამბობენ, რომ უკრაინელები მათი ხალხია, კიევი რუსული ცივილიზაციის აკვანია და ამიტომაც სამხედრო მოქმედების დროს მაქსიმალურად ფრთხილობენ, რათა ნგრევა და მსხვერპლი რაც შეიძლება ნაკლები იყოს.

**— მაშ, საავიაციო დარტყმებით მიწასთან გასწორებული ხარკოვი და მარიუპოლი რაზე მეტყველებს?**

— როცა ამაზე ვსაუბრობთ,

## „რუსეთს ჰყავს მსოფლიოში ნომერ პირველი არმია, რომლის ბირთვული შეიარაღებაც მთელი ნატოს ბირთვულ არსენალს აღემატება!“

## კვირგვინოსნები

**ნიკოლოზ ჩხეტიანი**
*საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე*



პოლიტიკურად ანგაჟირებული მედიების **მუდმივი თავდასხმები აღარ გვიკვირს,** რაც მეტი ფინანსური შემოსავალი ექნება ფონდს, **მით მეტ საქველმოქმედო პროექტს** დაინახავს ქვეყნის მოსახლეობა.

„პირველი არხი“

**გიორგი კაკაურიძე**
*ფინანსთა მინისტრის მოადგილე*



გარკვეული ბრალდებები ისმის, რომლის უკანაც დასაბუთება არ დგას, **საბაჟო საზღვარი არ გაუვლია არც ტროტილით და არც სხვა ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთულ სატვირთოსა თუ ვაგონს.**

„პირველი არხი“

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



ვუსმენ და ვუყურებ ინფორმაციას უკრაინიდან... **დაიბომბა მთელი ქვეყანა,** უმოწყალოდ ანადგურებს აგრესორი სამოქალაქო ინფრასტრუქტურას კიევში, ლვოვში, ოდესაში... **გასაგებია, რისთვის გვამზადებდნენ „პარტნიორები“ და წაღმა-უკუღმა მედასავლეთე, შარვალჩახდილი კიკუ — „პატრიოტები“!** რას გადავრჩით.

„ტვიტერი“

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი*



**დეოლიგარქიზაციის** კანონპროექტის ისტორია დამთავრდება იმით, რომ **ქეზერაშვილს, ოქრიაშვილს, ხაზარაძეს** და რამდენიმე მდიდარს პოლიტიკაში მონაწილეობა და მედიის დაფინანსება აეკრძალებათ.

„პირველი არხი“

# „დღეს ბიძინა ივანიშვილი კოლოსალური წნეხისა და შანტაჟის ობიექტად მხოლოდ იმიტომ აქციეს, რომ ვერ აიძულეს, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაერთო!“




უნდა გავიხსენოთ, რა უქნეს ამერიკელებმა სირიის ქალაქებს — **ალეპოსა და რაქას** ან როგორ აღგავეს პირისაგან მიწისა ერაყის ქალაქი **მოსული,** სადაც ერთი საცხოვრებელი სახლიც კი არ გადარჩენილა.

**საერთო ჯამში, ერაყში, სირიასა და ლიბიაში ამერიკულ დაბომბვებს 6 მილიონი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა!**

**— კი მაგრამ, ამერიკა სირიელებს, ლიბიელებსა და ერაყელებს „თავის ხალხად“ არ თვლის, თქვენ კი ამბობთ, რომ რუსეთს უკრაინელები „თავის ხალხად“ მიაჩნია!**

— ამას მე კი არა, თავად რუსები ამბობენ და ამიტომაც არ იყენებენ უკრაინის წინააღმდეგ ე.წ. ხალიჩისებრი დაბომბვის მეთოდს. გასულ კვირას სამი დღის განმავლობაში იბომბებოდა ხარკოვი, ოდესა და ნიკოლაევი, მსხვერპლი კი, უკრაინული მხარის ოფიციალური მონაცემებით, სულ 11 კაცი იყო. ძალიან სერიოზული ამერიკელი ექსპერტის **დიმიტრი საიმსის** განცხადებით, როცა ამხელა დაბომბვების შედეგად მსხვერპლთა რაოდენობა 11-ს არ აღემატება, ეს ნიშნავს, რომ რუსეთის მხრიდან მოქმედებენ მაღალი დონის პროფესიონალები, რომლებიც ურტყამენ არა ცოცხალ ძალას, არამედ ანადგურებენ კრიტიკულ ინფრასტრუქტურას.

საერთოდ, ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ომში უკრაინა გენოციდის მასშტაბის მსხვერპლს განიცდის, რადგან ფრონტის ხაზზე საბრძოლო მოქმედებებისათვის მოუმზადებელი წვევამდელების გაყვანა უწევს.

**— რამდენად რეალურია რუსეთის მხრიდან თუნდაც ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე, რაზეც ბოლო დროს ბევრს საუბრობენ?**

— ამერიკის ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები და ამერიკელი ანალიტიკოსების ნაწილი პირდაპირ უბიძგებენ რუსეთს, რომ **ევროპაში ბირთვული იარაღი გამოიყენოს!** დიახ, სწორედ ამას ემსახურება მათი გაუთავებელი საუბრები იმაზე, რომ რუსეთი ბირთვული იარაღის გამოყენებას აპირებს. რეალურად, უკრაინის წინააღმდეგ ბირთვული იარაღის გამოყენებას რუსეთისათვის არანაირი აზრი არა აქვს, რადგან მის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას მშვენივრად ესმის, რომ ომი აქვს არა უკრაინასთან, არამედ ამერიკასთან და ნატოსთან.

რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული ექსპერტები უკვე პირდაპირ აცხადებენ, რომ, **თუ საქმე ატომური იარაღის გამოყენებამდე მივიდა, ეს უნდა გააკეთონ არა უკრაინის ან მთლიანად ევროპის, არამედ აშშ-ის წინააღმდეგ.** ისინი კარიბის კრიზისს იხსენებენ და ამბობენ, რომ მაშინ ამერიკამ და საბჭოთა კავშირმა შეთანხმება შეძლეს, რადგან ერთმანეთისაგან ბირთვული ომის საფრთხე იგრძნეს! დღეს კი რა ხდება? **უკრაინის ტერიტორიაზე ომი ისე მიდის, რომ ამერიკა არავითარ საფრთხეს არ გრძნობს და ბაიდენის ხელისუფლებისათვის სულაც არ არის პრობლემა, თუ რუსეთი ევროპის ტერიტორიაზე ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, პირიქით, ეს ამერიკისათვის მომგებიანიც კი იქნება.**

**— რას გულისხმობთ?**

**— თუ რუსეთი ევროპაში ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, ევროპის ეკონომიკა მთლიანად გაჩერდება, მსხვილი ევროპული საწარმოები კი თავიანთ ქარხნებსა და ინფრასტრუქტურას ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაიტანენ, რითიც ამერიკული ეკონომიკა დიდ სარგებელს ნახავს.**

დღეს უკრაინის ტერიტორიაზე გაჩაღებული სამხედრო კონფლიქტის გარდა რუსეთსა და ამერიკას შორის მიმდინარეობს მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლა, რომელსაც რუსეთი პირწმინდად იგებს!

**— ეს რაში გამოიხატება?**

— აშშ-ის მხრიდან კოლოსალური ზეწოლის მიუხედავად, **მსოფლიოს ორმა მესამედმა რუსეთთან თანამშრომლობაზე უარი არ თქვა.** თურქეთს ისედაც დიდი ხანია, შედარებით პრორუსული პოზიცია უჭირავს, მაგრამ უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე ამერიკას მისმა ტრადიციულმა სატელიტებმა — **საუდის არაბეთმა** და **არაბეთის გაერთიანებულმა საამიროებმაც** უგანეს. აღარაფერს ვამბობ ისეთი მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე, როგორებიც **ჩინეთი და ინდოეთი** არიან და რომლებიც რუსეთთან პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ ურთიერთობას არ წყვეტენ, მისგან ენერგომატარებლებსა და იარაღს ყიდულობენ.

თუმცა, **თუ რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ ან, ზოგადად, ევროპის ტერიტორიაზე ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, მისი სრული მარგინალიზაცია მოხდება და ახლანდელი მოკავშირეებიც ჩამოსცილდებიან, რაც ასევე ამერიკის ეკონომიკის წისქვილზე დაასხამს წყალს.**

**— ე.ი. ამერიკის ხელისუფლებას აწყობს, რომ რუსეთმა ევროპაში ბირთვული იარაღი გამოიყენოს?**

— ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი **ჯეიკ სალივანი** დაძაბულობის გამწვავების კატეგორიული წინააღმდეგია, მაგრამ სახელმწიფო მდივანი **ენტონი ბლინკენი** მაქსიმალურად ცდილობს, ვითარება რაც შეიძლება, გაამწვავოს, რათა რუსეთ-ამერიკის ომი, რომელიც დღესდღეობით უკრაინის ტერიტორიაზეა ლოკალიზებული, უკრაინის საზღვრებს გასცდეს და ევროპის სხვა ქვეყნებსაც მოედოს!

**— რამდენად რეალურად მიგაჩნიათ, რომ ყირიმის ხიდის აფეთქებაში რუსეთმა ერთ-ერთ დამნაშავედ საქართველოც მიიჩნიოს და ეს ახალი აგრესიის საბაბად გამოიყენოს?**

— რუსეთი ყირიმის ხიდის აფეთქებაში საქართველოს ვერანაირად ვერ დაადანაშაულებს და არც ცდილობს ამის გაკეთებას.

**ყველაზე ანტიქართულად განწყობილ რუს ანალიტიკოსებსაც კი არ მოსვლიათ აზრად, რომ ყირიმის ხიდის ინციდენტის გამო საქართველოს ტერორიზმის ხელშეწყობაში დასდონ ბრალი, რადგან ამის ფორმალური საფუძველიც არ არსებობს.**

**— ოპოზიცია აცხადებს, რომ ყირიმის ხიდის აფეთქების კონტექსტში საქართველოს ხსენება რუსეთის მორიგი პროვოკაციაა, რასაც ხელისუფლებამ მკაცრი პასუხი უნდა გასცეს.**

**— ეს საძოვარზე მიშვებული ნახირი, რომელიც თავის თავს ოპოზიციას ეძახის, სინამდვილეში, მეხუთე კოლონაა.**

ნაცმოძრაობა და მისი სატელიტები დიდი ხანია, ცდილობენ, რუსეთთან ურთიერთობა რამენაირად გაამწვავონ და საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას მიაღწიონ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ხელისუფლება აბსოლუტურად სალად და პასუხისმგებლიანად იქცევა.

**— უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის მრჩეველმა პოდოლიაკმა კეზერაშვილის ტელევიზიის ეთერში ბიძინა ივანიშვილს კვლავ დასდო ბრალი რუსეთთან თანამშრომლობაში, თუმცა, ამჯერადაც — ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე! თქვენი აზრით, რას ემსახურება უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსანთა მსგავსი გამოხტომები?**

— ვინ ეკითხება **პოდოლიაკს,** ვისთან არის კავშირში ბიძინა ივანიშვილი და რა პოლიტიკას აირჩევს საქართველო? ვინ არის ეს არამკითხე მოამბე? **დღეს ბიძინა ივანიშვილი კოლოსალური წნეხისა და შანტაჟის ობიექტად მხოლოდ იმიტომ აქციეს, რომ ვერ აიძულეს, საქართველოს ხელისუფლებაზე ზემოქმედება მოეხდინა და ქვეყანა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაერთო!**

რაც შეეხება კეზერაშვილს, მისგან „ქართული ოცნება“ უარესს იმსახურებს! არ დავაკონკრეტებ, „ქართულ ოცნებაში“ თვითონ იციან, რასაც ვგულისხმობ!

## „რუსეთსა და ამერიკას შორის მიმდინარეობს მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლა, რომელსაც რუსეთი პირწმინდად იგებს!“

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*



მერამდენედ უნდა გაფარჩაკდნენ ეს ანგაჟირებული, **ბიძინა ივანიშვილის** სახელზე აგზნებული ოპოზიციონერები და მათი ტელევიზიები, როცა საქმე **„ქართუს“ და მის საქველმოქმედო პროექტებს** ეხება, თუმცა, მათთვის ხომ უცხოა საკუთარი სამშობლოს და ხალხისთვის სიკეთის კეთება.

„იმედინიუსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



თუ რამე **ეწინააღმდეგება დასავლური დემოკრატიის პრინციპებს** და არის ანტიქართული, სწორედ **ბოკერიაა.**

„იმედინიუსი“

**ლევან დავითაშვილი**
*ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი*



ძალიან მნიშვნელოვანია, **ცხოვრების დონე გავზარდოთ იმგვარად, რომ მოსახლეობის კეთილდღეობა ამ ქვეყანაში იზრდებოდეს** — ეს მიიღწევა მხოლოდ ხელფასების ზრდით.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ლეჟავა**
*ექსპერტი*



თვით მიშაც კი რომ შეშფოთებულია **ბოკერიას** ანტიქართულობაზე, ის **ბოკერია** კიცხავს სხვებს და უწოდებს მოღალატეს.

„იმედინიუსი“

**ამირან სალუქვაძე**
*ანალიტიკოსი*



ვინც თავდაცვის ბიუჯეტს ძარცვავდა და ბიზნესს ატერორებდა, **ქველმოქმედად გვატენიან** და ვინც იქით ავსებდა ბიუჯეტს, თავდაცვას, პოლიციას, განათლებას და ენერგეტიკას ასეულობით მილიონი დოლარით აფინანსებდა, **დეოლიგარქიზაციაში უნდა მოვახვედროთ** და სანქციები დავადოთ? ბნელა?

„იმედინიუსი“

# «ხელისუფლებამ 12-პუნქტიანი

*— 22 ოქტომბრიდან 2022 წლის ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი იწყება და მზად იყავით! —* ***აცხადებს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი, რომელიც საგანგებო მიმართვას პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილსაც უგზავნის:***



მიხეილ ცაგარელი:

# უკვე მეათასედ ვამბობ და კარგად დაიმახსოვრეთ — ვიდრე ნაციონალებს არ მოვიშორებთ, ეს ქვეყანა ვერ დაწყნარდება!

— 22 ოქტომბრიდან 23 ნოემბრამდე პერიოდი ბევრს დაამახსოვრდება თავისი სირთულეებითა და პრობლემებით. 23 ოქტომბერს მზე და სიყვარულის მმართველი პლანეტა **ვენერა** მორიელის ზოდიაქოს ნიშანში გადაინაცვლებს. **უარყოფით ენერგოველში გადავა დედამიწაც, რაც იმას ნიშნავს, რომ პრობლემები შეექმნება ადამიანების ჯანმრთელობას, შემცირდება ურთიერთგაგება და მოიმატებს დაძაბულობა, კონფლიქტები.** რადგანაც მორიელის ზოდიაქოს აგრესიის, ომის მმართველი პლანეტა **მარსი** მართავს, გაიზრდება საპროტესტო ტენდენციებიც. ასევე, ნუ დაგვავიწყდება, რომ 31 ოქტომბერს ჰელოუინის დღესასწაულს აღნიშნავენ.

**— არადა, მავანი ამ დღესასწაულს წლიდან წლამდე ელოდება...**

— **ჰელოუინი ახალგაზრდებს გასართობი დღესასწაული ჰგონიათ, მაგრამ სინამდვილეში მასონების მიერ არის შექმნილი.** ეს არის ჯადოქრობის ღამე. ამ დღეს მთელი მსოფლიოს ჯადოქრები ერთმანეთს უკავშირდებიან და შავი მაგიის სპეციფიკურ რიტუალებს ატარებენ. ამ დროს ისინი ახალგაზრდების გართობის შედეგად გამოყოფილი ენერგიის აკუმულაციას ახდენენ და სათავისოდ იყენებენ. შემთხვევით არ ხდება სატანური, სისხლიანი ნიღბების მორგება, რის გამოც ენერგოვამპირიზმი უმაღლეს დონეს აღწევს. ამიტომ ჩემი რჩევაა, **31-ში მაქსიმალურად ავარიდოთ თავი ჰელოუინის აღნიშვნას, პირიქით, ვილოცოთ და გავწმინდოთ სახლი ყველა სახის სიბინძურისგან!**

გარდა ამისა, გასავლელი გვაქვს **დაბნელებების დერეფანი.**

**25 ოქტომბერს მზის დაბნელება გვაქვს, 8 ნოემბერს – მთვარის, ამ დროს კოსმოსი გამოცდას გვიწყობს და სხვადასხვა სახის ცდუნებები ერთიორად მოიმატებს. კარგი იქნება, თუ 23 ოქტომბრიდან 19 ნოემბრამდე მნიშვნელოვანს არაფერს დავგეგმავთ.**

**30 ოქტომბრიდან** წლის ბოლომდე პლანეტა მარსი რეტროგრადული, ანუ უკუმავალი ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმეებში მეტ სირთულეებსა და პრობლემებს შექმნის. **სამყარო მარსის რეტროგადულობით გვეუბნება, რომ ძველ, მიტოვებულ საქმეებს დავუბრუნდეთ, გავიაზროთ, რა შეცდომა დავუშვით და როგორ შეიძლება მისი გამოსწორება.** ამ პერიოდში ახალი საქმის რეალიზაცია არ უნდა დავიწყოთ.

ერთი სიტყვით, წინ ურთულესი პერიოდი გველის, განსაკუთრებით მძიმე იქნება ეს შემოდგომა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, სადაც პირველადი არჩევნები უნდა გაიმართოს. სხვათაშორის, ეს არჩევნები არამხოლოდ ამერიკის, არამედ მსოფლიოს ბედსაც განსაზღვრავს. **ტრამპის ჯგუფის გამარჯვების შემთხვევაში პოლიტიკური ვითარება სულ სხვა რელსებზე გადავა, ბაიდენის გამარჯვების შემთხვევაში კი ორმაგი ძალით გაგრძელდება ის ყველაფერი, რაც დღეს ჩვენ თვალწინ ხდება, ვგულისხმობ უკრაინის ომსაც!**

**— მაინც, თქვენი პროგნოზი როგორია?**

— ვფიქრობ, ამჯერად **რესპუბლიკელები, ანუ ტრამპი** აიღებს რევანშს, რაც ბაიდენის რეპუტაციასა და შესაძლებლობებს საბოლოოდ შეარყევს, მითუმეტეს, ოქტომბერი რთულია ბაიდენისთვის — **დაბნელებები კუსპ-მორიელის ღერძზე ხდება და, პირველ რიგში, სწორედ მორიელს დაარტყამს, თანაც, როცა არასწორი გზით მიდის და სუსტი ჯანმრთელობა აქვს.** კიდევ ერთხელ ვამბობ —

**დიდია ალბათობა იმისა, რომ ბაიდენს უახლოეს მომავალში ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შეექმნას!**

იმედია, ამჯერად რესპუბლიკელები და ტრამპი გაითვალისწინებენ იმას, რაც წინა არჩევნებზე მოხდა და ელექტრონული ხმის მიცემის გზის გაყალბებას აღარ დაუშვებენ. **ტყუილად გამაყოფთ იმით, რომ საქართველოში არჩევნები ელექტრონულად ჩატარდება. თქვენ გგონიათ, ეს სასიხარულოა და ამით დემოკრატიამ იზეიმა? ყველამ იცოდეს — ამერიკაში სწორედ ელექტრონული ხმის მიცემით გააყალბეს 17 მილიონი ხმა, არადა, მანამდე ამერიკელებიც ზუსტად ასე იძახდნენ, ჩვენთან ყველაზე გამჭვირვალე არჩევნები ტარდებაო.** ეს არის გაყალბების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, ყველაზე მარტივი გზა. ისე კი, გაყალბებები აწი ნახეთ, თუ ზეკონტროლი არ დაწესდა!

კიდევ ერთხელ ვამბობ — ძალიან ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, რა პროცესები განვითარდება ამ შემოდგომაზე აშშ-ში, რომელიც დგას ყველა იმ პროექტისა თუ მოვლენის უკან, ევროპაში და, ზოგადად, სამყაროში რომ ხდება. ანგლოსაქსებმა ვერ აიტანეს, რომ მათი ფულის ერთეული ევროსთან მიმართებაში დაკნინდა. ამიტომაც ცდილობენ რუსეთთან ერთად ევროპის დასუსტებასაც!

**— ევროს ღირებულება უკვე დოლარზე ნაკლებია...**

— ეს სწორედ იმის მანიშნებელია, რომ ევროპა ეკონომიკურად სუსტდება და კიდევ უფრო მეტად გაუჭირდება. **წინ არის ზამთარი. გაზისა და ელექტროენერგიის გარეშე მათი საწარმოების დიდი ნაწილი გაჩერდება. პროდუქტებზე ფასები გაიზრდება, მოიმატებს პროტესტი და დემონსტრაციები.** უკვე ვხედავთ სერიოზულ ცვლილებებს მთავრობებში. სხვათაშორის, როდესაც კორონავირუსი და გლობალისტების მამაძაღლობები დაიწყო, საგანგებოდ ვთქვი, მათ შორის, თქვენი გაზეთის ფურცლებიდან, მასონგლობალისტებს, ანუ ფსევდოლიბერალებსა და კონსერვატიულ-ტრადიციულ ძალებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა იწყება, 2025 წლამდე მასონები მაქსიმალურად შეეცდებიან, დაჩიპონ და დააზომბირონ ადამიანები, დაამარცხონ კონსერვატიული ძალები-მეთქი. ისიც აღვნიშნე, რომ 2022-2023 წლები გარდამტეხი იქნებოდა.

**— ამას ახლა რატომ იხსენებთ?**

— 2022 წელს ჩვენ ვხედავთ, რა ხდება საფრანგეთში. მათი პარლამენტი უკვე კონსერვატიული ძალების ხელშია. იტალიაშიც ტრადიციული ძალები მოდიან ხელისუფლებაში. შვედეთიც, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური ქვეყანა იყო, ამ გზას დაადგა. **ხალხს ყელში ამოუვიდა ამდენი სისულელე და, მათ შორის, უპირველესად, ვაქცინაცია. დანგრევის პირას მყოფი ევროპა ნელ-ნელა აზრზე მოდის.**

კიდევ ერთხელ ვამბობ — ევროკავშირი არის **მასონური დაჯგუფება,** გლობალისტების მიერ გამოზრდილი კადრები მართავენ ყველაფერს და მათი წყალობით ატარებენ ფსევდოლიბერალები ანტიეროვნულ პოლიტიკას. არადა, ნელ-ნელა უკვე მიხვდნენ ევროპელები, რომ მოატყუეს. 2023 წელს კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება კონსერვატიულ-ტრადიციული ფრთა. 2025 წელი კი, როგორც უკვე აღვნიშნე, გადამწყვეტი იქნება.

**ეს ზამთარი ევროპელებს ძალიან ბევრ რამეს დაანახვებს. გაზაფხულზე გაღვიძებული ევროპა სულ სხვაგვარი იქნება.**

**— მაშინ როცა, თქვენ ევროპის გამოღვიძებაზე საუბრობთ, ამერიკის ელჩი კელი დეგნანი საქართველოს მთავრობას კიდევ ერთხელ მოუწოდებს ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციის შესრულებისკენ.**

— **კელი დეგნანს** არავინ ეკითხება, რას გააკეთებს საქართველოს მთავრობა. ეს მის კომპეტენციაში არ შედის. თუ ჰგონია, რომ საქართველოში მსოფლიო დიპლომატია არავის უსწავლია, ძალიან ცდება. ყველამ მშვენივრად იცის, რა აწუხებს ამ ქალბატონს და რატომ ყოფს ცხვირს ჩვენი ქვეყნის საქმეში.

**— მაინც, რატომ?**

— **კელი დეგნანი** არის მასონური ჯგუფის წარმომადგენელი. ის საქართველოში იმიტომ გამოაგზავნეს, რომ მხარი დაუჭიროს **ქართველ მასონებს,** ანუ ნაციონალებს — **ბიბაურ-ლომჯარიებს** და ქვეყანაში სიტუაცია არიოს. ჩვეულებრივი დაზვერვის ოფიცერია.

**ჩემი რჩევაა საქართველოს მთავრობისადმი – ამერიკის სახელმწიფო მდივნის წინაშე დააყენოს კელი**

# «31 ოქტომბერს მაქსიმალურად ავარიდოთ

## კვირგვინოსნები

**ნანა დევდარიანი**
*„გლობალური კვლევების ცენტრის" ხელმძღვანელი*



პირდაპირ გეტყვით: ჩვენს ქვეყანაში არის ხალხი, რომელიც აშკარად დაინტერესებულია, რომ **აქ მეორე ფრონტი გაიხსნას** და ქვეყანა აირიოს. რატომ?.. საკმაოდ სერიოზული მიზეზის გამო: არჩევნებით ეს ხალხი ხელისუფლებას ვერ დაიბრუნებს, ამიტომ, **მეორე ფრონტის გახსნა** მათ ხელს აძლევს. ყველას აქვს წასასვლელი, რომ საფრთხის შემთხვევაში ოჯახი გაიყვანოს და თავი უსაფრთხო ადგილს შეაფაროს. **აბა, ერთი მაჩვენეთ 2008 წლის ომში დაზარალებული ან დაღუპული რომელიმე მაღალჩინოსნის შვილი** — ვერ მაჩვენებთ, რადგან ასეთები არ არსებობენ!

„გზა"

**ვახტანგ მეგრელიშვილი**
*„გორჩის" წევრი*



მე-19 საუკუნეში **„დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი"** რომ ვიღაცას მიეღო, **ილია ჭავჭავაძე მოხვდებოდა ოლიგარქების სიაში** — მედიამაგნატი იყო, „ივერიას" გამოსცემდა, პოლიტიკა აინტერესებდა, ბანკი ჰქონდა და მონოპოლისტი იყო.

„პალიტრანიუსი"

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



თუ **ბიძინა ივანიშვილზე** დადის ხმები, რომ **ვადამდელს აპირებს,** ამ კაცს ისიც ზუსტად ეცოდინება, რომ **მოიგებს ვადამდელს.** გახარიას პარტია საერთოდ აორთქლდა, **ნაცმოძრაობა შესაძლოა, მალე დაიშალოს,** ვუყურებთ, რაც ხდება მათ თავს და ვიღამ უნდა მოუგოს არჩევნები „ოცნებას"?!

„ახალი თაობა"

**დავით უსუფაშვილი**
*„შენების მოძრაობის" ლიდერი*



ჩვენ **ბიძინა ოლიგარქზე** კი არ ვსაუბრობთ, არამედ **მოვლენა ოლიგარქია** ისევე, როგორც კორუფცია, ქურდობა, ძალადობა უნდა ამოიძირკვოს.

„იმედინიუსი"

# რეკომენდაცია არ უნდა შესრულოს!»

**დეგნანის, როგორც საქართველოს მტრის და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გამფუჭებლის გაწვევის საკითხი!**

რაც შეეხება ე.წ. 12-პუნქტიან რეკომენდაციას, ეს არის მორიგი პროვოკაცია. ევროკავშირმა „ესენგეს“ წარმომადგენელ მოლდოვას მისცა კარტ-ბლანში და საქართველო, რომელიც ყველა კრიტერიუმით მოლდოვაზე წინაა, დასაჯა. როგორ ფიქრობთ, რატომ? იმიტომ, რომ ომში არ ჩაება, არ გადააყენა ეს მთავრობა და ხელისუფლებაში ფსევდოლიბერალური ნაციონალური მოძრაობა არ მოიყვანა.

**12-პუნქტიანი რეკომენდაციები რომც შევასრულოთ, ნატოში მაინც არავინ მიგვიღებს, მერე 16-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებას მოგვთხოვენ!**

უნდათ, დრო გაწელონ, საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვიონ, რომ როგორმე ხალხი ქუჩაში გამოიყვანონ — თუ ევროპა და კარგი ცხოვრება გინდათ, ეს მთავრობა უნდა გადააყენოთო!

**ხაზგასმით ვამბობ, ხელისუფლებამ 12-პუნქტიან რეკომენდაციას არ უნდა მიაქციოს ყურადღება და არ უნდა შეასრულოს.** საქართველოს მთავრობას გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხები აქვს მოსაგვარებელი!

**— რა არის ამაზე მნიშვნელოვანი?**

— **დემოგრაფიული პრობლემა!** ბოლოს როდის დაისვა შეკითხვა, რამდენი ქართველია საქართველოში დარჩენილი? რა რაოდენობით არის უცხოეთში გასული და რამდენი ირანელი, თურქი და არაბია აქ დასახლებული? თუ ასე გაგრძელდა, იცით თუ არა, რომ 50 წლის შემდეგ ქართველები უმცირესობაში ვიქნებით? საერთოდ, რომელ პოლიტიკასა და ეკონომიკაზე ვსაუბრობთ? რისთვის ვწვალობთ? ჯანდაბასაც წაუღია ყველაფერი, თუ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ საქართველო ქართველების გარეშე იქნება!



„ვფიქრობ, ამჯერად ტრამპი აიღებს რევანშს!“

„განსაკუთრებით მძიმე იქნება ეს შემოდგომა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, სადაც პირველადი არჩევნები უნდა გაიმართოს!“



„ტრამპის ჯგუფის გამარჯვების შემთხვევაში პოლიტიკური ვითარება სულ სხვა რელსებზე გადავა, ბაიდენის გამარჯვების შემთხვევაში კი ორმაგი ძალით გაგრძელდება ის ყველაფერი, რაც დღეს ჩვენ თვალწინ ხდება, ვგულისხმობ უკრაინის ომსაც!“

პირველი და უმთავრესი, რასაც მთავრობის მხრიდან ყურადღება უნდა მიექცეს, დემოგრაფიული პრობლემის მოგვარებაა. ამაზე დიდი უბედურება და ხიფათი დღეს არ არსებობს საქართველოსთვის. მაქსიმალურად უნდა წახალისდნენ დედები, ისეთი კანონები იქნას მიღებული, რომ უცხოელები აქ ვერ დასახლდნენ და ვერ გამრავლდნენ.

აქვე პირადად **ირაკლი ღარიბაშვილს** მინდა, ვკითხო: რატომ არ ინტერესდებიან მისი მთავრობის წევრები ქართული მიწების გაყიდვით? იციან თუ არა იმის შესახებ, რომ არაბებს დიდძალი მიწები გადაეცათ და კასპის რაიონში სოფელს აშენებენ?! უკვე ტელევიზიითაც აღარ მალავენ — **კარგად ვგრძნობთ თავს, არსად წასვლას არ ვაპირებთ, მეტიც, ჩვენი ძმებიც და დებიც უნდა ჩამოვიყვანოთ და აქ დავასახლოთო!** რას ნიშნავს ეს, იყიდება საქართველო?! ყველას უნდა მოეთხოვოს პასუხი, არა აქვს მნიშვნელობა, ჩინოვნიკი იქნება თუ პარლამენტარი.

**გიჟებივით რომ გაჰყვირიან ე.წ. ოპოზიციონერები, დიდი რაოდენობით რუსები გადმოდიანო, იმას ვერ ხედავენ, თავზე ირანელები, თურქები და არაბები რომ გვასხედან და აქედან წასვლას არ აპირებენ?**

**— და მაინც, რუსეთის თემა ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვლადიმერ პუტინმა მობილიზაცია გამოაცხადა.**

— მობილიზაცია რუსეთის ხელისუფლებას აქტიური საომარი მოქმედებებისათვის არ გამოუცხადებია. ეს იმისთვის სჭირდებათ, რომ ხალხი დაპყრობილ ზონებში გადაისროლონ და რეგიონები შეინარჩუნონ. ჯერ კიდევ როდის გითხარით, ეს ომი დიდხანს გაგრძელდება-მეთქი. პირველ რიგში, ეს ამერიკის ინტერესებში შედის, ოღონდ, არ გეგონოთ, რუსეთის დაშლა სურთ.

**— აბა?**

— ამერიკელები არ არიან ისეთი სულელები, რომ ვერ აცნობიერებდნენ, რა შეიძლება მოჰყვეს რუსეთის დაშლას. მტრისას, ისეთი კატაკლიზმები და არეულობა შეიძლება გამოიწვიოს მსოფლიოში. რომელი ქვეყანა საით გაიქცევა, კაცმა არ იცის. მერე ნახეთ აპოკალიფსი! ამიტომ ამერიკას რუსეთის დაშლა კი არა, დასუსტება აწყობს. სხვათაშორის, **ეგონათ, რუსეთს ეკონომიკური სანქციებით უფრო მეტად დაქანცავდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა, არ არის დღეს რუსეთი ისეთი დაქცეული, როგორც ვარაუდობდნენ.** მეორეც, საბოლოოდ ყველაფერი მოლაპარაკების გზით წყდება. ამჟამად რუსეთსა და ამერიკას შორის მოლაპარაკებები საუდის არაბეთში მიდის. ოღონდ ეს ხდება ჩუმად, კულისებში. როგორც ისინი მოილაპარაკებენ, ისე განვითარდება მოვლენები. ასე იყო მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, რადგან ყველაფერი რუსეთ-ამერიკის მოლაპარაკების შედეგად წყდებოდა. უკრაინის არსებობის საკითხიც, საქართველოს ბედიც და ევროპის მომავალიც დღესაც ამ მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული. თუ აშშ-ში შეიცვლება მთავრობა, ცხადია, ეს მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს შეთანხმებაზე.

**— კიდევ არის საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის საშიშროება?**

— ერთი რამ კარგად დაიმახსოვრეთ — სანამ არსებობენ ნაციონალური მოძრაობა, ვაისაზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი გამოზრდილი ომბუდსმენები და კელი დეგნანისნაირი ელჩები, საქართველო მუდამ საფრთხის ქვეშ იქნება! **ვიდრე მათ არ მოვიშორებთ, ქვეყანა ვერ დაწყნარდება!** ალბათ, უკვე მეათასედ ვამბობ ამას.

**— რადგანაც ნაციონალები ახსენეთ, ერთსაც გკითხავთ — უნდა გადასცეს თუ არა საქართველოს ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილი უკრაინას?**

— არ უნდა გადასცეს, მიხეილ სააკაშვილმა აქ უნდა მოიხადოს სასჯელი, მეტიც, ჩემი ნება რომ იყოს, უფრო მეტსაც მივუსჯიდი! უკრაინაში მისი წასვლა იქიდან მეორე ფრონტის გახსნას ნიშნავს. არ შეუძლია მას პოლიტიკის გარეშე — დაიწყებს ოპოზიციის დაფინანსებას, ბრძანებების გაცემას ქვეყანაში სიტუაციის ასარევად. ჩვენ ხომ ეს ყველაფერი ნანახი გვაქვს? რამდენ პატიმარს დისკომფორტი ექნება, ყველა რომ ციხიდან გამოვუშვათ, წარმოგიდგენიათ, რა მოხდება? მერე რა, რომ სააკაშვილი ოდესღაც პრეზიდენტი იყო, ეს პრივილეგია არ არის, ის სხვა პატიმრებისგან არაფრით განსხვავდება.

მთავრობამ არც ეს და არც ომბუდსმენის საკითხი არ უნდა დათმოს. ქართველი ხალხი „ქართულ ოცნებას“ აღარ აპატიებს კიდევ ხუთი წელი ვიღაც მორიგი ნაციონალის მოსმენას სახალხო დამცველის რანგში.

რაც შეეხება საზოგადოებას — ოპოზიციური ძალები აუცილებლად შეეცდებიან დაბნელებების დერეფანში სიტუაციის არევას, ხალხის ქუჩაში გამოყვანას. **ვაფრთხილებ ქართველ ხალხს — პროვოკაციებს არ წამოეგოს!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***




# თავი ჰელოუინის აღნიშვნას!»

## კვირგვინოსნები



**ჯონდი ბაღათურია**
*„ქართული დასის“ ლიდერი*

**დეოლიგარქიზაცია** ნაცების ოლიგარქებით და დამფინანსებლებით უნდა დაიწყოს. რაც შეეხება **ივანიშვილს,** მან ქვეყნისთვის კრიტიკულ მომენტში ძალიან ღირსეული, გაბედული და პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილება მიიღო. **მას დასავლეთი დღემდე „აკაჩავებს“, რათა ივანიშვილმა მთავრობა აიძულოს, ქვეყანა ომში ჩაერთოს.** ბატონმა ბიძინამ ეს ნაბიჯი არ გადადგა, რაც დასაფასებელია. დიახ, ეს მისი მხრიდან პატრიოტული ნაბიჯია. **ივანიშვილმა არ გაგვყიდა!**

„საერთო გაზეთი“



**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*

2007-2008 წლამდე **ბიძინა ივანიშვილი** ქართულ სახელმწიფოს გვერდზე ედგა — **აიარაღებდა ქართულ ჯარს, ეხმარებოდა ქართულ პოლიციას, პროკურატურას, სასამართლოს.** მაშინ არავის რატომღაც **ივანიშვილი** ოლიგარქად არ წარმოედგინა. **ივანიშვილი** ოლიგარქი გახდა მას შემდეგ, რაც კუდით ქვა ასროლინა 2012 წლის 1 ოქტომბერს ხელისუფლებიდან ამ ავაზაკებს.

„რეზონანსი“



**კახა კუკავა**
*„თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე*

ერთადერთი მთავრობა იყო **გამსახურდიას ეროვნული მთავრობა,** როცა კონსტიტუციაში ეწერა ბინის საკუთრების უფლება.

თუ გვინდა, მომავალი ჰქონდეს ქართველ ხალხს, ჩვენ იძულებული უნდა გავხადოთ, საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ **დაასრულოს მევახშეობის პარპაში.** დღევანდელი ხელისუფლება ატარებს პოლიტიკას **„საქართველო ქართველების გარეშე“.**

„ალია“



**დიმიტრი ხუნდაძე**
*მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი*

მუდმივად ვდგავართ **ღია კართან,** რომელიც ყველაზე მეტად როცა გვჭირდება, მაშინ იხურება, სამაგიეროდ, **ღიაა ფრონტის კარი** და იქ არათუ იოლად შეგვიშვებენ, არამედ გვეპატიჟებიან კიდეც.

„პირველი არხი“



# გიგლა ბარამიძე: სააკაშვილმა სასჯელი ბოლომდე უნდა მოიხადოს და მის წინააღმდეგ კიდევ ბევრი სისხლის სამართლის საქმე აღიძრას!



**„ხელისუფლებას მოვუწოდებ – დროზე გამოიყვანონ კლინიკის ლუქს-პალატიდან და დააბრუნონ საკანში, სადაც მისი ადგილია!“**

*ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ დამოუკიდებელ ოპოზიციონერს, აღმოსავლეთმცოდნე* **გიგლა ბარამიძეს** *ვესაუბრებით:*

— უპირველეს ყოვლისა, ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ვაკის პარკში დატრიალებული დიდი ტრაგედიის გამო და ვუსამძიმრებ გარდაცვლილი მოზარდის — **მარიტა მეფარიშვილის** მშობლებს, ოჯახის წევრებსა და სრულიად საქართველოს. რაც მოხდა, ეს მთელი ქვეყნის ტკივილი და უბედურებაა.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ამაზრზენია სისხლს მოწყურებული ნაცბანდის უკეთური სისინი და შაბაში, რომელსაც ამ ტრაგედიის კვალდაკვალ ვხედავთ. ეს **ნაცვენერიულები** კვლავ ცდილობენ, სხვის უბედურებაზე ხელის მოთბობასა და თავიანთი ბინძური პოლიტიკური ზრახვების განხორციელებას. მათ ასალაგმავად მხოლოდ საუბარი აღარ კმარა, კონკრეტული ქმედებებია საჭირო, რათა **ნაცპარაზიტები** სამუდამოდ გაქრნენ პოლიტიკური ველიდან.

და კიდევ: **იმ სამსახურებსა თუ კონკრეტულ პირებს, რომლებსაც ევალებოდათ, რომ შადრევანს გამართულად და უსაფრთხოდ ემუშავა, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა მოეთხოვოთ პასუხი, რათა მსგავსი უბედურება აღარასოდეს განმეორდეს!**

**— ნაცსექტის ერთ-ერთმა მოკავშირემ, ლიეტუველმა ევროპარლამენტარმა რასა იუკნევიჩიენემ საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციებსაც შეუერთდეს და უკრაინას სამხედრო დახმარებაც აღმოუჩინოს! როგორ ფიქრობთ, საქართველოს ომში ჩათრევის თემა კვლავ აქტუალურია?**

— მინდა, ევროპარლამენტარ **რასა იუკნევიჩიენეს** გულულად მივმართო — **რასა, რასაა რომ ბჟუტურებ?!** ეს დედაკაცი არის **პოლიტიკური ჯოჯოხეთის მაშხალა** კუბილიუს-ფოტიგა-კრამონებთან ერთად, რომლებსაც დავალებული აქვთ, საქართველოში სიტუაცია არიონ და ხელისუფლებაში სისხლიანი ნაცბანდა დააბრუნონ! ამ პოლიტიკურ არამზადებს არავითარი კავშირი არა აქვთ ნამდვილ ევროპულ ფასეულობებთან და მხოლოდ უნამუსო მერკანტილისტები არიან, რომლებიც თავიანთი განცხადებებით პირად სარგებელს ნახულობენ!

პირდაპირ ვამბობ:

## ბარაქალა საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, რომ ეს ქვეყანა საჯიჯგნად არ მიუგდო იუკნევიჩიენე-ფოტიგა-კუბილიუსებს, რომლებიც ნაცბანდის დროს სწორედ საქართველოს ჯიჯგნას იყვნენ დაჩვეული!

აქვე შეგახსენებთ, რომ ეს პოლიტიკური ჯოჯოხეთის მაშხალა **რასა** თუ **რაისა იუკნევიჩიენე** ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ აცხადებდა — **საქართველო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვას უნდა შეეგუოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება, ნატოში გაწევრიანდესო!** აი, ასეთი პოლიტიკური წუნკალია ეს დედაკაცი!

**— არც უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან წყდება პროვოკაციული განცხადებები საქართველოს მისამართით. მაგალითად, ზელენსკის მრჩეველმა პოდოლიაკმა რამდენიმე დღის წინათ ბიძინა ივანიშვილი კვლავ დაადანაშაულა კრემლთან თანამშრომლობაში, თუმცა, ამის დამამტკიცებელი რაიმე ფაქტი ან საბუთი ვერც ამჯერად წარმოადგინა!**

— უკრაინის ხელისუფლების არაერთი წარმომადგენელი კაცთმოძულე ნაცბანდის სულიერი ნათესავია და ამიტომ მათგან არაფერი უნდა გაგვიკვირდეს. **ქართველმა „პოდოლიაკებმა“ საქართველო დააქციეს, უკრაინელი „პოდოლიაკები“ კი უკრაინის დასაქცევად ყველაფერს აკეთებენ და, სამწუხაროდ, გამოსდით კიდეც.**

## სანამ პოდოლიაკი ბიძინა ივანიშვილის კავშირებზე ილაპარაკებდეს, მანამდე ბელარუსის „კაგებესთან“ თავის კავშირებზე მოუყვეს საზოგადოებას!

ბოლოს და ბოლოს, პოდოლიაკმა და მისმა დამქაშებმა უკრაინელი ხალხის წინაშე პასუხი უნდა აგონ, რადგან კარგა ხნით ადრე იცოდნენ, რომ რუსეთი ომს დაიწყებდა, მაგრამ მშვიდობიანი მოსახლეობა არ გააფრთხილეს და საზარბაზნე ხორცად დატოვეს.

გარდა ამისა, უკრაინის ხელისუფლებამ ქართველ ხალხს უნდა გასცეს პასუხი — **ვირთხობაში გადასული წრუწუნა ადეიშვილი** რატომ გდია მათთან და რატომ ჰყავთ დანიშნული გენერალური პროკურორის მრჩევლად? **საერთაშორისო მაწანწალა და მრავალჯერადი ხმარება-გამოყენების აგენტ-პროვოკატორი სააკაშვილი** რატომ ჰყავდათ თბილად შეფუთული? რატომ უზით კონტრდაზვერვის სამსახურის ერთ-ერთ ხელმძღვანელად ქართული სახელმწიფოს მიერ ძებნილი **ლორთქიფანიძე?**

**— ბოლო პერიოდში კვლავ აჟიოტაჟის საგნად იქცა პატიმარ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რადგან მისმა დედამ, ადვოკატებმა და თანაპარტიელებმა ერთი ამბავი ატეხეს — მიშა კვდებაო! როგორ ფიქრობთ, ნაცბელადი მართლა ცუდად არის თუ მორიგ პოლიტიკურ აფერისტობასთან გვაქვს საქმე?**

— სააკაშვილს არაფერი





## „როგორც სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილე გოგაშვილი გააკულაკეს და საეჭვო გზით შეძენილი უზარმაზარი ქონება დაუყადაღეს, სწორედ ასე უნდა გააკულაკონ სააკაშვილის ოჯახი, პირველ რიგში, დედამისი გიული ალასანია!“

## კვირგვინოსნები

**მურმან დუმბაძე**
*„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშია“ წევრი*



**სააკაშვილი** გამოჯანმრთელდება და დაამტკიცებს, რომ **ნაციონალების ლიდერია.**

„ახალი თაობა“

**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარე*



ამერიკელმა ექსპერტმა დაადასტურა იგივე დიაგნოზი, რომელიც **სააკაშვილს** მანამდე დაუსვეს და რომელსაც რატომღაც მალავენ. ამერიკელმა სპეციალისტმა გაიმეორა, რომ **სააკაშვილს უფრო სულიერი პრობლემები სჭირს, ვიდრე ფიზიკური. სააკაშვილს** უცხოელებიდან თავდებში არავინ უდგება. ამ სიტუაციაში ეჭვი მეპარება, გამოვიდეს მისი სადმე გადაყვანა.

„ახალი თაობა“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



სანამ **სააკაშვილი** დუმს, მგონია, რომ ნაციონალური მოძრაობა არ დაიშლება. ნაციონალურ მოძრაობაში **მელიას** მსგავსი პოლიტიკური ფიგურა არც არსებობს, ცხადია, თუ არ ჩავთვლით **სააკაშვილს.** რა თქმა უნდა, **სააკაშვილს** შეუძლია, შეცვალოს ვითარება, მაგრამ ის ამ ეტაპზე თავისი პრობლემებით არის დაკავებული.

„კვირის პალიტრა“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი*



ვამჯობინებდი, რომ **სააკაშვილის პრობლემა** ქართველებს მოგვშორებოდა და ისე გვეცხოვრა ამ ქვეყანაში.

„რეზონანსი“

**ლადო სადღობელაშვილი**
*სამოქალაქო აქტივისტი*



ამ **იმპოტენტი ოპოზიციის** შემყურე, ხალხიც გადაირია, აღარ იციან, ვის ენდონ.

„ალია“

## „მინდა, ევრო-პარლამენტარ რასა იუკნევიჩიენეს გურულად მივმართო:



# რასა, რასაა რომ ბჟუტუ-რებ?!“

სჭირს, გარდა იმისა, რომ ციხეში ყოფნა არ უნდა! ხელისუფლებას მოვუწოდებ — დროზე გამოიყვანონ კლინიკის ლუქს-პალატიდან და დააბრუნონ საკანში, სადაც მისი ადგილია!

რა სასჯელის გადავადება და რის უცხოეთში გადაყვანა, სააკაშვილმა მისჯილი პატიმრობა ბოლომდე უნდა მოიხადოს და მის წინააღმდეგ კიდევ ბევრი სისხლის სამართლის საქმე აღიძრას!

**და კიდევ:** როგორც სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილე **გოგაშვილი** გააკულაკეს და საეჭვო გზით შეძენილი უზარმაზარი ქონება დაუყადაღეს, სწორედ ასე უნდა გააკულაკონ სააკაშვილის ოჯახი, პირველ რიგში კი, დედამისი **გიული ალასანია,** რომელიც საშუალოზე დაბალი დონის მეცნიერ-თანამშრომელი იყო, მაგრამ ასეულობით მილიონის ქონება აქვს დაგროვილი! **ეს ქალბატონი უნდა განვიხილოთ, როგორც საკუთარი შვილის პირდაპირი თანამზრახველი ყველა ბინძურ საქმეში და, მათ შორის, ქართველი ხალხის გაყვლეფაში!**

## კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სისტემური უნდა იყოს და, კეზერაშვილით დაწყებული, გიულა-ხანუმით დამთავრებული, ყველასგან ამოღებული იქნას ის მილიარდები, რაც ქართველ ხალხს წაართვეს!

სააკაშვილისა და მისი ოჯახის მიერ მოპარული ქონების ნუსხა ცხვირწინ უნდა დავუდოთ **ფოტიგა-კუბილიუს-იუკნევიჩიენეებს** და, აბა, მერე ამოიკნავლონ! მერწმუნეთ, ისე გაიძურწებიან, ხმას ვერ ამოიღებენ!

**— დაბოლოს: ყირიმის ხიდის აფეთქებას რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ძალიან მკაცრი პასუხი მოჰყვა, რაც უკრაინული ქალაქების, მათ შორის, კიევის დაბომბვაში გამოიხატა. როგორ ფიქრობთ, ეს ომი კიდევ უფრო სასტიკ სახეს მიიღებს?**

— რა თქმა უნდა, ვითარება უფრო გართულდება, რადგან

## დიდი სამხედრო სამრეწველო კომპლექსები უკრაინის ომში 250-პროცენტიან მოგებას ნახულობენ და მსოფლიოს ბევრი პოლიტიკური ლიდერი დაინტერესებულია, ეს ომი რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს!

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში უკრაინულ არმიას ლოკალური წარმატება აქვს, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უკრაინისათვის კარგი არაფერი ხდება.

**სამწუხაროდ, მსოფლიოში ძალიან მცირეა იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც უკრაინაში სისხლისღვრის შეჩერებით არიან დაინტერესებული!**

*ესაუბრა*

***ჯაბა ხუბუა***



# მებარკლე ფადიასლის მრისხანე დირექტივა



***ვინმე ფადი ასლი 1990-იან წლებში გადმოიხვეწა ლიბანიდან. არაბმა უმფროსმა გამოაგზავნა ბანანების გასაყიდად. კი გაყიდა, მაგრამ ნახევარი „მოუტეხა“. ამ ხელიდან წასული გარეწრის ბიოგრაფიას დაწვრილებით ვერ მოგიყვებით, შეურაცხყოფას ვერ მოგაყენებთ...***

ან კი რა უნდა მოგიყვეთ, რა დიდი და საინტერესო ბიოგრაფია ამასა აქვს? ჩამოითესლა, ითაღლითა, მერე ბიზნეს-პატრონმა გაუგო, თბილისში ჩამოაკითხა, ეგონა, მეტრო „ვარკეთილის“ მიმდებარედ „იაშიკზე“ ჩამომჯდარს იპოვიდა და რესტორანში აღმოაჩინა! სასამართლოში უჩივლა, მოუგო, გაოგნდა — ეს წუპაკი ქართველებს ლამის პრემიერ-მინისტრად დაუნიშნავთ, დაცვით და ესკორტით დადისო... თანაც, 30 წელიწადია, საქართველოშია და ორი ღერი ქართული ვერ თუ არ ისწავლა, მერე რაღაც თანამდებობა გამოიგონა — ამერიკის საერთაშორისო სავაჭრო პალატა დაარქვა, თვითონ პრეზიდენტად ეკურთხა, ბანანებიდან ქათმის ბარკლების რეალიზაციაზე გადავიდა და ბოლოს ისე გადიდკაცდა, აქეთ ჭკუის დარიგებაც დაგვიწყო. **ერთი-ორჯერ თვალი მოვკარი, თითო პრემიერ-მინისტრებსაც დაუქნია, ღია წერილებითაც მიმართა. უფრო 2012 წლის შემდეგ აიშვა, ნაცთა ჩაქვესკნელება ვერ გადაიტანა, დღემდე იკბინება და დირექტივებსაც იძლევა.** ბოლო დირექტივა 12 ოქტომბერს გამოაცხო, რომელიც რამდენიმე პუნქტად იყოფა — მისი აზრით, კი არა და... **ფიქრითა და ბრძანებით, მიხეილ სააკაშვილი ციხიდან უნდა გათავისუფლდეს! მებარკლე ფადის ეს მოთხოვნა ადრეც ჰქონდა, მაგრამ, რაკი ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა, უფრო გაამკაცრა, გამომეტყველება შეიცვალა, განრისხდა, თვალები მრავალმნიშვნელოვნად გადაატრიალა და უფრო ხმამაღლა დაწერა.**

ფადის შემდეგი მოთხოვნები ასე გამოიყურება (გადმოქართულებლის მიერ ტონი და სტილი დაცულია):

*„უნდა გათავისუფლდეს ყველა ის პატიმარი, რომელთა დაპატიმრებასაც პოლიტიკური სარჩული უდევს!*

*ყოფილი მთავრობის მაღალჩინოსნებს, რომლებსაც ბრალი წარედგინათ და პატიმრობა მიესაჯათ, უნდა შეეხოთ ამნისტია!*

*ყოფილი მთავრობის იმ მაღალჩინოსნებს, რომლებიც გადასახლებულნი არიან, უნდა მიეცეთ საქართველოში დაბრუნების უფლება!*

***ყველა ოპოზიციური ჟურნალისტი და მედიის მფლობელნი, რომლებსაც ბრალი აქვთ წარდგენილი, ბრალი უნდა მოეხსნათ!***

*ოპოზიციურად განწყობილი ბიზნესის მფლობელებს, რომლებსაც ქონება ან ბიზნესები ჩამოერთვათ ამ მთავრობის მიერ, უნდა დაუბრუნდეთ!*

***ამ მთავრობის ყველა მაღალჩინოსანს უნდა შეეხოს ამნისტია იმ დანაშაულებზე, რომლებიც შესაძლოა, ჩაიდინეს!***

***გულწრფელი ეროვნული შერიგება საქართველოში იხსნის ქვეყანას რეგრესისგან“!***

მოდით, **მებარკლე ფადის** მოთხოვნების განხილვა ბოლოდან დავიწყოთ: ამან, ამ არამკითხე მოამბემ არ იცის, რომ **საქართველოს მოსახლეობის ჯანსაღი ნაწილი არ აპირებს საქართველოს მოსახლეობის დამნაშავე და ავადმყოფ ნაწილთან შერიგებას.** ისე, ყველამ თავის ლიბანს რომ მიხედოს, ვერა?!

# ყველამ თავის ლიბანს მიხედოს!

სხვათაშორის, **მისტერ მებარკლე** ძალზე გულმოწყალეა — იგი ითხოვს არამხოლოდ **იმ მთავრობის** დაპატიმრებული ჩინოვნიკების სასწრაფოდ გათავისუფლებას, არამედ ითხოვს **ამ მთავრობის** ჩინოვნიკების ამნისტიასაც, რომლებსაც შესაძლოა, ჩადენილი აქვთ დანაშაული. ხედავთ, როგორი საინტერესო ფორმულირებაა? **ფადის აზრით, ამნისტია უნდა შეეხოთ ამ მთავრობის ჩინოვნიკებს** (არ ამბობს, ყოფილებსო), **რომლებმაც შესაძლოა, ჩაიდინონ დანაშაულიო.** ამას ჰქვია **ამნისტია წინსწრებით.** რა ქნას ახლა ამან, ამ ბეირუთელმა ჯეელმა, ამ მთავრობის ჩინოვნიკები ჯერ არ დაუპატიმრებიათ და საკუთარი დირექტივა ხომ უნდა დააბალანსოს? მარტო იმათ გათავისუფლებას რომ ითხოვს, ამათიც ხომ უნდა მოითხოვოს?

**ოპოზიციურად განწყობილი ბიზნესის მფლობელებს, რომლებსაც ქონება ან ბიზნესები ჩამოერთვათ, ამ მთავრობის მიერ უნდა დაუბრუნდეთო!** — არაკუნებს ე.წ. ბიზნესმენი. ახლა ამას ქართული ენა საყველპუროდ მაინც რომ ესწავლა, ხომ ეცოდინებოდა, რომ **ოპოზიციურად განწყობილი ბიზნესი** ბუნებაში არ არსებობს? ბიზნესი არის ბიზნესი, ხოლო ოპოზიციურად შეიძლება განეწყოს ბიზნესმენი. ამას გარდა, **თუ ადამიანი გონებრივად შეზღუდული არ ხარ, იმასაც უნდა ხედავდე ან ხვდებოდე, რომ, თუ ამ ხელისუფლების პირობებში ვინმეა გაჯეჯილებული, ესენი არიან ე.წ. ოპოზიციონერი ბიზნესმენები, რომლებიც ხშირად ამ ქვეყანაში საბოტაჟსაც კი ეწევიან.** ეს ცალკე თემაა, შორს წაგვიყვანს, მაგრამ ფაქტია, ლიბანიდან ჩამოხეტებული **მიშარასტულად** აზროვნებს, თეთრზე იძახის, შავიაო.

კაი, ბატონო, ჯანდაბას, **როცა 30 წელიწადი ამ ქვეყანაში მიდი-მოდიხარ, შეიძლება საკუთარი მოსაზრებებიც გაგიჩნდეს და გამოთქვა კიდევაც, ამდენი სისულელის გამო არავინ გსჯის, ბუზებს არავინ გიფრენს, მაგრამ ეს არ იძლევა იმის უფლებას, მთელი ქვეყანა გამოლანძღო, დაამცირო და იმ ადამიანზე აუგი ილაპარაკო, რომელმაც თითქმის ყველაფერი გაიღო — ფინანსები, ენერგია, დრო, საკუთარი ოჯახის სიმშვიდე...** მებარკლე ფადი **ბიძინა ივანიშვილსაც** ეხება, ეს ადამიანი ისეა სიძულვილით შეპყრობილი, ისეთი ვიწრო მსოფლმხედველობა აქვს, ისეთი აზროვნებისაა, არ მგონია, ჩემი მოწოდებები გააცნობიეროს და ხალხის ინტერესების დასაცავად იმოქმედოსო.

მეგობრებო, აქ უნდა გავიცინოთ... აბა, როგორ შეიძლება, **უსამშობლო** (სტუმარსაც რომ ვერ უწოდებ) და **დაუპატიჟებელმა ბოგანომ** ქართველ ქველმოქმედს თავისივე ქვეყანაში აზროვნება და მსოფლმხედველობა დაუწუნოს? თან ისაო, ბიძინა ივანიშვილი სიძულვილით არის შეპყრობილი, ეგ ჩემს ფიქრებსა და ტკივილს ვერ გააცნობიერებსო... აი, მე რომ მტკივა და განვიცდი ამ ქვეყნის რეგრესს, ნამდვილი პატრიოტიზმი ეს არიო.

**რაღა დაგიმალოთ, ჩემო ძვირფასებო და... მიუხედავად ასეთი თავხედობისა, მე მაინც კმაყოფილი ვარ, რომ მასწავლებლებად ასეთი სულელები გამოგვიჩნდებიან ხოლმე, და არა ჭკუიანები, მაგაში ბედი გვაქვს** (მგონი, ჩვენი გადარჩენის კოდიც ეგაა) — **მოდიან, გვართობენ, გვაცინებენ, გვახითხითებენ და მერე ქრებიან შარშანწინდელი თოვლ-ჭყაპივით.** ამას, ამ მებარკლეს ცოტა გაუგრძელდა... ვინმემ გადაეცით, ყველამ თავის ბეირუთსა და ლიბანს მიხედოს!

***გელა ზედელაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ნინო ბურჯანაძე**
*პოლიტიკოსი*



ის **კატასტროფული შეცდომები,** რომლებიც ოპოზიციამ დაუშვა, არც ცხოვრებაში და არც პოლიტიკაში დაუსჯელი არ რჩება. თუ ასე გაგრძელდა, 2024 წელს პარლამენტი დალაგდება იმ სქემით, რომელიც დღეს ჩაფიქრებული აქვს **ბიძინა ივანიშვილს. „ქართული ოცნება“** — უმრავლესობით, **ნაციონალური მოძრაობა** — იმაზე ნაკლები წარმომადგენლობით, ვიდრე დღეს არის და, ალბათ, **ე.წ. განდგომილების პარტია,** რომელსაც ამზადებენ 2024 წლისთვის.

„ახალი თაობა“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



**სააკაშვილიც და გვარამიაც ივანიშვილის** ხელში შეერთებულ შტატებთან და დასავლეთთან სავაჭროდ **ოქროს მძევლები** არიან. მე მგონია, რომ **ბიძინა ივანიშვილი** სერიოზულ ფორსმაჟორს მოუწყობს ოპოზიციას და **ვადამდელ არჩევნებს** დანიშნავს.

„ახალი თაობა“

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



საქართველოში **გადატრიალება, რევოლუცია შეუძლებელია.** რევოლუციურმა პოტენციალმა საკუთარი თავი ამოწურა.

„საერთო გაზეთი“

**დათო მაღრაძე**
*პოეტი*



მთელი მსოფლიო შეიშალა. დაგვსაჯეს იმიტომ, რომ **მეორე ფრონტი** არ გავხსენით, რაც ჩვენთვის თვითგანადგურების ტოლფასი იქნებოდა.

„კვირის პალიტრა“

*წუხელ მაგარი სიზმარი ნახა... საქართველოში დემოკრატიული ქარიშხალი ამოვარდნილიყო, პლურალისტურ გრიგალს ხელისუფლება წაელეკა, ოლიგარქია ცეცხლში შთანთქმულიყო. მშრომელთა ფართო მასები რუსთაველის პროსპექტზე გამოსულიყვნენ, მათ სათავეში რომან გოცირიძე, ნიკოლოზ მაჭუტაძე, პაატა ბურჭულაძე, მეგი გოცირიძე, ბადრი ფუგლაძე და პეტრე ცისკარიშვილი ჩასდგომოდნენ. თბილისის თავზე ვარდისფერი დროშა აეფრიალებინათ, რომელზეც მისი პორტრეტი გამოესახნათ. ამინდი ისეთივე იყო, როგორც 2003 წლის ნოემბერში — სასიამოვნოდ ჟინჟღლავდა.*

ესოდენ მნიშვნელოვანი სიზმარი ექთანმა შეაწყვეტინა — **ბატონო მიხეილ, ნერვული სისტემის დასამშვიდებელი ნემსი უნდა გაგიკეთოთ ნაპირა დუნდულაშიო.** ჯერ შეხტა, შემდეგ ფეხი გაიქნია და ანგარიშმიუცემლად წამოიჯღნავლა:

**— ააააჰხხხყყყყ!**

ექთნები და ექიმები მიეჩვივნენ ეგეთ უცნაურ ჯღნავილს. ადრე ეშინოდათ, ახლა აღარ. ერთი ეგ იყო, ბატონი მიხეილი ნაპირა დუნდულაში ნემსის გაკეთებას ყოველთვის აპროტესტებდა, **ბიძინა ივანიშვილს ჩემი სიკვდილი უნდა ექთნის ხელითო.** თუმცა, რამდენიმეწუთიანი ახსნა-განმარტების შემდეგ ყაბულს იყო, ოღონდ ერთი პირობით, **ექთანს დედა უნდა დაეფიცა, რომ ივანიშვილის დავალებას არ ასრულებდა.** ექთნებიც ყოველდღე იმეორებდნენ, რომ მისი სიკვდილის თაობაზე ზემოდან დირექტივა არ მიუღიათ და რომც მიიღონ, არ შეასრულებენ.

— **ბატონო მიხეილ, თუ შეიძლება, გადატრიალდით,** — მიმართა ექთანმა ფიცის დადების შემდეგ.

— **ჰმ... შენ იცი, რაოდენ მნიშვნელოვანი სიზმარი ჩაშალე?!** — მიუგო უჟმური გამომეტყველებით მიხეილმა და მოურიდებლად გაიზმორა.

— **არა, აბა, საიდან უნდა ვიცოდე?** — შეცბა ექთანი.

**— სანამ მე პრეზიდენტი ვიყავი, ყველამ ყველაფერი იცოდა, სანამ რამეს გავიფიქრებდი, უკვე ხვდებოდნენ, რა მინდოდა!**

— **მახსოვს,** — ჩაილაპარაკა ექთანმა და პაციენტს ნაპირა დუნდული სპირტიანი ბამბით დაუზილა.

— **ააააჰხხხხყყყყ!** — ისევ ამოიჯღნავლა მიხეილმა.

პალატის კარი ნახევრად გაიღო, ყარაულმა თავი შემოყო და ოფიციალურად განაცხადა:

**— ქალბატონი გიულ-დედული მობრძანდა, დღეს მიღების საათები გაქვთ?**

**— დიახ, ცოტა მოგვიანებით ჯობდა, დილით ქვეყნის განვითარების გეგმაზე მინდოდა მუშაობა, მაგრამ რაკი მობრძანდა, მივიღებ,** — აიწია შარვალი მიხეილმა და „კრაოტზე“ გადაყირავდა.

ექთანი გავიდა, გიულ-დედული შემოგოგმანდა. სალათისფერი კაბა მუხლებსაც ვეღარ უფარავდა. მერილინ მონროს სტილში დაყენებული „პრიჩოსკა“ ასაკს უკარგავდა, იმდენ წელს აღარ აძლევდა, რამდენიც სინამდვილეში ჰქონდა, ბაგენი და ტუჩ-კბილნი უცინოდა, სახეზე ათინათი დასთამაშებდა. მიხეილი წამოიწია, დედულის ცერად გახედა, მის სახეზე იჭვნეულობამ იმატა, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა... უფრო სწორად, ნახევარი გადაყლაპა, ნახევარი კიდევ ბალიშზე დაეღვარა, ვეღარ გაეგო, იგი დედული იყო თუ სხვა ვინმე, რომელიც აქამომდე არსად ენახა. მიხეილი წამოდგა, მაგრამ უცებ შექანავდა და „კრაოტზე“ ისევ გადაყირავდა.



**— შვილო, მიხეილ, ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილო.**
**— რა საიდუმლო? გათხოვებას რომ აპირებ, ეგ უკვე ვიცი!** — წამოუწითლდა სახე მიხეილს.
**— ეკა ხერხეულმა გითხრა? ეგ ქალი ძალიან ცუდად დაძვრება აქა!** — წამოუწითლდა სახე გიულ-დედულისაც.

**— შვილო, მიხეილ, რატომ ქანაობ?** — ჩაეკითხა დედული.
**— მექანავება და ვქანაობ!**
**— სხვათაშორის, ეგ ქანაობა გენეტიკურია, მამაშენი ნიკოლოზიც ეგრე ქანაობდა, სულ იძახდა, მექანავება და ვქანაობო, ამიტომაც გავცილდი, მე სად შემეძლო მასთან ერთად ქანაობა?!**

# სიკვდილა



**— მოკლედ, ეხლა უნდა დავსახოთ ახალი სტრატეგია... აქედან რომ გახვალ, მოძებნი ზელგაჰიანს. მაგას ეტყვი, გადავიდეს ხაჭაპურიძეებში და ილაპარაკოს, ამერიკელმა ექსპერტებმა მიშას ოცდაშვიდი დაავადება დაუდგინეს, იმ თვეში თხუთმეტს კიდე დაუდგენენ, სულ ორმოცდაორი გამოდის-თქვა.**



— **ააააჰხხხხყყყყ!** — გადაბჟირდა მიხეილი.

**— ამ კვირის ბოლოს მსოფლიო დონის ექსპერტი ჩამოდის ამერიკიდან, ნობელის პრემიის ლაურეატი ყოფილა, უმაღლესდამთავრებული, „კნიჟკაცა“ ჰქონია.**

**— თვალებში უნდა ჩამხედოს?**

**— ჰო... მართალია, ორთოპედია, მაგრამ, სამაგიეროდ, ნობელის პრემიის ლაურეატია, შალვა ხაჭაპურიძემ მითხრა, ორთოპედი, მორთოპედი და მოპედი არ ვიცი, ჩვენ ავტორიტეტული ადამიანის დასკვნა გვჭირდება, რათა გამოვუშვათო. ეგ კაცი თვალებში ჩახედავს, ბევრ რამეს ამოიკითხავს და მერე ქაღალდზე გადაიტანსო.**

— **შალვას თვალებდახუჭული ვენდობი.**

— **უნდა გაახილოსო, არ დახუჭოსო, ორთოპედს გაუჭირდება დასკვნის დაწერაო.**

— **რა თქმა უნდა, გავახელ... ეჰ, დედული, თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, როგორც ჯორთა ჯოგს წყარო ანკარა... გენიოსი იყო ჯუმბერ ბაირონი, ასეთ სიბრძნეს სხვა ვერავინ იტყოდა.**

— **სწორედაც რომ ეგრეა, მაგრამ განა ბაირონს ჯუმბერა ერქვა?** — ჩაფიქრდა გიულ-დედული.

— **პოეტების სახელები ხშირად მეშლება... ჯუმბერა არა, ჯემალა!**

— **ჰო, მა რააა... ჯემალა ერქვა და ნათესავადაც მოგვხვდებოდა დიდი ბებიის მხრიდან.**

— **მოკლედ, ეხლა უნდა დავსახოთ ახალი სტრატეგია... აქედან რომ გახვალ, მოძებნი ზელგაჰიანს. მაგას ეტყვი, გადავიდეს ხაჭაპურიძეებში და ილაპარაკოს, ამერიკელმა ექსპერტებმა მიშას ოცდაშვიდი დაავადება დაუდგინეს, იმ თვეში თხუთმეტს კიდე დაუდგენენ, სულ ორმოცდაორი გამოდის-თქვა.** თავის მხრივ, შალვა ხაჭაპურიძე უნდა დაელაპარაკოს პეტრე ცისკარიშვილს, რათა ხმები დაყაროს, თითქოს მე საქართველო და ქართული პოლიტიკა აღარ მაინტერესებს, მარტო უკრაინულიღა მევასება. **კობა ნაყოფიასთან** უნდა მივიდეს **გია ბარამიძე,** მოილაპარაკონ, როგორ იცემოს თავის კაბინეტში **მელია.** მეორე დღეს ინფორმაცია გაავრცელონ, ვითომ ნიკანორმა ხელი სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის დროს მოიტეხა.

— **მშვენიალური სტრატეგიააა... თუმცა, ამდენი რანაირად უნდა დავიმახსოვრო?** — შეწუხდა დედული.

**— ტელეფონის ნომერს მოგცემ, დაურეკე რეფერანტ ხერხეულიძეს და ამოგიბეჭდავს.**

**— მაშ, სამართალი სად არი? მაშ, ჩემი გენიოსი შვილი პალატაში უნდა იწვეს და ზოგიერთი კიდე ოლიგარქობდეს?** — ამოიგმინა დედულიმ და მიხეილს გამოემშვიდობა.

— **მე იმნაირი სიზმარი მეზმანა, მალე ეგრე აღარ იქნება,** — დაადევნა იმედიანი სიტყვა მიხეილმა და კიდევ ერთხელ ამოიჯღნავლა — **ააააჰხხხხყყყყ!**

ეს იყო გულწრფელი ამოჯღნავლება, გულიდან დარდისა და ვაების ამოღება. ქალაქში ხმები გავარდნილიყო, მიხეილისთვის ახალი სახელი დაურქმევნიათო — **სიკვდილა.** რათა? **იმათა, რო ამდენი ხანია, კვდება და ველარ მოკვდაო. განა ეგეთი უზნეო ხალხი იმსახურებდა მისნაირ მზრუნველ პრეზიდენტს?** დღე მაგან არ იცოდა და ღამე, ხან აღმა დააჭენებდა, ხან კიდე დაღმა. სანამ მოვიდოდა, კი ისხდნენ ქართველები უკუნში, მოვიდა, ჰქმნა ნათელი და ვინ დაუფასა? არც არავინ!

**ჰმ... კვდება და ველარა კვდებაო, კაცოოოო.**



**– კობა ნაყოფიასთან უნდა მივიდეს გია ბარამიძე, მოილაპარაკონ, როგორ იცემოს თავის კაბინეტში მელია. მეორე დღეს ინფორმაცია გაავრცელონ, ვითომ ნიკანორმა ხელი სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის დროს მოიტეხა!**

ნოველა რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით დაწერა

***გელა ზედელაშვილმა***

## კვირგვინოსნები

**თაკო ჩარკვიანი**
*„კანონი და სამართალი“ ლიდერი*



**თამარ ჩარკვიანთან ცოტა ფრთხილად!** მე სხვა ღირებულებებზე ვარ გაზრდილი და **ანი წითლიძე** ეტყობა, ამას ვერ იგებს, ჩემთვის არის საქართველო უპირველეს ყოვლისა. **საქართველოისტი ვარ,** ასე დავრჩები და ასე გავიარე ტალახის ოკეანეში 2018 წელს. შენიშვნასაც მიიღებენ და თუ საჭირო გახდება, **ამომრჩევლის მოთხოვნით გადადგება უნიათო მელია!**

„აიპრესი“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ეკონომისტი*



**ელენე ხოშტარიავ,** შენი ოჯახის ჯიბეში რამდენი მილიონი სანქცირებული რუბლია? ასე ხდება, როდესაც ბინძურ და უტიფარ პოლიტიკანებს შუბლის ძარღვი გაუწყდებათ, თორემ **ეს დედაკაცი ხმას როგორ უნდა იღებდეს, წლებია, კრემლიდან ფინანსდება.**

„იმედინიუსი“

**ბადრი ჯაფარიძე**
*პარტია „ლელოს“ ლიდერი*



**ხალხს არ მოსწონს ეს ხელისუფლება** და სურს, რაც შეიძლება სწრაფად შეიცვალოს, მაგრამ ეს ჯერ ვერ ხერხდება და ამიტომ **ოპოზიციაზეც ბრაზობს.**

„კვირის პალიტრა“

*ტრივიალური ამბავია — ფრანგ კრიმინალისტებს, რომლებიც ყველაზე საშინელ და ამაზრზენ მკვლელობებს იძიებდნენ, ეკუთვნით ცნობილი ფრაზა — „ეძიე ქალი!“ ხოლო გასაცოდავებულ და გაძაღლებულ ქართულ პოლიტიკაში, თუკი სადმე ღალატის სუნი გეცათ და აქა-იქ მიცვალებულებსაც ჰკიდეთ თვალი, აუცილებლად „ეძიე ვალერი!“*

# ვალერი გამოძახებით






ალბათ, მიხვდით, რომ წინამდებარე წერილი არც ლეგენდარულ **ვალერი ჩკალოვს** ეძღვნება, არც — **ვალერი ლობანოვსკის,** არც — **ვალერი კვარაცხელიას** და არც — უშიშროების ყოფილ მინისტრ **ვალერი ხაბურძანიას,** რომელსაც შევარდნაძემ „ვარდების რევოლუცია“ ისე მოუწყო, რომ ვერაფერი გაიგო... **ცხადია, ლაპარაკია ვალერი გელბახიანზე, რომელიც ვის კარზეც კი მოურავად ან მეთულუხჩედ დადგა, ზოგი ქვეყნიდან გააქცია, ზოგი მიწაში ჩააწვინა, ხოლო ზოგი დააწვინა!**

ასე, მაგალითად, **ასლან აბაშიძე,** რომელსაც **ვალერი გელბახიანმა გიორგი თარგამაძეზე** უფრო ადრე უგანა, დღემდე საქართველოში ვერ ჩამოდის და ჩრდილოეთის ყინულოვანი იმპერიის დედაქალაქში — მოსკოვში ელოდება ბათუმის ჩახჩახა მზის ამოსვლას...

რაც შეეხება **ბადრი პატარკაციშვილსა** და **ბორის ბერეზოვსკის,** რომლებთანაც **გელბახიანს** პირდაპირი კავშირი ჰქონდა, დღეს ერთიც მკვდარია და მეორეც, ხოლო ვალერი უსინდისოდ შეეკრა ბადრის მკვლელობის სავარაუდო დამკვეთს — სააკაშვილს და წინა კვირას კლინიკა „ვივამედის“ წინ სულ **„ვავა, ვავას“** გაჰყვიროდა — **არიქა, სააკაშვილს კლავენო!**

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ,

**სადაც ვალერი გელბახიანს დალანდავთ, ადრე თუ გვიან, იქ უსათუოდ გამოჩნდება გეგმური გვამი, მაგრამ ხანდახან შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ გელბახიანმა არაგეგმური მკვდრებიც აიკიდოს!**

ასე, მაგალითად, **ვალერი გელბახიანი** ამ ბოლო დროს ხშირად ჩნდება **გიული ალასანიასა** და **გიორგი ჩალაძის** გარემოცვაში. ამიტომ, პირველ რიგში, მოვუწოდებთ **ქალბატონ გიული ალასანიასა და ექიმ გიორგი ჩალაძეს:** ფრთხილად, თორემ ეგ კაცი ან ერთად ჩაგაწვენთ, **როგორც პატარკაციშვილი და ბერეზოვსკი ჩააწვინა, ანდა ერთად დაგაწვენთ!** არავის თქვენ ხელს არ უშლით, არავინ თქვენ არ გემტერებათ, მაგრამ, რაც უფრო გაემიჯნებით და მოერიდებით ამ დიპლომიან ასტიონას, უფრო დიდხანს იცოცხლებთ და როგორც ცხონებული **ჯოვანი ბოკაჩო** იტყოდა, ამით **„აამებთ ღმერთსაც და ეამება ორთავ მხარესაც!“**

რაც შეეხება სააკაშვილს, თუ ნაცფიურერისა და გელბახიანის ურთიერთობის ისტორიას თვალს შევავლებთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ **გელბახიანი** ისევე, როგორც პატარკაციშვილის **საარჩევნო შტაბში მის მიერ მითრეული ნომრიანი ქოფაკი,** რომელსაც ზნეკეთილი საზოგადოება *ელისტრაკო კილაძედ* მოიხსენიებს, ხოლო **ნინო ნადირაძე-კუზანოვა** — *სამოქალაქო ტუალეტად,* სააკაშვილისა და მთელი მისი საძაღლეთის მიერ „არკადიაში“ ჯაშუშებად იყვნენ გადასხმული. აქედან გამომდინარე, ვინ რაზეა წამსვლელი და ვინ რისი მკადრებელია, გელბახიანმაც იცის და სააკაშვილმაც! **შესაბამისად, წარმოუდგენელია, სააკაშვილი გელბახიანს ენდოს, ანდა პირიქით...** მიუხედავად ამისა, მაინც ვაფრთხილებთ აწ უკვე „ვივამედში“ **„დაწვენილ“** სააკაშვილს — **სანამ გელბახიანი ბადრი პატარკაციშვილის მსგავსად შენც ჩაგაწვენდეს, არ გაიკარო და პალატაში არ შეუშვა, თორემ, თუ ჭიქაში სტრიქნინი ან ციანიდი ჩაგიყარა, მოგჭამა ჭირი, ვახტანგ კიკაბიძესავით კბილებდაკრეჭილს გიპოვიან „ვივამედის“ საწოლში!**

**ვალერი გელბახიანი გუმანით გრძნობს, რომ სააკაშვილი და ნაცები ხელისუფლებაში ისევე მობრუნდებიან, როგორც სალომე სამადაშვილი ან მეგი გოცირიძე გახდებიან „მის ბიკინის“ კონკურსში გამარჯვებულები. ასეთ სიტუაციაში ის ნებისმიერ პროვოკატორს შეეკვრება, ოღონდაც ფული იშოვოს, ამიტომ მოაშორეთ ეს მოსიარულე დარიშხანი სააკაშვილს!**

**გოგონა გამოძახებით,** თუ თვალტანადობაც ხელს უწყობს, როგორც წესი, დიდი ნეტარების მომტანია!

**ვალერის გამოძახებას ღალატი და ცხედრები მოჰყვება!**

***დიტო ჩუბინიძე***






ბორის ბერეზოვსკი

# ექიმე ვალერი!

## კვირგვინოსნები



**რამზან კადიროვი**
*ჩეჩნეთის ლიდერი*

ჩემი აზრით, უფრო ხისტები უნდა ვიყოთ. **გამოვაცხადოთ საომარი მდგომარეობა და გამოვიყენოთ დაბალი სიმძლავრის ბირთვული იარაღი — ესაა გამოსავალი.** გუშინ იყო აღლუმი იზიუმში, დღეს ლიმანში უკრაინული დროშა ფრიალებს. რა იქნება ხვალ, რას ჰგავს ეს.

„ახალი თაობა“



**მამუკა არეშიძე**
*ანალიტიკოსი*

კარგა ხანია, **კადიროვმა თვალი დაადგა თუშეთს.** საქართველოს მთიანეთის ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობს, პირიქითა კავკასიას ვგულისხმობ და **კადიროვი თვლის, რომ მისი საზღვრის გასწვრივ რაც ჩრდილოეთ კავკასიას ეკუთვნის გეოგრაფიულად, მისია.**

„კვირის პალიტრა“



**ნიკა გვარამია**
*„მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი, პატიმარი*

არსებობს გადაწყვეტილებები, რომლის მისაღებადაც **ძალა აღარ შეგვწევს** — ეს ზოგჯერ არის ჩვენი დასავლური ოჯახის არასწორ დროს გაჩუმების ან არასათანადო ქმედების შედეგიც.

„ინტერპრესნიუსი“



**დავით კირკიტაძე**
*ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წევრი*

მმართველ გუნდს — თავის დროზე თქვენ რომ ხელისუფლებაში ყოფილიყავით, **ზვიად გამსახურდიასაც** საზღვრის უკანონო კვეთის მუხლით გაასამართლებდით.

„ინტერპრესნიუსი“



**გიორგი ამილახვარი**
*პარლამენტარი*

როცა **ივანიშვილი წლების განმავლობაში ეხმარებოდა ქართულ ჯარს, პოლიციას და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებს,** მაშინ არ გახსენებიათ, რომ შესაძლოა, ოლიგარქი ყოფილიყო.

„ინტერპრესნიუსი“

***საქართველოში საფრანგეთის ელჩმა ᲓᲘᲔᲒᲝ ᲙᲝᲚᲐᲡᲛᲐ განაცხადა, რომ აშშ-ის ელჩზე პოლიტიკური თავდასხმები მიუღებელია და აბსურდია იმაზე ლაპარაკი, თითქოს დასავლეთიდან ვინმეს საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა სურს. ცხადია, საფრანგეთის ელჩმა ქვა ახალშექმნილი საზოგადოებრივი მოძრაობის „ხალხის ძალის“ ბოსტანში ისროლა, რადგან „ქართული ოცნებიდან“ წასული დეპუტატების მიერ დაფუძნებული ეს ორგანიზაცია ამერიკის ელჩს მწვავედ აკრიტიკებს. ამ და სხვა აქტუალურ თემებზე „ხალხის ძალის“ წევრს, საჯარო მმართველობის დოქტორს ᲗᲐᲛᲗᲐ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ ვესაუბრებით:***



# ᲗᲐᲛᲗᲐ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

# ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲐᲕᲑᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲖᲐᲖᲐ ᲝᲥᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲢᲝᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡ-ᲞᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲑᲔᲓᲐᲕᲡ!

— ამერიკის ელჩისათვის კითხვების დასმა დემოკრატიის ნაწილია და არ ნიშნავს მასზე თავდასხმას. თანაც, „ხალხის ძალა“ **ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲡ** კითხვებს ქართველი ხალხის სახელით უსვამს და ქართველ ხალხს უფლება აქვს, სიმართლე იცოდეს. თორემ რა გამოდის — მაშინ, როცა ამერიკის ელჩი საქართველოში არსებული „ღრმა პოლიტიკური პოლარიზაციის“ ერთ-ერთ მიზეზად **„ᲒᲐᲕᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲦᲐᲛᲔᲡ“** ასახელებს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი თბილისში 2019 წლის 20-21 ივნისის განვითარებულ მოვლენებს **ᲐᲠᲐ „ᲒᲐᲕᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲦᲐᲛᲔᲓ“, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲨᲔᲭᲠᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐᲓ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ** და აღნიშნავს, რომ პოლიციამ დემონსტრანტები კანონიერი ძალის გამოყენებით შეაჩერა.

გარდა ამისა, ქალბატონი დეგნანი აცხადებდა, რომ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ბიძინა ივანიშვილს არ შეხვედრია, მაგრამ მან დაადასტურა, რომ ამერიკის ელჩთან შეხვედრა მართლაც შედგა და სამ საათს გაგრძელდა. **ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲡᲪᲔᲛᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ — ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲡ?** ვინ იცის, ამერიკის ელჩთან სამსაათიან შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა რამხელა პოლიტიკურ წნეხს გაუძლო!

**— ფიქრობთ, რომ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ კელი დეგნანის ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის მიზანი საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა იყო?**

— ფაქტია, რომ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა გარკვეული ძალების ინტერესში შედიოდა და დღემდე შედის. გავიხსენოთ **ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ** განცხადებები, როგორ მოგვიწოდებდნენ სოხუმსა და ცხინვალში „ტანკებით გასეირნებისაკენ“; გავიხსენოთ **ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲐᲠᲔᲡᲢᲝᲕᲘᲩᲘᲡ** სიტყვები — საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაში ომის ადამიანები არ არიან, სააკაშვილი რომ ყოფილიყო, რუსეთს მეორე ფრონტს აუცილებლად გაუხსნიდაო!

დიახ, საქართველოს ხელისუფლებაში დღეს ნამდვილად არ არიან **ᲝᲛᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ,** მაგრამ ქვეყანაში გვყავს **ᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ** — ნაციონალური მოძრაობა, რომელიც უკრაინის ხელისუფლებაში მყოფ **ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠ ᲐᲠᲐᲮᲐᲛᲘᲔᲑᲗᲐᲜ** ერთად ცდილობს, საქართველო ომის ქარცეცხლში გახვიოს!

ფაქტი ერთია — **ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲓᲛᲘ ᲐᲜᲢᲘᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲮᲓᲔᲜᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲖᲔ.**

**— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ ნაციონალურ მოძრაობასა და მის სატელიტ პოლიტიკურ პარტიებს კატეგორიულად არ სურთ, საქართველომ მიიღოს დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის უკრაინული მოდელი, რომელიც ევროკავშირის მიერ არის მოწონებული?**

— მსოფლიოს არცერთ სხვა ქვეყანაში დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი არ არსებობს, მაგრამ ის, რაც მისაღებია ცივილიზებული მსოფლიოსათვის, მიუღებელია ქართული რადიკალური ოპოზიციისა და რამდენიმე ევროპარლამენტარისათვის. აკი, ლიეტუველმა ევროპარლამენტარმა **ᲠᲐᲡᲐ ᲘᲣᲙᲜᲔᲕᲘᲩᲘᲔᲜᲔᲛ** პირდაპირ განაცხადა — **„ᲓᲔᲝᲚᲘᲒᲐᲠᲥᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲒᲨᲘ, ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ ᲓᲔᲑᲘᲫᲘᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ“.** აი, სწორედ ამაშია საქმე — რადიკალურ ოპოზიციას სურს, დეოლიგარქიზაციის კანონმა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ იმუშაოს, არადა, ბიძინა ივანიშვილი სრულებითაც არ ჯდება ოლიგარქის კრიტერიუმებში, რომლებიც უკრაინაში მოქმედი კანონით არის განსაზღვრული.

აღსანიშნავია, რომ დეოლიგარქიზაციის შესახებ უკრაინულ კანონს ვენეციის კომისიამ დადებითი დასკვნა მისცა. **ᲘᲛᲔᲓᲘᲐ, ᲘᲒᲘᲕᲔ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲓᲔᲝᲚᲘᲒᲐᲠᲥᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ, ᲐᲠ ᲓᲐᲐᲮᲐᲠᲕᲔᲖᲔᲑᲡ.**

მოკლედ, ვატყობ, საქმე იქამდე მივა, რომ რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს მოუწევთ, ცალ ხელში დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი დაიჭირონ, ხოლო მეორე ხელში კალკულატორი მოიმარჯვონ **ᲥᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ** დასათვლელად.

**— სხვათაშორის, კიდევ ერთმა სუბიექტმა, რომელიც შესაძლოა, დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის პოტენციური სამიზნე გახდეს — ბიზნესმენმა ზაზა ოქუაშვილმა ლონდონის სასამართლოში ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა და მისგან 23 მილიონს ითხოვს!**

— რბილად რომ ვთქვათ, ძალიან უხერხულია, როცა **ᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ,** რომელიც უცხო ქვეყნებში დაგროვილ ფინანსურ კაპიტალს საკუთარ სამშობლოს ახმარს, სასამართლოში უჩივის **ᲖᲐᲖᲐ ᲝᲥᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** რომლის „კარგ კაცობაზეც“ ფაქტები ღაღადებენ!

**— კერძოდ?**




— ზაზა ოქუაშვილი არის „კაცი“, რომელსაც საკუთარმა მამამ **ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲝᲥᲣᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ** სასამართლოში უჩივლა — ჩემმა შვილმა ჩემი კუთვნილი ქონება ჩემი ხელმოწერის გაყალბებით გაყიდაო, მაგრამ ოქუაშვილმა მამამისს სააკაშვილის სასამართლოში პროცესი მოუგო!

**ᲖᲐᲖᲐ ᲝᲥᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ „ᲙᲐᲪᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲠ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲗᲐᲜ ᲡᲐᲛᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲐᲛᲐᲛᲘᲡᲘ ᲘᲧᲝ!**

ოქუაშვილმა ეს საქმე საკუთარ შვილს ასევე სააკაშვილის სასამართლოში მოუგო!

**ᲖᲐᲖᲐ ᲝᲥᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ „ᲙᲐᲪᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲓᲔᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ ᲡᲪᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲐᲒᲓᲝ!**

კიდევ ბევრი რამის თქმა შემიძლია, მაგრამ ამ ეტაპზე ესეც საკმარისია. უბრალოდ, სამარცხვინოა, რომ ასეთი შავბნელი და ამორალური წარსულის მქონე ოქუაშვილი ბიძინა ივანიშვილისათვის თავის გატოლებას და მასთან დაპირისპირებას ბედავს!

**ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲝᲥᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ, ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲔᲗᲘᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲐᲪ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲐ!**

*ესაუბრა* **ᲯᲐᲑᲐ ᲮᲣᲑᲣᲐ**



## „ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ –

**რატომ უარყოფდა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის ფაქტს?“**

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲮᲝᲤᲔᲠᲘᲐ**



მაინც, ვინ არის ეს ავადსახსენებელი **ᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘ?** ფაქტია, რომ იგი გასულია ელჩის მოქმედების არეალიდან. ხომ არ გეჩვენებათ, რომ **ძალზედ ხშირად გვახსენებს ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘ 6 მილიარდს,** რომელიც ამერიკამ ჩვენ დაგვახარჯა ბოლო 30 წლის განმავლობაში? **საქართველოში ნელი მოქმედების ნაღმივით ჩადებულმა ფულებმა არ იმუშავა!** ფულით მოსყიდვის პირველი წესი ჩავარდა! ალბათ, ამიტომაც გაეჩხირათ ყელში **ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ!**

„ალია“

**ᲘᲠᲛᲐ ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ**



რასაც ვაკვირდები, **ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡᲐᲪ** „მაგარი“ ბედი აქვს. **ამდენი დაუნახავი, უმადური და ენაჭარტალა ერთად მოიზიდა და არარაობებისგან რაღაცა შექმნა,** ახლა გამოდიან და იმის ნაცვლად, პატარა სიკეთე მაინც გაახსენდეთ და მინიმუმ საკუთარი თავის პატივი სცენ, პირიდან მარტო შხამი ამოსდით.

„ალია“

**ᲜᲐᲜᲐ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ**



პიროვნებაზე კანონის მორგება ბოლშევიზმის გარდა, კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. რადგან **ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** არ ჯდება ამ კრიტერიუმებში, რომელიც კანონშია მითითებული და განსაზღვრავს, **ვინ არის ოლიგარქი,** ისინი ფიქრობენ, რომ კანონში უნდა ჩაისვას ისეთი რამ, როგორიცაა, ვთქვათ, **„გვალვის მოხდენა“.** ასეთი რამის მტკიცებულების მოპოვება წარმოუდგენელია. რისი მტკიცებულების მოპოვებაც შეიძლება, ის კანონშია ასახული.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲖᲐᲠᲥᲣᲐ**



რამე კარგი თუ კეთდებოდა ნაცმოძრაობის რეჟიმის დროს, **ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ყოფილა დამფინანსებელი, **მაშინ არ იყო ოლიგარქი,** ახლა გახდა?

„პირველი არხი“

# გენერალისიმუსი

№30 (154) ★ 2022 წლის 17 ოქტომბერი ★ გამოდის 2003 წლიდან



***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი „კარიბის კრიზისის“ შესახებ, რომელსაც ზუსტად 60 წლის წინათ კინაღამ ატომური ომის დაწყება მოჰყვა, საუბარს აგრძელებს და აცხადებს, რომ სტალინისა და ლავრენტი ბერიას მკვლელობის შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვმა წითელი არმიის ქვეითი ჯარი და სამხედრო-საზღვაო ფლოტი მიწასთან გაასწორა! მეცნიერი მიიჩნევს, რომ ხრუშჩოვის გადაყენების შესახებ აქტიური მზადება და საუბრები მას შემდეგ დაიწყო, რაც 1964 წლის 17 მაისს ბოროტი გენია — ოტო კუუსინენი გარდაიცვალა:***

## რა უთხრა ბელადმა ამერიკელ ჟურნალისტს აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ბირთვული ომის დაწყების შესახებ?

### ისტორიკოსის თვალით ★

— რუსეთის მსგავსად, ისტორიულად ყველა დიდი კონტინენტური სახელმწიფო და იმპერია, მაგალითად, საფრანგეთი და გერმანია, ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ინფანტერიას, ანუ ქვეით ჯარს. სტალინმა სწორად დაგეგმა, როცა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რუსეთის უზარმაზარი სივრცის დაცვა, გნებავთ, საზღვაო ფლოტილიითა და, გნებავთ, საჰაერო ესკადრილიით, ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა. ამიტომ ბელადმა მთელი ძალა და ენერგია სწორედ სახმელეთო ჯარების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებასა და შეიარაღებას მოახმარა. სწორედ ამის შედეგი გახლდათ ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის მიწურულს სტალინი დაახლოებით **13-მილიონიან წითელ არმიას** ხელმძღვანელობდა, სადაც ჯარისკაცთა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ქვეით ჯარს, ანუ ინფანტერიას წარმოადგენდა.

**— ბატონო სვიმონ, სტალინის სიცოცხლეში ამერიკელებმა ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბები ჩამოაგდეს, ანუ ბელადმა იცოდა ატომური იარაღის მომაკვდინებელი და დამანგრეველი ეფექტის შესახებ და უპირატესობას მაინც ქვეით ჯარს ანიჭებდა?**

— დავიწყოთ იმით, რომ სარაკეტო მშენებლობასა და ავიაციაში საბჭოთა კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებს ყოველთვის ჩამორჩებოდა. არადა, სსრკ არ იყო პატარა ისრაელი, რომ მისთვის „რკინის გუმბათი“ გაეკეთებინათ — ამოდენა ტერიტორიას ვერც გააკონტროლებ და ვერც დაიცავ! სტალინმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ ამერიკულ გამოცემას და როცა ჰკითხეს — ***თქვენ ატომური დაბომბვის არ გეშინიათ?*** — სტალინმა ჟურნალისტს უპასუხა — ***არა, ატომური დაბომბვის არ მეშინია, რადგან მსოფლიოში ყველაზე ძლევამოსილი სახმელეთო ჯარი მყავს და გარდა ამისა, იდეოლოგიური სამსახურიც*** („პიარი“) ***კარგად მაქვს აწყობილი.*** *მე ამერიკელი საზოგადოება მიმიჩნევს ფაშიზმისგან მსოფლიოს გამათავისუფლებლად; ამიტომ, სანამ ბირთვულ ომს გამომიცხადებთ, ამისათვის აუცილებლად დაგჭირდებათ ამერიკელი საზოგადოების მხარდაჭერა, საზოგადოებრივი აზრის მობილიზება და უამრავი მიზეზის მოგონება, რათა საბჭოთა კავშირზე ბირთვული თავდასხმა გაამართლოთ...* ***მე იმდენად ძლიერი სახმელეთო ჯარი მყავს, სანამ თქვენ ამას გააკეთებთ, მანამდე წითელი არმია ატლანტის ოკეანის პორტუგალიის სანაპიროებამდე გავა, რის შემდეგაც თქვენს ბირთვულ უპირატესობას უბრალოდ აზრი დაეკარგება.*** *თქვენ ამას კარგად ხვდებით და ბირთვული იარაღის გამოყენების იმიტომაც არ მეშინია!*

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სტალინური ლოგიკა აქაც გენიალური იყო... აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ **პუტინისგან განსხვავებით, სტალინს არასოდეს და არსად მინიშნებითაც კი არ უთქვამს, რომ ვინმეს წინააღმდეგ ბირთვულ შეიარაღებას პირველი გამოიყენებდა!** იმ დროს, როცა რაკეტების საშუალებით ევრაზიის კონტინენტიდან ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული დაბომბვა შეუძლებელი იყო, სტალინს ვაშინგტონის მიმართ შემუშავებული ჰქონდა ბრწყინვალე სტრატეგია — **„პირველი არასოდეს დაგარტყამ, მაგრამ შენ თუ დამარტყამ, მაშინ მე ევროპაში შენს პარტნიორებს დავარტყამ და ყველას აგიმხედრებ!“** აი, ამით ჰყავდა შეკავებული ამერიკის შეერთებული შტატები...




ბირთვული მუქარა მოდიოდა **ჩერჩილისგან,** რომელსაც ამერიკის ადმინისტრაცია გარეგნულად მაინც ემიჯნებოდა და უგულებელყოფდა, მაგრამ სტალინისგან მსგავსი მუქარა არასოდეს ყოფილა... სტალინი ისე მოკლეს, მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე საბჭოთა კავშირისგან არავის უგრძნია!

**— სამაგიეროდ, ზუსტად 60 წლის წინათ, 1962 წლის ოქტომბერში, „კარიბის კრიზისის“ დროს, ხრუშჩოვი ბირთვული დაბომბვით ამერიკას არათუ დაემუქრა, არამედ, ფაქტობრივად, ატომური ომი დაიწყო კიდეც. მოგეხსენებათ, მაშინ ქართველი ვიცე-ადმირალის გიორგი აბაშვილის წყალობით, მსოფლიო განადგურებას შემთხვევით გადაურჩა. ბირთვული ომის მუქარა პუტინისგანაც ისმის...**

— **ნიკიტა ხრუშჩოვს** 1962 წლის ოქტომბერში თავისი ბრძანება რომ არ შეეცვალა და ამერიკის წინააღმდეგ ატომური ომი დაეწყო, ცხადია, ამას ამერიკის მშვიდობიან მოსახლეობაში მოჰყვებოდა დიდი მსხვერპლი, რადგან ამერიკულისგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირს ზუსტი დამიზნების რაკეტები არასდროს ჰქონია! ცხადია, ამაზე პასუხი იქნებოდა დამანგრეველი და საბჭოთა კავშირისთვის საბედისწერო. კერძოდ, **ამერიკა თურქეთიდან და იტალიიდან აუცილებლად დაბომბავდა მოსკოვს, ლენინგრადსა და საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებს, რა შემთხვევაშიც საბჭოთა სახმელეთო არმიის გამოყენება ყოველგვარ აზრს დაკარგავდა.** როგორც კი ხრუშჩოვისგან ბირთვული მუქარა გაისმა და ეს დაიწყო იმ დიდი მხედართმთავრებისა და ადმირალების დევნა-შევიწროება, რომლებმაც სტალინის ხელმძღვანელობით მეორე მსოფლიო ომი მოიგეს! მაგალითად, ადმირალი **ნიკოლაი კუზნეცოვი,** რომელსაც სტალინი უდიდეს პატივს მიაგებდა და თქვენობით ესაუბრებოდა, ხრუშჩოვმა სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან საერთოდ გააგდო და პენსიაზე გაუშვა. ნიკიტამ იგივე დამართა **მარშალ კონსტანტინე როკოსოვსკის...** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ, ვისაც ამერიკული რაკეტებისთვის კონკურენცია უნდა გაეწია და ვინც ამერიკელებს ატომური ბომბი მოჰპარა — **ლავრენტი ბერია** ნიკიტა ხრუშჩოვმა 1953 წლის 26 ივნისს საკუთარ სახლში სამხედროებს დაახვრეტინა!

ფაქტობრივად, ხრუშჩოვმა სულელი კაცი მოქმედებაზეც გადავიდა, ამერიკამ მაშინვე ააფრინა თავისი სამხედრო ავიაცია და საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა სამხედრო-საზღვაო ფლოტიც, რომელთა განეიტრალების საშუალებაც ნიკიტა ხრუშჩოვს არანაირად არ ჰქონდა, რადგან, როგორც კი ერთპიროვნული ხელისუფალი გახდა, მაშინვე საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი და ქვეითი ჯარი გაანადგურა. **ამიტომ ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, როცა რუსის ქვეითი ჯარი ვერავითარ წარმატებულ სამხედრო ოპერაციას ვერ ახორციელებს და რუსეთის ხელმძღვანელობას ისღა დარჩენია, მხოლოდ ფრთოსანი რაკეტებით დაბომბოს უკრაინა, სწორედ ხრუშჩოვის უგუნური პოლიტიკის შედეგია, რომელმაც სტალინისა და ბერიას მიერ აწყობილი სისტემა მიწასთან გაასწორა.**

„კარიბის კრიზისმა“ ის პოლიტიკური შედეგი მოიტანა, რომ **ნიკიტა ხრუშჩოვს** კარისკენ მიუთითეს და გადააყენეს! პოლიტბიუროში ყველა დარწმუნდა, რომ ეს კაცი იყო გიჟი და ტერორისტი, რომელიც ქვეყანას დაღუპავდა და მსოფლიოს ბირთვულ ომში გახვევდა.

**— თუ ბირთვული ომის ასე ეშინოდათ, რატომ დაუშვა ამერიკამ ჰიროსიმასა და ნაგასაკის საშინელი პრეცედენტი 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს?**

— სხვათაშორის, **დუაიტ ეიზენჰაუერიც და დუგლას მაკარტურიც** კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ატომური ბომბების ჩამოგდებისა! მაშინ ისიც კი არ იცოდნენ, თუ რა საშინელებებს იწვევდა რადიაციული მტვერი... ცხადია, ეს იყო დანაშაული კაცობრიობის წინაშე, მაგრამ, როგორც მეცნიერები და ანალიტიკოსები ამტკიცებენ, **იაპონიის ატომურმა დაბომბვამ მინიმუმ 3 მილიონი ადამიანის სიცოცხლე იხსნა, რადგან, ყველანაირი გათვლებით, ამერიკასა და იაპონიას შორის ომი 1947 წლამდე არ დამთავრდებოდა, რასაც 1 მილიონი ამერიკელისა და 2 მილიონი იაპონელის სიცოცხლე მაინც შეეწირებოდა.**

სხვათაშორის, იმ 100 ათასი იაპონელიდან, რომელიც ატომურ დაბომბვას მყისიერად ემსხვერპლა, ნახევარზე მეტი პოტენციური კამიკაძე იყო. მიუხედავად ამისა, ატომურ დაბომბვას გამართლება არა აქვს, რადგან სახელმწიფო, რომელიც ამ საშინელ იარაღს იყენებს, არის

*დასაწყისი იხილეთ „გენერალისიმუსი“ №10-29*

### სვიმონ მასხარაშვილი:

## 1964 წლის 14 ოქტომბერს, „კარიბის კრიზისის“ ზუსტად ორი წლისთავზე, ხრუშჩოვს კარისკენ მიუთითეს!

***გაგრძელება მე-2 გვერდზე***

## «სტალინი ახალი ბიზანტიის იმპერიის მესაძირკვლეა!»

# სვიმონ მახარაშვილი:

# სტალინი ისე მოკლეს, მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე საბჭოთა კავშირისგან არავის უგრძნია!



## ისტორიკოსის თვალით ★

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

ტერორისტული ქვეყანა. **სწორედ ტერორისტი დაინახეს ამ უნიჭო, გაუნათლებელ და უწიგნურ ხრუშჩოვში მისმა მოკავშირეებმაც კი... ამიტომ იყო, რომ „კარიბის კრიზისის“ შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვი გამოცხადდა პოლიტიკურ კეთროვნად, რომელსაც ერიდებოდნენ და ხელსაც კი არ ართმევდნენ. ცხადია, რაც 1962 წლის ოქტომბერში გაბედა, როცა პლანეტა კინაღამ დაღუპა, ხრუშჩოვი იმას ვერ გაბედავდა, სტალინისა და ბერიას კადრები რომ გარშემო ჰყოლოდა.**

არადა, მან ყველა სტალინელი პოლიტბიუროდან დაითხოვა და დააწინაურა **სუსლოვი, ანდროპოვი, პოდგორნი, ბრეჟნევი, პოლიანსკი — ოტო კუუსინენის** ანდა პირადად ხრუშჩოვის კადრები. **არცერთ მათგანს ამოდენა სახელმწიფოს მართვის კვალიფიკაცია არ ჰქონდა...**

**— რას იტყვით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ალექსანდრე კოსიგინის შესახებ, რომელიც ასევე ხრუშჩოვის დროს დაწინაურდა?**

— **კოსიგინი** მთელ ამ „ბრაშკას“ საქორწილო გენერალივით დაამატეს, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, მას რეფორმების გატარების საშუალება არ მისცეს. სტალინი ცდილობდა, საბჭოთა კავშირი კოლექტიური მართვის ქვეყანა ყოფილიყო. **ბელადი ბიზანტიური სოციალიზმის აშენებას ცდილობდა.** ვიკონტ ნორვიჩმა დაწერა ბიზანტიის ნამდვილი ისტორია, სადაც ჩანს, რომ ბიზანტიის იმპერია გეგმური ეკონომიკის ქვეყანა გახლდათ, სადაც მემკვიდრეობითი არისტოკრატია არ არსებობდა და მიწასა და ყველა სტრატეგიულ სამრეწველო ობიექტებზე სახელმწიფო საკუთრება იყო. ამ იმპერიამ ყველაზე დიდხანს — ათას წელზე მეტხანს იარსება, მისი ღერძი იყო ქრისტიანობა და იმპერიაში შემავალი ყველა ერის უფლება დაცული გახლდათ. სტალინიც ამ მოდელს აშენებდა და იგი სწორედ ახალი ბიზანტიის იმპერიის მესაძირკვლეა!

სხვათაშორის, ბიზანტია ოფიციალურად რესპუბლიკა იყო, სადაც ბერძენ იმპერატორთა ხვედრითი წილი 2-3 პროცენტს არ აღემატებოდა, ამასთან, იგი გახლდათ კოლექტიური მართვის სოციალისტური იმპერია, სადაც ძალაუფლება იშვიათად გადადიოდა მამიდან შვილზე. სხვათაშორის, თვით იმპერატორების ხანაშიც კი რომი რესპუბლიკა იყო და სენატი არავის გაუუქმებია. ასე იყო ბიზანტიაშიც, სადაც იურიდიულად სინკლიტი, ანუ სენატი მართავდა ქვეყანას. აღარაფერს ვამბობთ ეკლესიის გავლენაზეც, რომელიც ბიზანტიაში წარმოუდგენლად დიდი იყო...

ყოველივე ზემოთქმულის საპირისპიროდ, **1957 წლიდან 1961 წლამდე ნიკიტა ხრუშჩოვმა მთელი ძალაუფლება თავის ხელში მოაქცია და აბსოლუტური დიქტატორი გახდა. საბჭოთა კავშირი „ბოროტების იმპერია“ სწორედ 1962 წლის ოქტომბრიდან გახდა, როცა მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ ეს სულელი და უწიგნური კაცი მზად იყო, კაცობრიობა დაეღუპა!** სხვათაშორის, მას შემდეგ, რაც 1964 წლის 14 ოქტომბერს, „კარიბის კრიზისის“ ზუსტად ორი წლისთავზე, ნიკიტა ხრუშჩოვს კარისკენ მიუთითეს და ქვეყნის მმართველობას ჩამოაშორეს, ხელისუფლებაში **ბრეჟნევი** მოვიდა, რომელიც 70-იანი წლების შუახანებამდე, ასე თუ ისე, ცდილობდა, შეენარჩუნებინა სტალინისეული კოლექტიური მმართველობის სტილი, მაგრამ მას შემდეგ, რაც **იური ანდროპოვი** პოლიტბიუროს წევრი გახდა, ხოლო ბრეჟნევმა **ნიკოლაი პოდგორნი და ალექსანდრე შელეპინი** გზიდან ჩამოიშორა, ბრეჟნევიც ერთპიროვნული მმართველი გახდა!

**— საბოლოო ჯამში „კარიბის კრიზისმა“ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ მომავალზე დადებითი გავლენა იქონია თუ უარყოფითი?**

— მარტივად თუ ვიტყვით, **„კარიბის კრიზისმა“ საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში გამოიწვია უდიდესი ცვლილებები და ნიკიტა ხრუშჩოვი პოლიტიკურ სანაგვეზე გაგზავნა, რამაც ქვეყნის დაშლა და დანგრევა ოცდახუთი წლით გადაავადა!** თორემ 1953 წლის 26 ივნისის შემდეგ, როცა **ლავრენტი ბერია** საკუთარ სახლში დახვრიტეს და ძალაუფლება ხელში სტალინის მკვლელებმა აიღეს, საბჭოთა კავშირი დასაღუპად განწირული იყო!

საერთოდ, ხრუშჩოვის გადაყენების შესახებ აქტიური მზადება და საუბრები მას შემდეგ დაიწყო, რაც 1964 წლის გაზაფხულზე, კერძოდ, 17 მაისს, **ოტო კუუსინენი** გარდაიცვალა. **კუუსინენი** იყო ის ბოროტი გენია, რომელსაც ნიკიტა ხრუშჩოვი ეყრდნობოდა! წინა ინტერვიუში ერთხელ უკვე გითხარით, რომ სწორედ **ოტო კუუსინენის** მიერ იყო დაწერილი ის ხუთსაათიანი მოხსენება, რომელიც ნიკიტა ხრუშჩოვმა 1956 წლის 25 თებერვალს სტალინის „პიროვნების კულტის“ შესახებ სკკპ მე-20 ყრილობას წაუკითხა და მთელ მსოფლიოს ცივი წყალი გადაასხა! ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, უკვე მტკიცებით ფორმაში შეიძლება ითქვას, რომ ისეთ უწიგნურსა და რეგვენს, როგორიც ხრუშჩოვი იყო, ბოროტი გენია — ოტო კუუსინენი მართავდა! **ხრუშჩოვი სტალინის გენიასთან დაპირისპირებას ვერ გაბედავდა, ეს მას ისეთმა ბნელმა პიროვნებამ გააბედვინა, როგორიც ოტო კუუსინენი გახლდათ!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***





**„ხრუშჩოვი სტალინის გენიასთან დაპირისპირებას ვერ გაბედავდა, ეს მას ისეთმა ბნელმა პიროვნებამ გააბედვინა, როგორიც ოტო კუუსინენი გახლდათ!“**

# «უნდა სისხლიანი «ჯულაშვილი დედამ

***დასაწყისი იხილეთ „გენერალისიმუსი“ №26-27, 28-29.***

*გაზეთი **„გენერალისიმუსი“** აგრძელებს ახლახან გარდაცვლილი ცნობილი ქართველი პუბლიცისტისა და პოეტის, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორის **ვახტანგ ხარჩილავას** პუბლიცისტური ნაშრომის **„სისხლიანი ქრონიკების“** ბეჭდვას, რომელიც საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ავბედით პერიოდს — მე-20 საუკუნის 30-იან წლებს ეხება და მუდმივად შეგვახსენებს, რომ **ბოლშევიკური რეპრესიები არამხოლოდ უმძიმესი წარსულია, არამედ შეიძლება, უმძიმეს მომავლადაც იქცეს,** თუ ქართველი ერი მოწოდების სიმაღლეზე არ დადგება, სიფხიზლეს მოადუნებს და მორალურ კომპრომისებზე წავა **1937 წლის ჯალათთა სულიერ და იდეოლოგიურ გადმონაშთებთან,** რომლებიც საქართველოში, სამწუხაროდ, დღესაც ბოგინობენ.*



ვახტანგ ხარჩილავა

ცემი. ***ამ მიზნით საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია და საქართველოს პროფკავშირთა პრეზიდიუმი აცხადებს დამკვრელ მუშათა გაწვევას მწერლობაში...*** *დამკვრელმა მუშამ მწერლობის საშუალებით უნდა აღწეროს თავისი ცეხის, ქარხნისა და დამკვრელთა მილიონიანი მასის გმირული შრომა, გამოცდილება, ენთუზიაზმი, პერსპექტივები... დამ-*

ყოვლისშემძლეა, ყოვლისგამგებელი. საკმარისია, მან ისურვოს და დამკვრელი მუშა პოეტად იქცევა, ახალგაზრდა მშრომელი ქალიშვილი — პროზაიკოსად. **იქნებ მან დაიჯერა, რომ ძალუძს ადამიანთა მასების გონების ერთპიროვნული მართვა. უფრო სწორად, ჩათვალა, რომ ადამიანთა რობოტიზაცია დამთავრებულია და ახლა ეს რობოტები უსიტყვოდ შეასრულებენ იმას, რასაც უბრძანებენ, მთავარია მათი დაპროგრამება და ისიც აპროგრამებს მათ...**

უპრიანი იქნება, აქვე გავიხსენოთ **„სახალხო აკადემიკოსის“ ლისენკოს** სიტყვები, წარმოთქმული 1935 წელს:

პოეტებსა და მწერლებზე ისევე, როგორც ხელოვნების სხვა დარგის წარმომადგენლებზე პარტიული ზედამხედველობის კულმინაციად იქცა 1930 წელს შექმნილი დოკუმენტი **„მწერლობაში დამკვრელ მუშათა გაწვევის“** შესახებ, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამდივნო.

***„მხატვრული მწერლობის სფეროში მუშათა კლასმა უნდა გამოიჩინოს აქტივობა და თავისი კლასიკური ინტერესების მებრძოლ იარაღად უნდა გამოიყენოს იგი.***

*პროლეტარული მწერლობა უნდა გავხადოთ მუშათა კლასის საქმე... პროლეტარული მწერლობის უკვე გამომჟღავნებული და აქტიურად მომუშავე კადრები უნდა შეუდუღდეს წარმოებას, დამკვრელ მუშათა ფენა უნდა გახდეს პროლეტარული მწერლობის ზრდის წყარო, მისი რეზერვი, ახალი ძალების მომდკვრელმა მუშამ უნდა აღწეროს თავისი შრომა — სულ ერთია, ეს ნარკვევის სახით იქნება, ლექსის თუ მოთხრობის.*

***უნდა აღვზარდოთ მწერლები ქარხნებიდან.***

***გაწვევა უნდა გადაიქცეს ბოლშევიკურად გამობრძმედილი მწერლობის შესაქმნელად.***

***ამხანაგო დამკვრელო მუშებო! — პროლეტარულ მწერალთა რიგებში!“***

რა არის ეს? იქნებ ცინიზმი, იქნებ უმეცრება და აბსოლუტური სიყეყეჩე? იქნებ ყველაფერი ერთად? არ ვიცი, ძნელია ამის განსაზღვრა. ისიც მიჭირს, ვირწმუნო, რომ იმან, ვისგანაც ეს „იდეები“ მოდის, არ იცოდეს, რომ შეუძლებელია მოთხრობის, ლექსის თუ ნარკვევის დირექტივებით შექმნა. ან გამოვა რამე იქიდან, **„მშრომელ ახალგაზრდა ქალიშვილ ქალებს“** უბრძანო, მწერალთა კადრები შეავსეთო, თუნდაც ამის შესახებ **ამხანაგ სტალინის და ამხანაგ ბერიას** კი არა, ღმერთის მითითებაც არსებობდეს.

იმასაც ვფიქრობ, იქნებ ეს ავადმყოფი კაცის შიზოიდური გამოხდომებია, ავადმყოფი კაცისა, რომელმაც ირწმუნა, რომ

***„ჩვენს საბჭოთა კავშირში, ამხანაგებო, ადამიანები არ იბადებიან, იბადებიან ორგანიზმები, ხოლო ადამიანები ჩვენთან მერე კეთდებიან — ტრაქტორისტები, მოტორისტები, მექანიკოსები, აკადემიკოსები, მეცნიერები და სხვები და სხვები. ერთ-ერთი ასეთი ადამიანთაგანი მე ვარ — მე არ დავბადებულვარ ადამიანად, მე ადამიანად შემქმნეს“.***

**ლისენკოს** სიტყვას, თურმე, დიდი აღტაცებით შეხვდა **სტალინი: „ის ისე აღეგზნო, რომ ადგილიდან წამოხტა, ტაში დაუკრა და ხმამაღლა შესძახა: „ბრავო, ამხანაგო ლისენკო, ბრავო!“** *(„ოგონიოკი“, I, 1988 წ.).*

**პოლ ვალერის** აზრით, დიქტატურას, ერთმმართველობას წინ უძღვის ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც წარმოშობს ერთმმართველობის მოთხოვნილებას. კერძოდ, დაბნეულობა, არეულ-დარეულობა, სახელმწიფო მექანიზმის გაუმართაობა, საყოველთაო ყოყმანი, **„წინასწარ საგრძნობი საფრთხის მტანჯველი მოლოდინი“** და ეს მოლოდინი „ბადებს იმის



**„სახალხო აკადემიკოსი“ ტროფიმ ლისენკო 1935 წელს კრემლში სიტყვით გამოსვლისას**

# ალვზარდოთ მწერლები ქარხნებიდან!»

მოთხოვნილებას, რომ, ბოლოს და ბოლოს, იხილო ძალაუფლების მოქმედება, ჩასწვდე ამ მოქმედების შედეგთა არსს და უმრავლესობის სულში აყალიბებს ძლევამოსილი, სწრაფი, გადამჭრელი, ყოველგვარი დაბრკოლებისა თუ პირობითობის, ყოველგვარი პასიური წინააღმდეგობისაგან თავისუფალი ქმედითობის ხატებას“.

თითქოსდა უშუალოდ სტალინის ერთმმართველობის პერიოდზეა ნათქვამი, რომელსაც წინ უძღოდა რთული, არეულდარეული დრო, ეკონომიკურად დაუძლურებული, ომებისაგან გაპარტახებული ქვეყანა, შიმშილი და სიღატაკე, მოსალოდნელი ომის განუწყვეტელი მოლოდინი, იმის შეგნება, რომ ეს ომი ხვალ თუ ზეგ გარდაუვალია და ასეთ დროს სრულიად კანონზომიერად იბადება ხალხის ოცნება გმირზე, რომელიც იხსნის ქვეყანას კატასტროფისაგან.

და მართლაც შექმნა ხალხმა ასეთი გმირი, თავისი სისხლითა და ხორცით მოზილა, თავისი სული შთაბერა, მერე კი დროთა განმავლობაში დაავიწყდა, რომ ეს ბომონი მის მიერვე იყო შეკოწიწებული, დაავიწყდა და თაყვანი სცა მას, ვით განგებისგან ხსნად მოვლენილ

**მომეჩვენა, რომ ხალხი მარტო სტალინს კი არა, თავის ოცნებასაც ეთხოვება, თავის განუხორციელებელ ოცნებას.**

ამღვრეულ წყალში თევზის ჭერას ნაჩვევი ზოგიერთი ოპონენტი სტალინის ფენომენს მისი ქართული წარმოშობით ხსნის. თითქოს ეროვნულმა თვისებებმა განაპირობეს მისი სისასტიკე, სიმკაცრე და მბრძანებლური ხასიათი. არადა, თუ **ისტორიას ზერელედ მაინც**

*ხლის მაღალი წნევა ჰქონდა, აბაზანაში გადის, მას მარტო ტოვებენ ოთახში, სადაც დივანზე ლოგინია გამზადებული, ის 12-ზე, ხანდახან დღის პირველ საათამდეც არ დგებოდა, ამ ხნის განმავლობაში არავის არ ჰქონდა უფლება, გამო-*

**ნა, რომელიც მის ერთ დაძახებაზე ფეხზე დადგებოდა, მაგრამ ახლა, ხმაც რომ მიეწვდინა იმ ქვეყნისთვის, ვერც ის უშველიდა ვერაფერს, სიკვდილისგან ვერც თავისი განუზომელი ძალაუფლება დაიფარავდა, რადგან არ არსე-**

**ოკუჯავას, ბ. ბურულოვის, ს. ჩიხლაძის, გ. ელიავას, გ. ქარცივაძის დასჯის შესახებ კრებას გააცნო დ. დემეტრაძემ.**

კრების მონაწილეებმა ერთხმად მოიწონეს დადგენილების ტექსტი:

კის უზენაესმა სასამართლომ დადგენილება სისრულეში მოიყვანა: ზემოთ დასახელებულ პირებს, რომლებიც, თურმე, უცხოეთის ერთ-ერთი სახელმწიფოს ფაშისტური წრეების სასარგებლოდ მუშაობდნენ, დახვრეტა მიუსაჯა.

**საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის № 3 ოქმიდან:**

***„თათარიშვილი გამომჟღავნებული იქნა, როგორც ხალხის მტერი, დივერსანტი, რომელიც მთელი წლების განმავლობაში ჩვენი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა უბანზე ეწეოდა შენიღბულად ჯაშუშურ-მავნებლურ მუშაობას.***

***ა. თათარიშვილის ბიუროკრატობა, უქნარობა და ცარიელი ლაყბობა იყო მტრის მავნებლურ-თვალთმაქცური ბრძოლის ფორმა.***

***სიტყვებით გამოსულმა მწერლებმა (სულ 17 კაცი) ილაპარაკეს თათარიშვილის მავნებლურ-დივერსიულ მუშაობაზე“.***

„... ამავე სხდომაზე მისალმების დეპეშა გაუგზავნეს შინსახკომის სახელოვან ხელმძღვანელს, **გამობრძმედილ სტალინელს ეჟოვს და საქართველოს შინსახკომის მუშაკებს** მათი ორდენებით დაჯილდოების გამო:

*„საქართველოს საბჭოთა მწერლები მხურვალედ მოგესალმებიან თქვენ, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის სახელოვან შვილს და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლევამოსილების შეუდრეკელ გუშაგს. თქვენი დაჯილდოება ლენინის ორდენით საუკეთესო გამოხატულებაა იმ უსაზღვრო სიყვარულისა, რომელიც დაიმსახურეთ თქვენ საბჭოთა კავშირის ფართო მშრომელ მასებში ფაშიზმის სისხლიანი აგენტების — ტროცკისტულ-ბუხარინელი ბანდიტების, დივერსანტების და ჯაშუშების წინააღმდეგ.*

***საბჭოთა მწერლობა ურყევ რწმენას გამოთქვამს, რომ თქვენი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ჩვენი სახელოვანი შინსახკომი, რევოლუციის ეს გაშიშვლებული ხმალი, რომელიც ხელთ უპყრია ძლევამოსილ საბჭოთა ხალხს, საბოლოოდ გასწმენდს ჩვენი ბედნიერი სამშობლოს მიწაწყალს სოციალიზმის მტრებისგან, სამგზის წყეულ და საზიზღარ ფაშისტურ-ტროცკისტულ-ბუხარინული ნაძირალებისაგან“.***

1937 წ. 22 ივლისი.

***გაგრძელება იქნება***




„ლიტერატურული საქართველო“. 1937 წლის 31 ივლისი

# ქრონიკები

ღვთაებას, რადგან მან ერთმა იცოდა ბედნიერი მომავლისკენ მისასვლელი, მან ერთმა იცოდა, როგორ გასულიყვნენ ამ ბნელი, დახლართული ლაბირინთიდან, მხოლოდ მას შეეძლო, სინათლეში გაეყვანა ისინი და ისინიც მორჩილად მიჰყვნენ...

**სტალინი ხალხის ოცნების ექოა, ხალხის ოცნების ლანდი, ორეული...**

**და მერე, როცა ხალხი თავგანწირვით ეკვეთება მტერს ყიჟინით: — სტალინისათვის! — ამ ყიჟინაში სხვა აზრიც დევს — სტალინისათვის, ე.ი. ოცნებისათვის, ოცნების გადარჩენისათვის, მომავლისათვის, ბედნიერებისათვის, სამართლისათვის. მან შეიძლება ნათლად არც კი იცის, ამდენ ცნებას თუ იტევს ეს ერთი სიტყვა, მაგრამ ქვეშეცნეულად, შინაგანად უთუოდ გრძნობს ამას და შეუპოვრად მიდის წინ, ცეცხლის ღვართქაფში, თავისი ოცნების გადასარჩენად.**

თუ რაიმეში გამოჩნდა სტალინის დემონური ნიჭი, უპირველეს ყოვლისა, იმაში, რომ მან შეძლო ხალხის ფსიქოლოგიის სიღრმეებში ჩაწვდომა, ოცნებების ამოკითხვა, ზედმიწევნით ზუსტად შეაფასა ხალხის განწყობილება და, როგორც ვთქვით, საკუთარი პერსონის სახით მხსნელი გმირი შესთავაზა. **შეთავაზება მიღებული იქნა...**

**მახსოვს, ტელევიზიით აჩვენეს უნიკალური კადრები — ხალხის გამოთხოვება სტალინის ცხედართან. მართლაცდა სახალხო გლოვაა. ნამდვილი გლოვა. გახსოვთ ის სახეები, უდიდესი მწუხარებით აღბეჭდილი სახეები, ცრემლით სავსე თვალები, სასოწარკვეთილი ქვითინი?**

## გვახსოვდეს, რათა არასოდეს განმეორდეს! ★

**გადავხედავთ, დავრწმუნდებით: ყველა დიქტატორი, მიუხედავად ეროვნებისა და სადაურობისა, ერთმანეთს ტყუპისცალივით ჰგავს. მათ ერთნაირი ზნე და ხასიათი აქვთ. ერთნაირი ხელწერა, ერთნაირი მეთოდი და ეს იმიტომ, რომ დიქტატურის ინსტიტუტი ეროვნული კი არა, სოციალური წარმოშობისაა.**

სხვაგან, სხვის მიერაც თქმულა და მეც მინდა გავიმეორო: **საქართველოს არ შეეძლო ეშვა და არც უშვია სტალინი. მან შვა იოსებ ჯუღაშვილი, სტალინი კი დრომ, გარემოებამ, ისტორიულმა სიტუაციამ შექმნა.**

გახსოვთ, სკოლაში რომ გვასწავლიდნენ: **„ჯუღაშვილი დედამ შობა, სტალინი კი — საუკუნემ“.**

უფრო ზუსტად ვერ იტყვი.

ეს სტალინი რომ არ არსებულიყო, სხვა სტალინს გამოიგონებდნენ, სხვას შექმნიდნენ. ამიტომ, **თუ ვინმე იმიტომ ესვრის სტალინს ტალახს, რომ საქართველოს მოახვედროს, ღრმად ცდება — მის უკან საქართველო არ დგას!**

*„1953 წლის მარტის პირველი რიცხვები. ღამეა. სტალინი, რომელსაც სისძახების გარეშე მასთან შესულიყო; გახდა ორი საათი, სამი, ოთხი, ხუთი, დაცვის შეშფოთებულმა მუშაკებმა არ იციან, რა ქნან. ბოლოს მზარეულ ქალს დაუძახეს — ხანში შესულ, უბრალო რუს ქალს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა „ხაზიაინთან“ (ეს ქალი იმ მცირერიცხოვან ადამიანთაგან ერთადერთია, რომელსაც ჯერ კიდევ ენდობა სტალინი), მზარეული კარზე აკაკუნებს. პასუხი არ ჩანს. ახლა ყველანი ერთად აკაკუნებენ — ჩამიჩუმი არ ისმის. ბოლოს და ბოლოს, კარები შეანგრიეს. იატაკზე, დივანთან ახლოს, წევს სტალინი. უძლიერესი ინსულტი. მთლიანი დამბლა, მათ შორის, მეტყველების. ის გაბრაზებული უყურებს ირგვლივ მყოფთ... („კომსომოლსკაია პრავდა“, 21 თებერვალი, 1988 წ.).*

**რას ფიქრობდა იგი მაშინ, როცა იატაკზე იწვა სიკვდილთან პირისპირ, მარტოდმარტო დარჩენილი, კარს იქით უზარმაზარი ქვეყანა იდგა, რომელსაც შეალია მან მთელი თავისი ცხოვრება, ქვეყაბობდა მასზე უფრო ძლიერი ძალა, სიკვდილის დამთრგუნველი, მისი მომრევი, მისი უკუმგდებელი.**

ამბობენ, როცა ადამიანი კვდება, მის თვალწინ მთელი ცხოვრება ჩაივლისო. რა ეზმანებოდა, რას ხედავდა ახლა იგი და რა უნდოდა ეთქვა? რაზე წუხდა ან რისი მონანიება სურდა? ან ლაპარაკი რომ შესძლებოდა, რა ენაზე იტყოდა თავის უკანასკნელ სიტყვას?

**იმასაც ამბობენ, ადამიანი სიკვდილის წინ ბავშვობასა და ბავშვობის ადგილებს უბრუნდებაო. სად კვდებოდა ახლა იგი — აქ, კუნცევოში, თუ იქ, გორში, თავის ღარიბულ სახლში, და ახსენდებოდა თუ არა ოდესღაც ყმაწვილობისას ნათქვამი: „აყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე ივერთ მხარეო და შენც, ქართველო, სწავლითა სამშობლო გაახარეო...“**

●

1937 წლის 10 ივლისს, ნაშუადღევს, შედგა საქართველოს მწერალთა აქტივის კრება. დადგენილება ხალხის მოსისხლე მტრების — **ბ. მდივნის, მ. ტოროშელიძის, მ.**

***„... — ამ დადგენილებას სრული კმაყოფილებით შეხვდება მთელი ჩვენი ქვეყანა, ეს გარეწრები დაუკავშირდნენ ერთ-ერთ უცხო სახელმწიფოს და ცდილობდნენ, გაეყიდათ ჩვენი ქვეყანა“,*** — აღშფოთებით თქვა ერთმა.

***— „მათი დახვრეტა ეს არის სურვილი და მოთხოვნა მთელი ქართველი ხალხისა“*** — დაუმატა მეორემ.

***„— ჩვენი ქვეყანა იწმინდება გარეწრებისა და მზაკვრებისგან!“*** — კვერი დაუკრა მესამემ და ა.შ. და ა.შ.

**კრებამ მოითხოვა ასეთივე სასჯელი მიეზღოს ტროცკისტულ-ფაშისტური ბანდის დანარჩენ მონაწილეებსაც.**

საქართველოს სსრ რესპუბლი-



# შობა, სტალინი კი - საუკუნემ!»

# ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲔᲖᲘᲠᲒᲐᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ★

## ᲛᲡᲛᲔᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ Ი.Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲐᲠᲥᲘᲕᲘ – ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲔᲘᲤᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲘᲒᲗᲐᲕᲡᲖᲔ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ, ᲡᲔᲘᲤᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲦᲔᲑᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲒᲣᲚᲓᲐᲡᲛᲘᲗ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ, ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲡ ᲑᲔᲠᲘᲐ ᲓᲐᲔᲞᲐᲢᲠᲝᲜᲐ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ?

მართლაც, სხვადასხვა მემუარებში არაერთხელ იხსენიება სტალინის პირადი არქივი. წერენ განთქმულ **შავ რვეულზე,** რომელშიც ბელადი თანამოსაგრეთა თანდასწრებით ინიშნავდა რაღაცებს, მერე კი ისევ სეიფში მალავდა. **„ჩვეულებრივი სასკოლო საერთო რვეული იყო შავი კოლენკორის ყდით,** — იხსენებდა მოლოტოვი მწერალ **ფელიქს ჩუევთან** საუბარში. — ბოლომდე ვერავინ გაიგო, რას წერდა ხოლმე შიგ სტალინი". ჩუევის შეკითხვაზე — კიდევ რა საბუთები შეიძლებოდა ყოფილიყო სეიფში, მოლოტოვმა უპასუხა: **„ვფიქრობ, ლენინის წერილები და სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი მასალები".** ᲙᲐᲒᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ კი არც იმას გამორიცხავდა, რომ სეიფში ბელადის ანდერძი ინახებოდა. თუმცა, სტალინის გარდაცვალებისთანავე კუნცევოდან მოსკოვში ჩამოსულ პარტიულ ამხანაგებს ბელადის კრემლის კაბინეტის სეიფი ცარიელი დახვდათ. **ითვლება, რომ ყველას ბერიამ დაასწრო, რომელმაც აგარაკი მაშინვე დატოვა, როგორც კი სტალინის გულმა ძგერა შეწყვიტა.**

ᲡᲕᲔᲢᲚᲐᲜᲐ ᲐᲚᲘᲚᲣᲔᲕᲐ წერს: **„როგორც კი მამას სიკვდილში დარწმუნდა, ლავრენტი ბერია მაშინვე გავარდა ოთახიდან, ვესტიბიულიდან მისი მოზეიმე ძახილი გავიგონეთ: ხრუსტალიოვ, მანქანა! ბერია პირველი წავიდა მოსკოვში".**

ისმის კითხვა — **მართლა დაეპატრონა თუ არა ბერია სტალინის პირად არქივს?**

ამ კითხვას სტალინის თანამებრძოლთა უმრავლესობა (ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘ, ᲙᲐᲒᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ, ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘ, ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ) დადებითად პასუხობს. თუმცა, **ბერიას დაღუპვის შემდეგ ეს არქივი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ — უცნობია.**

ᲡᲔᲠᲒᲝ ᲑᲔᲠᲘᲐ მოგონებებში წერს, რომ ლეფორტოვოს ციხეში პატიმრობისას (დაახლოებით — 1953 წლის შემოდგომა ან ზამთარი) მასთან მოულოდნელად მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე ᲛᲐᲚᲔᲜᲙᲝᲕᲘ მივიდა. „საუბარი" საკანში, პირისპირ მიმდინარეობდა. **„მალენკოვმა მკითხა, მსმენოდა თუ არა რამე იოსებ ბესარიონის ძის პირად არქივზე. ვუთხარი, რომ წარმოდგენაც არა მაქვს, რადგან ჩვენთან სახლში ამაზე არასოდეს ლაპარაკობდნენ. „აბა, რას ამბობ, ასეთი არქივი ხომ მამაშენსაც ჰქონდა?"** — ჩამაცივდა მალენკოვი. ვუთხარი, რომ არც მამაჩემის არქივზე მსმენოდა რაიმე. რა თქმა უნდა, **მამისგან ვიცოდი, რომ სტალინი სეიფში საიდუმლო დოკუმენტებს ინახავდა; ვიცოდი ისიც, რომ ასეთივე არქივი მამაჩემსაც ჰქონდა,** მაგრამ აზრზეც რომ ვყოფილიყავი, სად იმყოფებოდა ისინი, უეჭველია, მალენკოვს არაფერს ვეტყოდი. იგი გაცოფებული წავიდა ციხიდან. **„რა გაეწყობა, თუ საკუთარი თავის დახმარება არ გინდა..."** — ასეთი იყო მისი უკანასკნელი სიტყვები".

ასე რომ, **სტალინისა და ბერიას არქივები დღემდე იმ გაუხსნელ საიდუმლოდ რჩება, რომელიც კრემლის ორივე ქართველმა საფლავში წაიღო.**


ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲠᲘᲐ. 1939 ᲬᲔᲚᲘ

## ᲘᲥᲜᲔᲑ ᲩᲐᲛᲝᲒᲕᲘᲗᲕᲐᲚᲝᲗ, ᲡᲣᲚ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ – ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲡ?



სტალინს 9 ორდენი და 5 მედალი ჰქონდა. 1939 წელს მას **ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ.** საბჭოთა კავშირის გმირობაზე კი (1945 წლის ივნისში) უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ამ წოდების მოსაპოვებლად პირადი გმირობის ჩადენაა საჭირო, რაც მას არ გაუკეთებია. რაც შეეხება ლ.ი. ბრეჟნევს, მას სულ 146 სამთავრობო ჯილდო ჰქონდა (მედლების ჩათვლით) და მათ ჩამოთვლას გაზეთის მოცულობა არ ეყოფა. 1961 წელს ბრეჟნევი სოციალისტური შრომის გმირი გახდა, საბჭოთა კავშირის გმირობა კი ლეონიდ ილიას ძემ ოთხგზის მიიღო (1966, 1976, 1978 და 1981 წლებში). როგორც ჩანს, ბრეჟნევს ოთხჯერ ჩაუდენია „პირადი გმირობა". დავამატებთ, რომ **საბჭოთა კავშირის მარშალ** (1976 წლიდან) **ლეონიდ ბრეჟნევს მიენიჭა უმაღლესი მხედართმთავრული ჯილდო — გამარჯვების ორდენი, თუმცა, ომი პოლიტგანყოფილების პოლკოვნიკის წოდებით დაასრულა. იმავე, 70-იან წლებში იგი გახდა მშვიდობის პრემიის და ლიტერატურის დარგში ლენინური პრემიის ლაურეატი** („მცირე მიწა", „აღორძინება", და „ყამირი"), როგორც ხედავთ, გენერალისიმუსისა და მარშლის ჯილდოებს შორის უზარმაზარი უფსკრული ძევს.

## ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ ᲛᲐᲕᲐᲜᲗᲐ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲐᲓ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲐᲠᲢᲔᲛ ᲡᲔᲠᲒᲔᲔᲕᲘ ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ, ᲡᲐᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ – ᲘᲐᲙᲝᲑᲘ, ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲕᲔᲢᲚᲐᲜᲐ?



არტილერიის გადამდგარი გენერალ-მაიორი **ᲐᲠᲢᲔᲛ ᲤᲘᲝᲓᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲔᲠᲒᲔᲔᲕᲘ** ი.ბ. სტალინის ნაშვილებად ითვლება. იგი 1921 წელს სტალინის მეგობრის, ცნობილი რევოლუციონერის **ᲤᲘᲝᲓᲝᲠ ᲡᲔᲠᲒᲔᲔᲕᲘᲡ** (პარტიული მეტსახელი „არტემი") ოჯახში დაიბადა. **Ფ. ᲡᲔᲠᲒᲔᲔᲕᲘ** იმავე წელს აერომოტოვაგონის გამოცდის დროს მომხდარმა აფეთქებამ იმსხვერპლა. იგი წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან დაკრძალეს. უმამოდ დარჩენილი ბიჭუნა სტალინმა წაიყვანა და კრემლის ბინაში ვასილის ოთახში დააბინავა (ისინი თანატოლები იყვნენ). ბავშვები ერთად იზრდებოდნენ, ერთად დადიოდნენ სკოლაში. სამხრეთში დასასვენებლად გამგზავრებისას სტალინს ორივე თან მიჰყავდა. **ᲐᲠᲢᲔᲛ ᲡᲔᲠᲒᲔᲔᲕᲘ** იხსენებს, რომ **სასტიკი მოუცლელობის მიუხედავად, სტალინი მუდამ ადევნებდა თვალს მათ წარმატებებს, ეკითხებოდა სკოლის ამბებს, უმოწმებდა დღიურებს და მამობრივად უწყრებოდა.** ᲛᲐᲠᲘᲐ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲘᲡ (სტალინის ცოლისძის — **ალიოშა სვანიძის** მეუღლის) მოწმობით, „განსაკუთრებით ვასილის ხვდებოდა, რადგან იგი ზარმაცი იყო, იოსები მაგალითად მას მუდამ **ტომიკს** უყენებდა" (სტალინი სერგეევს **ტომიკს** ეძახდა).

შემდგომში **ᲐᲠᲢᲔᲛ ᲡᲔᲠᲒᲔᲔᲕᲛᲐ** საარტილერიო სასწავლებელი დაამთავრა, მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს. თავის მამობილს **ᲡᲔᲠᲒᲔᲔᲕᲘ** ახასიათებს როგორც ძალიან რბილ და კეთილ ადამიანს. **„როდესაც ვინმე ჩემი თანდასწრებით მას ულმობელს უწოდებს, მოთმინებიდან გამოვდივარ. მასზე მზრუნველი და გულისხმიერი ადამიანი არც შემხვედრია. რაც შეეხება ულმობლობას, ასეთი მაშინდელი დრო, მაშინდელი ვითარება იყო და სტალინიც ამას მხოლოდ საქმის და ქვეყნის სასარგებლოდ სჩადიოდა".**





## ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ 1945 ᲬᲔᲚᲡ ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲑᲔᲠᲘᲐᲛ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲑᲐᲮᲩᲝ ᲥᲝᲑᲣᲚᲝᲕᲘ ᲛᲘᲐᲕᲚᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲘᲥ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲑᲝᲛᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ, ᲗᲣ ᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲝᲗ.



ᲪᲝᲚ-ᲥᲛᲐᲠᲘ ᲠᲝᲖᲔᲜᲑᲔᲠᲒᲔᲑᲘ



ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲑᲔᲠᲘᲐᲡ გარემოცვაში **ორი ქობულოვი** იყო — ძმები **ბოგდანი (ბახჩო)** და **ამაიაკი.** ბახჩო ქობულოვი ბერიასთან 1925 წლიდან მუშაობდა, თბილისშიც და მოსკოვშიც მისი უახლოესი თანამებრძოლი იყო. 1953 წლის მარტის დასაწყისიდან 26 ივნისამდე **გენერალ-მაიორი ქობულოვი** სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გახლდათ. მის უმცროს ძმას ᲐᲛᲐᲘᲐᲙᲡ გენერალ-ლეიტენანტის ჩინი ჰქონდა და ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა დაზვერვის სპეციალობით. **ორივე ძმა 1953 წლის დეკემბერში დახვრიტეს, ისინი ხშირად ერევათ ხოლმე ერთმანეთში.** მოცემულ შემთხვევაში, როგორც ჩანს, საქმე ეხება ᲐᲛᲐᲘᲐᲙ ᲥᲝᲑᲣᲚᲝᲕᲡ, რომელიც დასავლეთში ბერიას ერთ-ერთი საიდუმლო ემისარი გახლდათ. სწორედ ის მიავლინეს ამერიკაში ატომურ ბომბზე წარმოებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამ აქციას უშუალოდ ხელმძღვანელობდა **სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-4 სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ᲞᲐᲕᲚᲔ ᲡᲣᲓᲝᲞᲚᲐᲢᲝᲕᲘ.** ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით, საიდუმლო ინფორმაცია ამაიაკ ქობულოვმა ფიზიკოს კ. ფუქსისგან მიიღო, რომელსაც „მანჰეტენის პროექტში" (ატომური კვლევის ლაბორატორია) წამყვანი ადგილი ეკავა. **შუალედურ რგოლად საბჭოთა დაზვერვაზე მომუშავე ფიზიკოსები — ცოლ-ქმარი როზენბერგები გამოიყენეს.** საბჭოთა „მეატომე" — აკადემიკოსი ᲮᲐᲠᲘᲢᲝᲜᲘ შემდგომში წერდა: **„კ. ფუქსის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყოვლისმომცველი იყო და მუშაობაში დიდი დახმარება გაგვიწია. თუმცა, არასწორი იქნება განცხადება, თითქოს ატომური ბომბი საბჭოთა კავშირში მხოლოდ ამ ცნობების წყალობით შეიქმნა. იმ დროს ჩვენ უკვე მჭიდროდ მივუახლოვდით ატომის საიდუმლოების გახსნას, ამ ინფორმაციამ პროცესი მხოლოდ დააჩქარა".**

ამერიკის საიდუმლო სამსახურმა „გამოითვალა" ცოლ-ქმარი ᲠᲝᲖᲔᲜᲑᲔᲠᲒᲔᲑᲘ, ისინი დააპატიმრეს და სასამართლოს განაჩენით ელექტროსკამზე დასვეს. ფუქსი არ დაზარალებულა — როზენბერგებს დაკითხვებზე ინფორმაციის წყარო არ დაუსახელებიათ.



ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲣᲡᲘ
2022 ᲬᲚᲘᲡ 17 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, № 30 (154)

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ
**„ასავალ-დასავალის" საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www.facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა უკრაინაში მიმდინარე სისხლისმღვრელი ომის პერიპეტიებს მიმოიხილავს და მიიჩნევს, რომ, თუ პუტინი უკრაინაში ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, ამერიკის შეერთებული შტატები მოსკოვს ატომური იერიშით არ უპასუხებს:***



## „თუ საქმეში ატომური იარაღი ჩაერთვება, რუსეთი შესაძლოა, განახევრდეს, მაგრამ ევროპა და უკრაინა დაიღუპება!“

## *იგორ კვესელავა:*

# არასოდეს უკრაინას სახელმწიფო არ ჰქონია და არც მეფე ჰყოლია!



— არცერთი ომი უმიზეზოდ და უმიზნოდ არ დაწყებულა... მაგალითად, ტროას ომი მშვენიერი ელენეს გამო ატყდა, ხოლო უკრაინის ომი ამერიკამ და დასავლეთმა უკრაინის უმდიდრესი რესურსების ხელში ჩაგდების მიზნით წამოიწყეს.

**— რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ ომი უკრაინაში ამერიკამ და დასავლეთმა დაიწყეს?**

— უკრაინის ომი დაიწყო 2014 წელს და უფრო ადრეც, როცა ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევრაზიის საკითხებში, ქალბატონი **ვიქტორია ნულანდი** კიევში მაიდნის რევოლუციის დროს პროტესტანტებს ჩაით, ნამცხვრითა და ფუნთუშებით პირადად ამარაგებდა. სხვათაშორის, იმავე ნულანდმა, რომელიც ეროვნებით ებრაელია, გარკვევით განაცხადა, რომ **ამერიკის შეერთებულ შტატებს მაიდანი 5 მილიარდი დოლარი დაუჯდა, მაგრამ მაიდნის რევოლუცია მას არ დაუფინანსებია!** ასეთი აბსურდული და ვირეშმაკური განცხადებაც, ალბათ, უპრეცედენტოა...

მეტი სიცხადისათვის გავიხსენოთ, რომ როგორც **„მარშალის გეგმა“, „ლენდ-ლიზიც“** წარმოადგენდა უდიდესი მოგების წყაროს, რომლითაც ამერიკამ თავის დროზე დიდი სარგებელი ნახა. ეს პროგრამები არ ამოქმედდებოდა, ამერიკას თავისი ეკონომიკური ინტერესი რომ არ ჰქონოდა.

**— ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია მეორე მსოფლიო ომის დროს „ლენდ-ლიზის“ პროგრამით მიღებული დახმარების საფასურს 2006 წლამდე იხდიდა.**

— უკრაინის ომში ამერიკამ ახლაც ჩართო „ლენდ-ლიზის“ პროგრამა, რაც იმას ნიშნავს, რომ იარაღის გაყიდვით კვლავაც დიდ მოგებას ნახავს. **აქ საუბარია ძირითადად მოძველებულ იარაღზე, თორემ უახლესი შეიარაღება ამერიკას ჯერ უკრაინის ფრონტზე არც გამოუყენებია და არც გამოუჩენია!**

ყველაზე მთავარი ამ სისხლისღვრასა და ორომტრიალში მაინც ის გახლავთ, რომ შეერთებულმა შტატებმა უკრაინის ომით მთელი ევროპის ეკონომიკა საგანგებო რელსებზე გადაიყვანა. ამით მან ჯერჯერობით პერსპექტივა მოუსპო გერმანიისა და საფრანგეთის ჩანაფიქრს, ნატოს გვერდის ავლით შექმნილიყო ევროკავშირის შეიარაღებული ძალები, სადაც ჰეგემონები იქნებოდნენ არა ამერიკელები, არამედ გერმანელები და ფრანგები. უფრო მეტიც, **უკრაინის ომით ამერიკას უჩნდება უნიკალური შანსი, გაყიდოს მოძველებული იარაღი და რუსული გაზის გარეშე დარჩენილ ევროპას მიჰყიდოს თავისი ძვირადღირებული გაზი.**

**— რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ამ არეულ ვითარებაში ატომურ ბომბს გამოიყენებს?**

— იმედია, საქმე აქამდე არ მივა, მაგრამ მოდით, განვიხილოთ ომის განვითარების უფრო პესიმისტური და ტრაგიკული სცენარიც. შევთანხმდეთ იმაზე, რომ ამერიკა რუსეთს ჯერ არ მიახლოებია, მაგრამ, როგორც კი ეს მოხდება, მოსკოვი აუცილებლად გამოიყენებს ატომურ შეიარაღებას და უკრაინას გაანადგურებს! **რუსეთი ამერიკას არ დაარტყამს, მაგრამ უკრაინაზე ატომური იერიშით მოსპობს შუაგულ ევროპას, რაც, ბუნებრივია, გამოიწვევს საკუთრივ რუსეთის ტერიტორიის დიდი ნაწილის განადგურებასაც.** ამ შემთხვევაშიც კი რუსეთს ციმბირში კიდევ რჩება განვითარების რესურსი მაშინ, როცა ევროპას ეს რესურსიც არა აქვს! **თუ საქმეში ატომური იარაღი ჩაერთვება, რუსეთი შესაძლოა, განახევრდეს, მაგრამ ევროპა და უკრაინა დაიღუპება!**

**— ამერიკა ამ შემთხვევაში რუსეთის ატომურ იერიშს არ უპასუხებს?**

— არა, არ უპასუხებს! **ამერიკა ამას გააკეთებს მხოლოდ მაშინ, თუ რუსეთი საკუთრივ შეერთებულ შტატებზე მიიტანს ბირთვულ იერიშს!**

**— დაიბრუნებს თუ არა უკრაინა დაკარგულ ტერიტორიებს და ვის მხარეზეა, ზოგადად, სიმართლე?**

— რაც შეეხება ისტორიულ სიმართლეს, არასოდეს უკრაინას სახელმწიფო არ ჰქონია და არც მეფე ჰყოლია! უკრაინის სახელმწიფოს შექმნა დაკავშირებულია ლენინთან და ყველაზე მეტად სტალინთან... აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ არც ყირიმი ეკუთვნოდა როდისმე უკრაინას. ეს იყო ტავრების მიწა, რომელსაც ჯერ ბერძნები ფლობდნენ, მერე ოქროს ურდო აკონტროლებდა, ხოლო 1475 წლიდან ყირიმი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. ყირიმის ხანები თურქეთის სულთნის ვასალები იყვნენ და რუსეთს აწიოკებდნენ. **ეკატერინე მეორის დროს, კერძოდ, 1783 წელს, რუსეთმა სისხლი ჩააქცია ყირიმში და ეს მიწა თავის იმპერიას შემოუერთა.** კი მაგრამ, რა შუაშია აქ უკრაინა? მხოლოდ ნიკიტა ხრუშჩოვის დროს, 1954 წელს, უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად, ყირიმი ჩამოაშორეს რუსეთის ფედერაციას და მიაკუთვნეს საბჭოთა უკრაინას. სულ ეს არის ყველაფერი! **ასე რომ, ახლა უკვე მკითხველმა განსაჯოს, ვის მხარეს არის ისტორიული სიმართლე!**

ისტორიული სიმართლეა ისიც, რომ შამილს ინგლისის დაზვერვა აფინანსებდა, ხოლო 1857 წლის **უტუ მიქავას აჯანყების** დროს აჯანყებულების უკანაც ინგლისის აგენტები იდგნენ. 1853-1856 წლების ყირიმის ომში ინგლისი სჩადიოდა იმას, რასაც დღეს ამერიკის შეერთებული შტატები უკრაინაში სჩადის! **გლობალურ პოლიტიკაში არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, ტექნოლოგიები დაიხვეწა და დიდი ბრიტანეთი ამერიკამ ჩაანაცვლა!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## „უკრაინის ომით ამერიკას უჩნდება უნიკალური შანსი, გაყიდოს მოძველებული იარაღი და რუსული გაზის გარეშე დარჩენილ ევროპას მიჰყიდოს თავისი ძვირადღირებული გაზი!“

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ მაისაია**
*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში*



უკრაინის გამარჯვების შემთხვევაში **რუსეთი შეიძლება ჩვენკენ შემობრუნდეს,** უკრაინასთან დამარცხების ფონზე რაღაც ალტერნატიული გამარჯვების მოწყობა მოუნდეს.

„ახალი თაობა“

**ნიკოლოზ მეფარიშვილი**
*ანალიტიკოსი*



უკრაინის მხარდამჭერ აქციას **რუსული რუბლებით** დაფინანსებული **ელენე ხოშტარია** ატარებს.

„GTMEDIA“

**კახა გოგოლაშვილი**
*მკვლევარი*



არ არის გამორიცხული, **ბირთვული დაპირისპირების შემთხვევაში** ნატოს საქართველოს პორტების ან აეროდრომების გამოყენება დასჭირდეს შავი ზღვის აკვატორიის გასაკონტროლებლად. **თუ „ქართული ოცნება“ არჩევნებში 40 პროცენტს დააგროვებს, „ხალხის ძალა“ კი — 10 პროცენტს,** უკვე 50 პროცენტი ექნებათ, რაც უმრავლესობის შექმნის საშუალებას მისცემს.

„კვირის პალიტრა“

**ვახტანგ კაპანაძე**
*გადამდგარი გენერალ-მაიორი*



**ბირთვული დარტყმა გამოიწვევს რადიაციულ ღრუბელს,** რომელიც ევროპაში გავრცელდება, მისი შეღწევა კი ნებისმიერ შემთხვევაში ავტომატურად რთავს **ნატოს „მეხუთე მუხლს“** და ალიანსი ბრძოლაში ერთვება.

„კვირის პალიტრა“

**დავით ქართველიშვილი**
*ანალიტიკოსი*



უკრაინაშია იმის **ხილული მაგალითი,** თუ რას ნიშნავს ქვეყანაში ომის თავიდან ვერაცილება.

„GTMEDIA“

***2013 წლის 13 იანვარს რუსთავის მე-6 საპყრობილის მე-13 საკნიდან „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლა ქველმოქმედი და მწერალი მერაბ რაფიშვილი, რომელიც სააკაშვილის კვაზიფაშისტურმა რეჟიმმა 2007 წლის 26 ოქტომბერს დააპატიმრა. ზურაბ ჟვანიას მეგობარი, რომელიც ნაცხროვის მძლავრობის ჟამს ოპოზიციას აფინანსებდა, უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოში მომხდარი უკლებლივ ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესის აქტიური მონაწილეა და აცხადებს, რომ საქართველო ორ ამერიკელ კოვბოის — მამა-შვილ ბუშს შეეწირა:***



## მერაბ რაფიშვილი:

# ზვიად გამსახურდია ამერიკელებმა რუსული აგენტურის ხელით დაამხეს!

— ის, რაც უკრაინაში, საქართველოსა და ყოფილ საბჭოთა სივრცეში ხდება, დაიწყო დიდი ხნის წინათ და შედეგია იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ღალატით დაიშალა. მოღალატეები იყვნენ — **მიხეილ გორბაჩოვი და ედუარდ შევარდნაძე,** რომლებმაც თავის დროზე ხელი მოაწერეს ე.წ. კანცლერ-აქტსა და ტოლერანტობის აქტს! რაც შეეხება **ალექსანდრე იაკოვლევს** — „პერესტროიკის“ ერთ-ერთ მამას — ის ყველაზე უფრო სტაჟიანი მოღალატე და აგენტი იყო, რომელიც ამერიკელებმა საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ ნიკიტა ხრუშჩოვის დროს ჩანერგეს... 1989 წლის 2 თებერვალს გორბაჩოვისა და რეიგანის მალტაზე შეხვედრის დროს ისეთი რაღაც მოხდა, რაც პროტოკოლებში შეტანილი არ არის. **როგორც ირკვევა, საბოლოოდ სწორედ მალტაზე გადაიბირეს გორბაჩოვი და შევარდნაძე და გორბაჩოვს აურაცხელი ფული მისცეს.** საუბარია **275 მილიონ დოლარზე,** რომელიც მაშინ ასტრონომიული თანხა იყო. ეს ფული ამერიკელებმა პირადად გორბაჩოვს ჩაურიცხეს ამერიკისა და გერმანიის ანგარიშებზე. როგორც ამბობენ, სწორედ მალტაზე მოხდა გორბაჩოვისა და შევარდნაძის რაღაც კლუბში გაერთიანება, რასაც შედეგად მოჰყვა გერმანიიდან საბჭოთა ჯარების სასწრაფოდ გამოყვანა და დასავლეთ გერმანიის მიერ აღმოსავლეთ გერმანიის ტოტალური ძარცვა. დიახ, დემოკრატიული გერმანია გაძარცვეს და ფედერაციულ გერმანიას ისე შეუერთეს.

**სწორედ მაშინ გადასცეს ბერინგის ზღვაში ამერიკელებს საბჭოთა კავშირის კუთვნილი 44 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორიაც, რომელიც მთელ მსოფლიოში შავი ხიზილალის საბადოა.** პრაქტიკულად, დათმეს და გაყიდეს ყველაფერი. მალტაზე შეხვედრის დროს შევარდნაძესა და გორბაჩოვს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რადგან ამერიკელები ედუარდ ამბროსოვიჩს უპირებდნენ გაპრეზიდენტებას, მიხეილ სერგეევიჩს კი — გვერდზე გაჩოჩებას. დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს საკითხი მაშინ პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მერე რაღაც მოხდა და ამ გეგმას გაგრძელება აღარ მიეცა.

**— ბატონო მერაბ, რას ნიშნავს კანცლერ-აქტი და ტოლერანტობის აქტი?**

— 1946 წელს, როცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სათავეში ამერიკელებმა **კონრად ადენაუერი** მოიყვანეს, მას ხელი მოაწერინეს **კანცლერ-აქტსა და ტოლერანტობის აქტზე.** ხელშეკრულების თანახმად, გერმანიის ყველა კანცლერი შეთანხმებული უნდა ყოფილიყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტთან; ასევე ამერიკასთან თანხმდებოდა ფედერაციული გერმანიის ეკონომიკური და განათლების პოლიტიკა. 1949 წელს ამას დაემატა კიდევ ერთი პირობა — **ფედერაციულ გერმანიას სავალუტო და ოქროს რეზერვები უნდა შეენახა ამერიკაში.** ფაქტობრივად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გახდა ამერიკის შეერთებული შტატების კოლონია. ასეთი რამ ამერიკამ საფრანგეთთან ვერ მოახერხა, რადგან **შარლ დე გოლი** პროტესტის ნიშნად ნატოდანაც გამოვიდა და ამერიკელებს სავალუტო რეზერვებიც დააბრუნებინა.

რაც შეეხება **ტოლერანტობის აქტს,** ეს აქტი გულისხმობს ყოველივე ამერიკულისადმი ტოლერანტული განწყობის ვალდებულებას და ამერიკული ინსტრუქციებისადმი უსიტყვო მორჩილებას. მოსკოვში ჩემს მე-



### „1992 წლის 7 მარტს ვნუკოვოს აეროპორტიდან შევარდნაძე მე და ნუგზარ ფოფხაძემ გამოვაცილეთ... „ტუ-134“-ში ვახტანგ რაზმაძის პროკურატურის ხალხი იჯდა, როგორც იმის გარანტი, რომ თვითმფრინავს ვინმე არ ჩამოაგდებდა!“

ზობლად ცხოვრობდა ბორის ელცინის უახლოესი მეგობარი **ლეონიდ ფიოდორის ძე ბაბიკინი,** რომელიც დღესაც ცოცხალია. როცა ელცინი სვერდლოვსკს ხელმძღვანელობდა, **ბაბიკინი** მისი მოადგილე გახლდათ. სწორედ მისგან ვიცი, რომ 1989 წელს ამერიკელებმა ლოთი, გაუბედურებული და გაგდებული **ბორის ელცინი** სანაგვედან ამოიღეს, ჯერ პრეზიდიუმის თავმჯდომარე გახადეს და მერე რუსეთის პრეზიდენტადაც აკურთხეს. **ამერიკელებმა ელცინსაც მოაწერინეს ხელი კანცლერ-აქტზე და ასე დაიწყეს რუსეთის გაკოტრების პროცესი.** ჩემი ინფორმაციით, 1989 წლის შემდეგ მხოლოდ რუსეთის ფედერაციიდან ამერიკაში გატანილია 12 ტრილიონი დოლარის ქონება და სტრატეგიული მნიშვნელობის მასალები. 500 ტონა მხოლოდ გამდიდრებული ურანი გაიტანეს ქვეყნიდან, რომლის ფასიც განუსაზღვრელია.

### ამერიკელებმა კანცლერ-აქტზე ელცინის გარდა ხელი მოაწერინეს ყველა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკის ლიდერს, მათ შორის, ალიევს, ნაზარბაევს...

**— შევარდნაძესაც მოაწერინეს?**

— ამერიკელებთან კანცლერ-აქტზე ხელმოწერის გარეშე **შევარდნაძეს** საქართველოში არავინ დააბრუნებდა! ეს იყო აუცილებელი პირობა, რათა ის თბილისში უსაფრთხოდ დაესვათ... სხვათაშორის, 1992 წლის 7 მარტს, როცა შევარდნაძე მოსკოვიდან თბილისისკენ მოფრინავდა, მეც აეროპორტში ვიყავი. წესით, შევარდნაძე 1992 წლის თებერვალში უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ თბილისში სერიოზული პრობლემები იყო და **სიგუა, კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი** ზვიადის მომხრეებს ვერ იმორჩილებდნენ. მანამდე, 1991 წლის ზაფხულში, მოსკოვში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში, ზვიად გამსახურდია თენგიზ სიგუასთან ერთად ამერიკის სახელმწიფო მდივან **ჯეიმს ბეიკერს** შეხვდა. აი, სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ იყო, რომ ამერიკელებმა **ზვიად გამსახურდიას** განაჩენი გამოუტანეს და პრეზიდენ-






### „1992 წლის 7 მარტს შევარდნაძე ვნუკოვოს აეროპორტიდან საქართველოსკენ რომ მოფრინავდა, უკვე იცოდა, რომ აფხაზეთში ომი უნდა გაეჩაღებინა და სოხუმი ჩაებარებინა!“

## კვირგვინოსნები



**საბა იზორია**
*ესპანეთში მოღვაწე ქართველი გიტარისტი*

90-იანი წლების ბნელმა ეპოქამ ძალიან დიდი ფსიქოლოგიური ტრავმა დამიტოვა, რაც ლაქად დარჩება ჩემს ცხოვრებაში. **ბავშვობა წამართვეს** და მომავალში წარმოუდგენლად კარგიც რომ გახდეს დედამიწაზე ცხოვრება, **ჩემი ბავშვობის 10 წელი მაინც ბნელ ისტორიად მემახსოვრება.**

„თბილისელები“



**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*

რატომ უნდა ჩავთვალო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ და ხალხმა მოიგო ნაცებთან? მე ვხედავ, **ნაცები არიან გამარჯვებულნი** — ისინი არიან ყველა თანამდებობაზე, მათ ჰყავთ პოლიტიკური ძალა, ისინი არიან სასამართლოში, პროკურატურაში, ძალოვან სტრუქტურებში. **„ქართულ ოცნებას“ რომ გადახედოთ, ყოფილი ნაცები უკვე სჭარბობენ მათ. რეალურად, თვითონ გახდნენ ნაცები.**

„ალია“



**ეკა ბესელია**
*პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერი*

**ბიძინა ივანიშვილის** დიდმა ფულმა ცდუნებების მორევში ძალიან ბევრი ადამიანი ჩაითრია. მომავალი არჩევნებისთვის **ნამდვილად იქნება ახალი ალტერნატივა,** ვინ და როდის, ნუ მკითხავთ. ვიცი, რომ იქნება.

„ახალი თაობა“



**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი*

მმართველი პარტიის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი დიდ ბრიტანეთში წავიდა სამუშაოდ. ჯერ არ ახმაურებენ ამ ამბავს, მაგრამ უტყუარი ინფორმაციაა. **დაიცალა ქვეყანა ქართველებისგან და თუ ასე გაგრძელდა, დემოგრაფიული მდგომარეობა შეიცვლება და რამდენიმე წელში ქართველები უმცირესობაში აღმოვჩნდებით ჩვენსავე ქვეყანაში.**

„ალია“



# „მალტაზე შეხვედრის დროს შევარდნაძესა და გორბაჩოვს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რადგან ამერიკელები ედუარდ ამბროსოვიჩს უპირებდნენ გაპრეზიდენტებას, მიხეილ სერგეევიჩს კი – გვერდზე გაჩოჩებას!“

ტმა **ჯორჯ ბუშმა (უფროსი)** განაცხადა — „გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს!“

**— რა გახდა ამ განცხადების მიზეზი და მაინც რაზე ვერ მოილაპარაკეს ზვიად გამსახურდიამ და ჯეიმს ბეიკერმა?**

— **ზვიად გამსახურდიამ ჯეიმს ბეიკერსა და პრეზიდენტ ბუშს მოსკოვში, ამერიკის საელჩოში, კანცლერ-აქტზე ხელი არ მოუწერა და იმიტომაც ჩამოაგდეს!** ზვიადი ამერიკელებმა რუსული აგენტურის ხელით დაამხეს! ზვიად გამსახურდიას არჩევანი ჰქონდა — საქართველო, ან უნდა ყოფილიყო ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო, ან — ამერიკის კოლონია! პირველი პრეზიდენტი საქართველოს ამერიკულ კოლონიად გადაქცევას არ დათანხმდა და წავიდა რადიკალურ ნაბიჯზე, რასაც შეეწირა კიდეც.

**— ანუ ვინც ზვიადს დაუპირისპირდა, ყველა რუსეთის აგენტი იყო?**

— ზუსტად ასე ვერ ვიტყვი, მაგრამ, **ვინც ზვიადის წინააღმდეგ იარაღი აიღო, ყველამ იმ რუსეთის აგენტურის საქმე გააკეთა, რომლის მეშვეობითაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოში ეროვნული ხელისუფლება დაამხო!**

რაც შეეხება **შევარდნაძეს,** ის იყო ამერიკელების აგენტი, რომელმაც **ბეიკერსა და ბუშს** კანცლერ-აქტზე ხელი უპრობლემოდ მოუწერა და საქართველოში ხელისუფლებაც მიიღო. **1992 წლის 6 იანვრის შემდეგ, რაც გამსახურდია დაამხეს, შევარდნაძე მოსკოვში საათებსა და დღეებს ითვლიდა, თუ როდის ჩამოვიდოდა თბილისში.** სხვათაშორის, შევარდნაძეს არ ეგონა, თუ კანცლერ-აქტზე ხელმოწერა მოუწევდა, მაგრამ ამერიკელებმა ხელი მასაც მოაწერინეს.

1992 წლის 7 მარტს შევარდნაძე ვნუკოვოს აეროპორტიდან საქართველოსკენ რომ მოფრინავდა, უკვე იცოდა, რომ აფხაზეთში ომი უნდა გაეჩაღებინა და სოხუმი ჩაებარებინა.

**შევარდნაძეს არავინ არაფერს ეკითხებოდა, აფხაზეთის ომი ისევე, როგორც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, რუსულმა აგენტურამ ამერიკის კარნახით გააჩაღა; შევარდნაძეს ერთადერთი რამ ევალებოდა — ხალხისთვის დაემალა სიმართლე და პოლიტიკურ საბურველში გაეხვია ეს ყველაფერი!**

ისევე, როგორც რუსეთი, ჩვენც ამერიკის მძევლები ვიყავით. **სააკაშვილმაც** იცოდა, რომ ცხინვალი და კოდორის ხეობა უნდა ჩაებარებინა, სხვანაირად ამერიკელები ხელისუფლებაში არ მოუშვებდნენ!

**7 მარტს ვნუკოვოს აეროპორტიდან შევარდნაძე მე და ნუგზარ ფოფხაძემ გამოვაცილეთ...** „ტუ-134“-ში **ვახტანგ რაზმაძის** პროკურატურის ხალხი იჯდა, როგორც იმის გარანტი, რომ თვითმფრინავს ვინმე არ ჩამოაგდებდა. მათ შორის გახლდათ პროკურატურის მაღალჩინოსანი, ჩემი ქვისლი — **დათო ლეონიძე,** ხოლო ე.წ. „დაცვა“, რომელიც შევარდნაძეს მოსკოვიდან გამოჰყვა, სასაცილოდ გამოიყურებოდა. ეს იყო ე.წ. **მამიაშვილის** „საქმიანი ბიჭების“ ნაკრები, რომელსაც ემატებოდა **ინშაკოვი,** რომელიც კასკადიორი გახლდათ. სხვათაშორის, გენერალურ პროკურორ **ვახტანგ რაზმაძეს** მოსახლეობიდან იარაღის ამოსაღებად ფონდი შევუქმენი და 20 მილიონი მივეცი... რაღაც იარაღი მართლაც ამოიღეს... ერთი რამ კარგად დავიმახსოვროთ: **ტაჯიკეთის, ფერღანის, ყარაბაღის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემები მაშინვე მწვავდებოდა, როგორც კი ერთმანეთს ან რეიგანი და გორბაჩოვი, ანდა შევარდნაძე და ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი ხვდებოდნენ!**

**— რატომ, ეს მოვლენები ერთმანეთთან რა კავშირში იყო?**

— ამერიკისა და, ზოგადად, ნატოს ქოლგის ქვეშ მოქმედი სპეცსამსახურები ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე ამ ნაღმებსა და ბომბებს ერთმანეთის მიყოლებით აფეთქებდნენ და ე.წ. ეთნოკონფლიქტებს აღვივებდნენ, რათა ამერიკასთან მოლაპარაკებების დროს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა უფრო დამყოლი და თვინიერი ყოფილიყო. სხვათაშორის, ყველაზე დიდ ეთნოკონფლიქტს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატები **თათარისტანში** ამზადებდა, მაგრამ პრეზიდენტი **მინტიმერ შაიმიევი** უჭკვიანესი კაცი აღმოჩნდა, როცა თავის დროზე თათარისტანიდან რუსის ჯარი გააყვანინა, რათა რამე არ მომხდარიყო და მერე სისხლისღვრა მას არ დაბრალებოდა. **ჩეჩნეთზე უარესი თათარისტანში იგეგმებოდა...**

**— კი მაგრამ, ამერიკას მე20 საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა კავშირში ამდენი აგენტი ჰყავდა?**

— დიახ, ჰყავდა, რადგან, როგორც აღმოჩნდა, საბჭოთა „კაგებეს“ შეფი **იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი** სინამდვილეში ამერიკელების კაცი იყო. სწორედ ანდროპოვის დროს გააქტიურდა ამერიკული რეზიდენტურა საბჭოთა კავშირში.



## „როგორც აღმოჩნდა, საბჭოთა „კაგებეს“ შეფი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი სინამდვილეში ამერიკელების კაცი იყო. სწორედ ანდროპოვის დროს გააქტიურდა ამერიკული რეზიდენტურა საბჭოთა კავშირში!“



## „2004 წლის ივლისში ცხინვალში ომი უნდა გაჩაღებულიყო, მაგრამ სისხლისღვრა გააჩერა ზურაბ ჟვანიამ, რაც მას არ აპატიეს და მოკლეს!“

**— აფხაზეთში რა მოხდა?**

— მოკლედ გეტყვით — საქართველო ორ ამერიკელ კოვბოის, **მამა-შვილ ბუშს** შეეწირა! 1992 წელს მამა ბუში მეორე ვადით უნდა აერჩიათ და ომი სჭირდებოდათ, ხოლო 2008 წელს **მაკ-კეინი** იყრიდა საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს და ასევე სჭირდებოდათ პერმანენტული ომი, რომლითაც მოხდებოდა მაკკეინის რეიტინგის ზრდა. საქართველოში ცხინვალის ომი სინამდვილეში დაგეგმილი იყო არა 2008 წლის, არამედ 2004 წლის ზაფხულში, როცა **უმცროს ბუშს** ამერიკის პრეზიდენტად მეორე ვადით ირჩევდნენ. ყველაფერი გამზადებული იყო და 2004 წლის ივლისში ცხინვალში ომი უნდა გაჩაღებულიყო, მაგრამ სისხლისღვრა გააჩერა **ზურაბ ჟვანიამ,** რაც მას არ აპატიეს და მოკლეს!



## „სააკაშვილმა იცოდა, რომ ცხინვალი და კოდორი უნდა ჩაებარებინა, სხვანაირად ამერიკელები ხელისუფლებაში არ მოუშვებდნენ!“

**— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ჟვანია მოკლეს?**

— აბსოლუტურად! **ზურაბ ჟვანია რომ მოკლულია, ეს არაერთხელ მაქვს ნათქვამი გია ბარამიძისთვის, რომელიც ვერაფერს მპასუხობდა და პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული.** აბა, რა იყო ის გაჩეხილი თავი და ნემსის ნაჩხვლეტები, რომელიც მას სხეულზე ჰქონდა?! ზურაბ ჟვანიას ძალიან კარგად ვიცნობდი, გადაბმული ძმაკაცები არ ვყოფილვართ, მაგრამ ჩვენ ყველაფერზე შეგვეძლო ლაპარაკი. **ჟვანია, ბარამიძე და მაჭავარიანი** მოსკოვში რომ ჩამოდიოდნენ, ჩემი მანქანით დასეირნობდნენ, რადგან ახალგაზრდები იყვნენ და ვგულშემატკივრობდი. 2004 წლის ოქტომბერში ზურაბ ჟვანია ამერიკიდან რომ ჩამოვიდა, სადაც მას **მადლენ ოლბრაიტის** მედალი ჩამოკიდეს, შევხვდი და ვუთხარი — **ხომ გახსოვს, პოლიტბიუროს წევრებს მედალს რომ ჩამოკიდებდნენ, ან ელჩად გაუშვებდნენ სადმე, ან პენსიაზე, ანდა კრემლის მეოთხე სამმართველოში გაურკვეველ ვითარებაში განუტევებდა სულს, ამიტომ ფრთხილად იყავი-მეთქი!** ამაზე ზურამ ისტერიკული სიცილი ატეხა, ხარხარებდა და ჩემს გაფრთხილებას არად აგდებდა...

## ამ შეხვედრიდან სულ რაღაც ორი თვე იყო გასული, როცა 2004 წლის დეკემბერში ზურაბ ჟვანიამ მითხრა – საჩემო არაფერი გაქვს? მოსკოვში წამიყვანე! ამ შეხვედრიდან ორ თვეში ის მოკლეს!

**— ეს რას ნიშნავდა?**

— მოგახსენებთ... ეს რომ მითხრა, ჟვანიას ვუპასუხე — **აი, ეს იმის ბრალია, პარტია სააკაშვილს რომ დაუთმე-მეთქი!** — მაგას მე ვინ მეკითხებოდა? — გაკვირვებით მიპასუხა ზურამ.

**— იცით, ზურაბ ჟვანია როგორ მოკლეს?**

— არაფერი ვიცი გარდა იმისა, რომ იმ ბინაში, რომელსაც ზურაბ ჟვანიასთვის კარგად ცნობილი ადამიანი ქირაობდა...

**— ვასიკო მაღლაფერიძეს გულისხმობთ?**

— გცოდნიათ! **დიახ, იმ ბინაში, რომელშიც ზურაბ ჟვანია რაულ უსუპოვთან ერთად აღმოჩნდა, გაზი ნამდვილად არ იყო.** ციხეში ყოფნის დროს ჩემს საკანში იჯდა ახალგაზრდა კაცი, რომლის დედაც იმ სახლის გვერდით მდებარე მაღაზიაში მუშაობდა. იმ ბიჭისგან ვიცი, რომ კორპუსში გაზი არ იყო, რადგან რაღაცას არემონტებდნენ და გაზის მილები შეერთებული არ გახლდათ. როგორც პოლიტპატიმარს, პატიმრები ციხეში რაღაცებს გამუდმებით მწერდნენ და მთხოვდნენ... ერთმა ისიც კი მომწერა, რომ არსებობდნენ თვითმხილველები, რომლებმაც დაინახეს, თუ როგორ შეიტანეს ბინაში ტელევიზორის ყუთებში ჩადებული ზურაბ ჟვანია და რაულ უსუპოვი...

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***
***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



ნაცმოძრაობა, გარდა იმისა, რომ შედგება **რადიკალებისგან და უსამშობლო ადამიანებისგან,** ასევე შედგება დასმენებში დაოსტატებული ხალხისგან. ამ **დასმენების პოლიტიკამ** ეს ადამიანები პოლიტიკურ ბანკროტამდე მიიყვანა.

„იმედინიუსი“

**გრიგოლ ვაშაძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



ის, რომ შსს-ს და სუს-ს ორჯერ მეტი დაფინანსება აქვს, ვიდრე თავდაცვის სამინისტროს, არის კატასტროფა ან **როდემდე უნდა იყოს საგარეო უწყება უპატრონოდ მივიწყებული?** — არ შეიძლება ვიყოთ იმედზე, რომ **„ყველაფერი კარგად იქნება“, ყველაფერი კარგად არ იქნება!**

„ინტერპრესნიუსი“

**დავით ჭიჭინაძე**
*„ტრიბუნას“ ლიდერი*



**ოპოზიციამ პარლამენტი სასწრაფოდ უნდა დატოვოს.** თუ ასე გაგრძელდება, მალე სახელმწიფო აღარ გვექნება. ამას ვერ აცნობიერებს **ის ოპოზიცია, რომელიც პარლამენტშია შემძვრალი.**

„ახალი თაობა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ანალიტიკოსი*



როგორც კი სიტუაცია შეიცვლება და რუსეთი აღარ იქნება საფრთხე, ვფიქრობ, **მსოფლიო დაუბრუნდება რუსეთთან დიალოგს,** რადგან ის დიდი და ანგარიშგასაწევი ქვეყანაა.

„კვირის პალიტრა“

# ორნი ტალახში

***ნინო გოგუაძე გახსოვთ? ვერ იხსენებთ? ეგ ის არი, ირაკლი ალასანიას პარტიაში რომ იყო. მერე? რაღა მერე... 2012 წელს ბიძინა ივანიშვილმა ეს დედაკაცი ხათრით საპარლამენტო სიაში ჩაწერა, გაიყვანა, საკანონმდებლო ორგანოში დასვა და 4 წელიწადი ატატყანა (ტატყანი — უსაბუთო, უქმი ლაპარაკი).***




## მოტატყანე დედაკაცი

ჰოდა, ეს **მოტატყანე ქალი** წინა „კვირის რომელიღაცა დღეს“ „ჰუტლექსვიზიის“ სტუდიაში მიიწვიეს და ბევრი უცნაურობანი ალაპარაკეს. ნეტავ, რად უნდოდათ, მაგრამ, **რაკი ბიძინა ივანიშვილს ლანძღავს, მაგათ ჰგონიათ, მომგებიანი პერსონაა.** უამრავ სისულელეთაგან ჩემი ყურადღება ერთმა უფრო მიიქცია — **2013 წლის თებერვალში მე მქონდა ძალიან მძიმე ლაპარაკი ბიძინა ივანიშვილთანო.**

**რაზე გქონდათ მძიმე ლაპარაკიო?** — ჩაეკითხა გადაცემის წამყვანი ინგა და „ექსკლუზივის“ მოლოდინში ყურები დაცქვიტა:

**„ირაკლი ალასანიაზე და ასე შემდეგ. მან გაცხარებაში ბევრი რაღაცის თქმა იცის, მეც არ დავუთმე. სულ სამი ადამიანი იყო, ვისაც ვუამბე ამ ლაპარაკის შესახებ, ერთ-ერთი იყო დათო უსუფაშვილი და მე მას ვუთხარი, რომ ჩვენ ვართ შარში. გამარჯვებიდან სამ თვეში, ანუ 2013 წლის თებერვალში, მე უკვე გამიჩნდა ეჭვი, რომ ქვეყანა მიდიოდა სხვა მიმართულებით“.**

როგორც ხედავთ, **გოგუაძემ** სულ ოდნავ გახსნა „ექსკლუზივის“ ფრჩხილები, ბოლომდე მაინც არ თქვა, რაზე ელაპარაკა იმჟამინდელ პრემიერ-მინისტრს ძალზედ მძიმედ. გადაცემის წამყვანი ხომ ჩააგდო ინტერესში, მაყურებელიც აეგრე დატოვა პირში ჩალაგამოვლებული, აღარაფერს ვამბობ **ორ ჭუტაზე — „უმფროსსა“ და უმცროსზე.**

რაკი ასეა, რაკი ყველა ასე „გაიმეტა“ **მოტატყანე დედაკაცმა,** მაშინ მე მოგახსენებთ, რა უნდოდა მას ბიძინა ივანიშვილთან და საიდან გაუჩნდა ეჭვი, რომ ქვეყანა მიდიოდა სხვა გზით?

**მას შემდეგ, რაც ბატონი ბიძინა გახდა მთავრობის მეთაური, ის რამდენიმე თვის განმავლობაში კიდევ მართავდა გაფართოებულ პრესკონფერენციებს. ერთ-ერთი პრესკონფერენციის წინ ხელში ჩამივარდა „სალაღობო“ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დაიგულა რა ბატონმა ალასანიამ თავი თავდაცვის მინისტრად, ეგრევე აუშვა აფრები და დაიწყო შატალოზე სიარული (რატომღაც) ნაციონალების თანხლებით** — ის არაერთხელ შენიშნეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებისკენ გაფრენილ ავიარეისებზე და ერთი-ორჯერ **ბიბი უგულავას ცოლთან** ერთადაც კი. კაცია და გუნება, ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, ვისთანაც უნდა, იმასთან იმგზავროს, მაგრამ, როცა ქვეყანაში სერიოზული ცვლილებებია, როცა საფრთხეები არ არის გადავლილი, როცა თავდაცვა ჩაგაბარეს და ამ დროს „შატალოზე“ დარბიხარ, მთავრობის სხდომებს დაუკითხავად აცდენ, ეს უკვე სერიოზული პრობლემაა. **ბიძინა ივანიშვილს, როგორც კლასის დამრიგებელს, ეტყობა, მობეზრდა ამდენი გაცდენები და მთავრობის სხდომაზე ირაკლის ეუბნება: ბიჭო, სად დადიხარ, თუ მივლინებებში ხარ, მე არ უნდა ვიცოდეო?!**

რა მივლინება, რომელი „პუწიოვკა“, სადაური ბიულეტენი? ტიპი იძახდა, მე ვარ და ჩემი ნაბადი, იქით გორასა წიხლსა ვკრამ, აქეთ გორასა ძვრას ვუზამო.

**მოვიდა ბიძინა ივანიშვილი, დაიწყო პრესკონფერენცია, მომიწია რიგმა, ამ თემაზე გავუხსენი „ცეცხლი“** — თქვენი მინისტრები საეჭვო ადგილებში რომ დაეხეტებიან, შენიშვნები მიგიციათ, მგონი, გაბრაზებულხართ კიდევაც, ნეტავ რა ხდება-მეთქი? **დიახ, ზუსტად ასე იყო, მხოლოდ სხდომებს კი არ აცდენენ, ზოგიერთნი ნაციონალებს საეჭვო ადგილებში გადაუღიათ და ძალზე შეწუხებულნი არიან, ჩემთან მოვიდნენ, ცოლებთან გვიშუამდგომლე, ოჯახები გვენგრევაო.** სიმართლე გითხრათ, ასეთ გულახდილობას არ ველოდი, არც არავინ ელოდა, ფაქტობრივად, მაგარი სკანდალი „გაეძრო“, ბატონმა ბიძინამ ყველაფერი დაადასტურა. **თუმცაო** — იქვე დაამატა — **ცოლების ამბავი ირაკლის არ ეხებაო, მაგ საქმეში სუფთააო,** მაინც დაიცვა თავისი მინისტრი. ასეც უნდა ყოფილიყო, მან ბევრი დაიცვა და ბევრი გამოალამაზა, მაგრამ ყველამ იქით აგინა.

მოკლედ, ეს იყო მიზეზი, რომ **ქალბატონი გოგუაძე** ივანიშვილს კაბინეტში შევარდნოდა და ძალზე მძიმე ლაპარაკი ჰქონოდა — **როგორ გაბედა? როგორ გამოიტანა სხვების პირადი ცხოვრება სააშკარაოზე? როგორ ამხილა თავისი მინისტრები და გუნდის წევრები?** არ დაგავიწყდეთ, იმ ეტაპზე ძირითადად კოალიციაში სხვა პარტიებიდან შემატებული ტიპები ცელქობდნენ — **„თავისუფალ დემოკრატებს“ ვინ ჩივის, „რესპუბლიკელები“ ისეთ რამეებს სჩადიოდნენ — თვალო, ნუ დაინახავ... ყურო, ნუ გაიგონებ, ჰქონდათ კულუარებში დიდი გარჩევები და ცემა-ტყეპა** (ამის საწერად მომავალში დავჯდები).

როგორც უკვე გითხარით, შეუვარდა **გოგუაძე** ივანიშვილს და... თავისივე თქმით, იყო ჯახი. აკი აღიარებს კიდევაც — მან გაცხარებაში ბევრი რაღაცის თქმა იცისო (ეს რანაირი ქართულია?) არც მე დავუთმეო... იმან მითხრა და არც მე დავაკელიო... მე ვუთხარი და არც იმან დამაკლოო.

არ დაგავიწყდეთ, მანამდე კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა თურქეთში — **ჩვენი სამთავრობო დელეგაცია ანკარაში ოფიციალური ვიზიტით იყო ჩასული, უკან გამობრუნებისას აღმოჩნდა, რომ ირაკლი ალასანია აორთქლებულიყო. მოგვიანებით თქვეს, საქმეზე იყო გასული და დააგვიანდაო. ბუნებრივია, მთავრობის სხდომაზე ამ თემასაც წამოსწევდნენ. თავი დავანებოთ იმას, რაც 2012 წლის არჩევნებისას სამეგრელოში მოხდა** (ამაზე საწერადაც ღირს დაჯდომა).

აი, აქ მიხვდა **გოგუაძე,** რომ ქვეყანა არ მიდიოდა სწორი მიმართულებით!

დიახ, **მაშინვე იგრძნო გოგუაძემ, როგორ გადავიდა ქვეყანა დასავლური რელსებიდან რუსულ რელსებზე. მაშ, ჩვენ რომ გვეგონა, ისაო და ესაო, ამ დროს ვლადიმერ პუტინი მიგვათრევდა თავისკენ!**

ჩვენს წინაპრებს უთქვამთ, ზოგი ჭირი მარგებელიაო — კი „ვიჭორავეთ“ მე და ბიძინა ივანიშვილმა რესპუბლიკური მასშტაბით, მაგრამ, სამაგიეროდ, კოალიციაში შემავალი ძალები მიხვდნენ, რომ შარში ვიყავით. ამის თაობაზე იცოდნენ მხოლოდ **უსუფაშვილმა, ალასანიამ, პეტრიაშვილმა** და თვითონ **გოგუაძემ.** ისე, თუ ეგეთ მაგარ შარში 2013 წლის თებერვლიდან ვართ, რა გამოდის, დანაშაულს მალავდნენ? ხუმრობა იქით იყოს... **იმ თვითნებობისა და თავხედობის შემდეგ ამ უნიჭოებს უკულმა წაუვიდათ თავიანთი პოლიტიკური წყობილება, ცოტა ხანს იშავდლევეს და საერთოდ გაქრნენ რეალობიდან...** ეს ერთიღა დარჩა (თუ ამას დარჩენა ჰქვია!), **„ჰუტლექსვიზიაში“ რომ დაუძახებენ ხოლმე და ტატყანებს.**

**ცნობისათვის:** ამ თემაზე არ ვაპირებდი ყურადღების გამახვილებას, მაგრამ, რაკი **ნინო გოგუაძემ** წამოწია, ბევრი ისეთი რამ გამახსენდა, რამაც ჩემ თვალწინ გაირბინა და რაც საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი. მადლობა მას მსუყე თემების შეხსენებისთვის.

*გელა ზედელაშვილი*

## 2 ვადაგასული

***ჩავიდა, ხალხო, ჩავიდა, უკვე ვადაგასულია, მაგრამ მაინც ჩავიდა ვაშინგტონში კუდის მოსაქნევად!***

იცით, რას ნიშნავს **კუდის მოქნევა?** ახლავე მოგახსენებთ: **6 წელიწადი იყო სახალხო დამცველი... უბრალოდ, ასე ეძახდნენ, საბუთი ჰქონდა ეგეთი, თორემ ერთი ეგ იყო სახალხო დამცველი და მეორე მე ვიყავ ინდიელთა ბელადის ვინიტუ ინჩუჩუნას ვაჟი.** დიახ, სწორად მიხვდით, **ნინო ლომჯარიაზე** გელაპარაკებით, ყოველწლიურად **8 მილიონ ლარს** რომ ხარჯავდა და აქედან თვეში **30 ათას დოლარს** ქირაში იხდიდა. ამის შემდეგ ვინც „გახალხოსნდება“, იმანაც უნდა გადაიხადოს, ოფისი არა აქვთ, იშენებენ, 2 მილიონს კიდევ ამაში ხარჯავენ.

**ძალიანაც კი არ უნდოდა ვადის ამოწურვა, მეორედაც არ იტყოდა უარს, მაგრამ, კანონმდებლობის თანახმად, ერთი და იგივე პირის ორჯერ არჩევა დაუშვებელია. დაშვებულიც რომ იყოს, ამან ისე გაიხადა საქმე, ველარც აირჩევენ და ველარც დანიშნავენ — ხომ გინახავთ თანამდებობის პირი ან სახელმწიფო მოხელე, ვადა ვადაზე ადრე რომ ამოეწურება ხოლმე?** აი, თავისივე უხეირო საქციელით თვითონვე რომ **ამოწურავს** ხოლმე? გინახავთ, როგორ არა, აგერ, ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში სწორედ ეს არსება გახლავთ. დღე-დღეზე აღარ დაუძახებენ **სახალხო დამცველს,** წესით, საკუთარ ნივთებსა და ჩარჩოში ჩასმულ მიშას სურათს უნდა ალაგებდეს ჩემოდანში, მაგრამ არა, ვაშინგტონს გავარდა ფულების დასახარჯად, დროის სატარებლად და, რაც მთავარია, **კუდის მოსაქნევად,** ანუ ქვეყნისა და ხელისუფლების სალანძღავად. **ამას კახეთში სხვა რაღაცას ეძახიან, არ დავაკონკრეტებ, ისედაც მიხვდებით.**

**ლომჯარიამ** ჩიქორთული ქართულით გვამცნო, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს პარტნიორობა დაფუძნებულია **ხალხთაშორის ურთიერთობაზე,** მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლებებს შორის თანამშრომლობასო. კარგად დაიმახსოვრეთ, ჩვენი სახელმწიფოების პარტნიორობა დაფუძნებულია **ხალხთაშორის ურთიერთობაზეო.** ნაცნობი ლექსიკაა, ხომ? სიტყვათა ასეთ წყობას საბჭოთა საქართველოში იყენებდნენ. შეიძლება გარეგნულად პროდასავლურობას „აწვებოდე“, მაგრამ შინაგანად პროსაბჭოურად აზროვნებდე




**ეგეც ენჯეოდან მოვიდა და ენჯეოში წავა, ახლა დაფინანსება სჭირდება, ხელისუფლებას და ქვეყანას კი უფუჭებს საქმეს, მაგრამ, სამაგიეროდ, თავისი უნდა გაიკეთოს, სადმე უნდა მოეწყოს!**

# ღია წერილივით ნინო ნადირაძე-კუზანოვას

## გეთანხმებით, დიაგნოზი მართლაც დასმულია... მეტიც, არამხოლოდ დიაგნოზი, წერტილიც და ძახილის ნიშანიც!

### *გამარჯობა, ქალბატონო ნინო!*

*ამასწინებზე* ***მეძავებმა*** *თავიანთი სახელი თქვენი მისამართით გამოიყენეს და დაგპირდნენ, რომ დარჩენილ სიცოცხლეს მოგიძღვნიან, რათა თქვენი „ბინძური“ სახე და ცხოვრება ანახონ საზოგადოებას.* ***ცნობილი მეძავები მას შემდეგ აგიმხედრდნენ, რაც თქვენს სამედიცინო კლინიკას, „ვივამედს“ აშშ-დან ჩამოსული თვითმარქვია ნობელიანტი, ვინმე ჯეიმს კობი მოადგა და მიხეილ სააკაშვილთან შესვლა ითხოვა.*** *არადა, ორთოპედს სააკაშვილის ნერვული სისტემის მდგომარეობაზე და კიდევ 27 დაავადების შესახებ დასკვნა რანაირად უნდა დაეწერა? ან არსებობს კი ასეთი პრეცედენტი მსოფლიოში?*



სხვათაშორის, ძალიან მოგვეწონა თქვენი პასუხი, **ცნობილ მეძავებს** რომ მიუძღვენით:

**„მე თმენის ვალდებულება ადამიანებთან მაქვს, უნიტაზებთან კი არა, ამიტომ ჩაურეცხავი სამოქალაქო ტუალეტის უნიტაზი დაბლოკილ იქნა“!**

ამას მოაყოლეთ განმარტება იმაზე, რომ სათანადო ლიცენზიის გაცემისთანავე ნობელის ქურქში გახვეულ ექსპერტ ჯეიმს კუბს დაუბრკოლებლად შეუშვებდით „სნეულ ტუსაღთან“, რაც მოხდა კიდეც ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

წესით და რიგით თქვენი განმარტებისა და ქმედების შემდეგ ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმი არ უნდა გაღიზიანებულიყო, მაგრამ მათ გადაწყვიტეს, მთელი სიცოცხლე მოგიძღვნან, რათა თქვენი სახე საზოგადოებას აჩვენონ. **სხვისი არ ვიცით და... ჩვენ თქვენს სახეს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ყოველი კვირის ბოლოს ვხედავთ და ძალიანაც გვესიმპათიურება.** რაც შეეხება მუქარას, მაგაზე არ იდარდოთ: ყაჩაღი **ყაჩაღს** დაგიძახებთ, ნაძირალა — **ნაძირალას,** მეძავი — **მეძავს,** კორუმპირებული — **კორუმპირებულს...** სამწუხაროდ, ეს ცხოვრებისეულ კანონზომიერებად ჩამოყალიბდა და ბოლოს „ბულინგი“ უწოდეს. იშრომეთ, რამდენიც გინდათ, იღვაწეთ, რამდენიც გინდათ, ღვარეთ ოფლი, რამდენიც გინდათ, **უცებ გამოგიხტებათ არარაობა, საპნის ბუშტი, ვინმე ცარიელი ადგილი და ისეთებს გეტყვით, პირს დაგაღებინებთ.** თუმცა, არსებობს წამალი, რომელიც ასეთებს ანადგურებს, სიმშვიდე, ანუ ირონიით ნასროლი ისეთი ფრაზა, იმ დღეს რომ სტყორცნეთ არამკითხეს — თმენის ვალდებულება ადამიანებთან მაქვს და არა უნიტაზებთანო.

**სამწუხაროდ, ჩვენ გარშემო მართლაც მომრავლდნენ მოლაპარაკე უნიტაზები, თანაც ჩაურეცხავები, რომლებიც დაბაჯბაჯებენ, ჭამენ, სახლებს იშენებენ, მანქანებს ყიდულობენ, მაღაზიებში შედიან და რესტორნებშიც ქეიფობენ... მათ ტელესტუდიებშიც იწვევენ, ალაპარაკებენ, ავტორიტეტულ პიროვნებებს ალანძღვინებენ...**

პრინციპში, ასეთების არსებობა უკვე სუნითაც იგრძნობა, რომელსაც თვითონ ვერ გრძნობენ. არადა, ისე ყარან, **მამუკა ხაზარაძის პრემია „საბა“** უკონკურსოდ შეიძლება მიიღონ.

ქალბატონო ნინო, ჩვენ ვნახეთ თქვენი გამოსვლა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში და მეტად კმაყოფილნიც დავრჩით.




სიმართლეს ამბობთ — **მიხეილ სააკაშვილს აქვს სრული მიუღებლობა იმ მდგომარეობისა, სადაც იმყოფება.** ვფიქრობთ, ასეთი ზუსტი დიაგნოზი არავის დაუსვამს, მითუმეტეს, იმას... ნობელის პრემიის ლაურეატს რომ ეძახიან და, ფაქტობრივად, ამ ტიტულით არსად იძებნება... შევიდა სააკაშვილთან, ჩახედა თვალებში, **ეს ეგრე არ უნდა იყოს, სამაგისო არაფერი სჭირსო,** ჩაილაპარაკა და წავიდა. მოკლედ, ვინც ამ მაოხრებელ პაციენტთან შევიდა, ყველა ხელჩაქნეული გამოვიდა, **დასკვნა და ცნობა ვერავინ დადო, რომლის ძალითაც საქართველოდან სადმე წაათრევდნენ.**

**ასე რომ, ადვოკატები შალვა ხაჭაპურიძე და ვალერი გელბახიანიც უიმედოდ დადიან თქვენს კლინიკაში, პალატიდან ყროლის მეტი ვერაფერი გამოაქვთ.**

თქვენ ამბობთ, **პაციენტს აქვს სრული მიუღებლობა იმ მდგომარეობისა, სადაც იმყოფება და ეს კატეგორიულად ამძიმებს დინამიკასო.** დიახ, **თავის დროზე ლენინსაც ასე დაემართა, როდესაც ავადმყოფობის გამო სახლში გამოკეტეს, იმასაც რეალური მდგომარეობის მიუღებლობა დაეწყო და იცით, სტალინმა რა გააკეთა?** ერთ ცალ „პრავდას“ უბეჭდავდა, სადაც სულ კარგი ამბები და მისი ქება ეწერა. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთხანს ასეთმა მიდგომამ ლენინს ხასიათი გამოუკეთა. მოდით, ვცადოთ, იქნებ მსგავსი რამ მაგასაც მოუხდეს?

დაბოლოს... ისევ თქვენი ნათქვამი უნდა მოვიხმოთ მიხეილ სააკაშვილზე — დიაგნოზებიც დასმულია, მკურნალობაც მიმდინარეობდა და, ფაქტობრივად, მისულები ვართ რეაბილიტაციის ფაზასთანო. არადა, **სააკაშვილის ადვოკატი გამოდის და გაურკვეველ რაღაცებს ლაპარაკობს, მათ აქვთ სრული ინფორმაცია დიაგნოზზე, გამოაქვეყნონ და საზოგადოებამ იმსჯელოს, რამდენადაა შესაძლებელი ამ დაავადებების საქართველოში მკურნალობაო...**

გეთანხმებით, **დიაგნოზი მართლაც დასმულია...** მეტიც, ვფიქრობთ, არამხოლოდ დიაგნოზი, წერტილიც და ძახილის ნიშანიც!

რაც შეეხება **ბებერ მეძავთა წამოძახილებს,** გიმეორებთ — ყურადღებას ნუ მიაქცევთ... თქვენ (და ჩვენც) თმენის ვალდებულება ხომ ადამიანებთან გაქვთ და არა ჩაურეცხავ უნიტაზებთან!

*პატივისცემით,*

***გელა ზედელაშვილი***




სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია და სააკაშვილის „ძიძა“ ელისტრაკო კილაძე

# არსება



და კაგებეშნიკურად მოქმედებდე.

**ჩვენ აქ მივიღეთ ინფორმაცია, ნამდვილად იგრძნობა, აქ გრძნობენ, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არის ნაკლები თანამშრომლობის სურვილიო,** — განაგრძობს ნაცდამცველარი. მისი დავთრების თანახმად, ვაშინგტონის ქუჩებშიც კი იგრძნობა, რომ „ქართული ოცნების“ მხრიდან ნაკლები სურვილია თანამშრომლობისა და ამიტომაც დადიან ამერიკელები შეწუხებული გამომეტყველებით. **რა, არ უნდა ინერვიულონ? მით უფრო, როცა დღე არ გავა, თავზე არ დაესხან აშშ-ის ელჩს დიღომში — ხან რას აბრალებენ, ხან კიდევ რას. აი, ასეთი პროპაგანდა აღვივებს რწმენებს საქართველოში, თითქოს ამერიკას სურს ომი საქართველოში.** დიახაც, „რწმენები“ ღვივდება ჩვენს მოსახლეობაში და ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა ორი სახელმწიფოს პარტნიორობაზე, **ხალხთაშორის ურთიერთობაზე,** თუ ასე გაგრძელდა, ამას ექნება ძალიან სერიოზული გავლენა გარკვეული მიმართულებებით.

მეგობრებო, გთხოვთ, ნერვული სისტემები დაიმორჩილოთ, ახლა უნდა მივადგეთ მთავარ სათქმელს, ანუ **ლომჯარიას კუდის მოქნევას.** ეს გახლავთ მთავარი მიზეზი იმისა, რისთვისაც ჩავიდა ვაშინგტონში (სტილი დაცულია):

> ***„დახმარებები შეიძლება მომავალში არა საქართველოზე წარიმართოს, არამედ წარიმართოს სხვა ქვეყნებზე, რომელთა ხელისუფლებების მხრიდან უფრო დიდ სურვილს და მოტივაციას ხედავენ, რომ მიიღონ ეს დახმარება ამერიკის შეერთებული შტატებისგან. მათ შორის, ჩვენს რეგიონშიც კი, როგორც გვეუბნებიან, არის ასევე სხვა ქვეყნები, სადაც უფრო შეიძლება მეტად იყოს ჩართული საბოლოოდ ამერიკის შეერთებული შტატები მაშინ, როცა საქართველო იყო ყოველთვის ამ მხარდაჭერის ერთ-ერთი მთავარი მიმღები და პრიორიტეტი“.***

**დღე-დღეზე აღარ დაუძახებენ სახალხო დამცველს, წესით, საკუთარ ნივთებსა და ჩარჩოში ჩასმულ მიშას სურათს უნდა ალაგებდეს ჩემოდანში!**

ხვდებით, რისთვის ჩავიდა აშშ-ში ეს **(როგორ გითხრათ, ქალს ვერ ვუწოდებ და სახელის ხსენებაც არ მინდა)** ვადაგასული არსება? როგორც შეუძლია, ორი ქვეყნის ურთიერთობას აფუჭებს, **შეიძლება ამერიკამ „საბოლოოდ“ სხვა ქვეყნებს უფრო გაუწიოს დახმარება, ვიდრე საქართველოსო... შეიძლება ეს თანხები ჩვენს რეგიონშიც კი გადანაწილდეს, ოღონდ სხვებზეო.** ჩვენს რეგიონშიო, ანუ სომხეთზე, აზერბაიჯანსა და სხვებზეო, თურქეთს ფეხებზე ჰკიდია, მაგათი დახმარებები არ აინტერესებს.

ნაცდამცველარი თითქოს წუხს — **ეს არის ძალიან სამწუხარო, მაგრამ ფაქტია და თუ ასე გაგრძელდა, უფრო შეუქცევად სახეს მიიღებსო.** სხვათაშორის, ამ არსებას შეიძლება მართლაც ჰქონდეს საწუხარ-სადარდებელი, რაც კი ოდითგან დღემდე საქართველოში აშშ-ელთა დახმარებები შემოდის, ნახევარზე მეტი ენჯეოებს მიაქვთ. **ეგეც ენჯეოდან მოვიდა და ენჯეოში წავა, ახლა დაფინანსება სჭირდება, ხელისუფლებას და ქვეყანას კი უფუჭებს საქმეს, მაგრამ, სამაგიეროდ, თავისი უნდა გაიკეთოს, სადმე უნდა მოყუჩდეს. ეს „სადმე“** იქნება ისეთი კანტორა, საიდანაც ხშირად მიიწვევენ ტელესტუდიებში და ჭკუას ჰკითხავენ. ესეც შეჭყრის წარბებს კავკასიონის ქედებივით, შუბლზე გაიჩენს ორიოდ ნაოჭს, მიიღებს საქმიან გამომეტყველებას და დაიწყებს, **თუ როგორ არ უნდა „ქართულ ოცნებას“ ევროკავშირში ინტეგრაცია...** რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს პარტნიორობა დაფუძნებულია **ხალხთაშორის ურთიერთობაზე... რომ საჭიროა, შეერთდნენ პროლეტარები ყველა ქვეყნისანი და, რაც მთავარია, აუცილებლად უნდა გაკულაკდეს ბიძინა ივანიშვილი.**

ა, მეგობრებო, ამ საქმეების მოსაკვარახჭინებლად ჩავიდა ვაშინგტონს ეს ვადაგასული არსება... ჩემი აზრით, იგი არ გახლავთ ისეთი ავტორიტეტული და გავლენიანი პიროვნება, ჩვენს ქვეყანას რამე ავნოს, მაგრამ ხომ **კრიახებს და აქანავებს?**

***გელა ზედელაშვილი***

# როგორ უნდა მოვსპოთ ბინაში კიბოს გამომწვევი შხამიანი ობის სოკო?



## „ოთახის მცენარეები და ყვავილები სახლს მოაშორეთ!“



## კახა საბახტარიშვილი:

# შპალერზე უარი თქვით და კედლები ეკოლოგიურად სუფთა საღებავით შეღებეთ!

***ოთახის მიკროსკოპული ტკიპები, რომლებიც ადამიანის კანის მკვდარი უჯრედებით იკვებებიან, საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად, საერთო ჯამში, ქმნიან მტვერს, რომელიც ჩვენს ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის! ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი საშიში და შხამიანი სოკო ასპერგილუსის შესახებ გვაფრთხილებს და აცხადებს, რომ გუანინი, რომელსაც ოთახის ტკიპა ცხოველქმედების დროს გამოყოფს, ალცჰაიმერის დაავადებას იწვევს:***

— არაერთგზის გვითქვამს, რომ მსოფლიოში გავრცელების მხრივ პირველ ადგილს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები იკავებს! თუმცა, მეცნიერთა ვარაუდით, 15-20 წელიწადში სურათი შესაძლოა, კარდინალურად შეიცვალოს და ყოველი ასი ადამიანიდან ორმოცი სხვადასხვა ალერგიით დაიტანჯოს. სწავლულთა პროგნოზით, მკვეთრად მოიმატებს **ალერგიული ასთმის, რინიტის, კანის დერმატიტისა და კონიუნქტივიტის** შემთხვევები. თანაც მათი მკურნალობა უფრო გართულდება და ბევრი თანამედროვე პრეპარატი, რომელიც ალერგიებს ასე თუ ისე უმკლავდება, უძლური აღმოჩნდება!

**— ბატონო კახა, რა შეიძლება გახდეს ამის მიზეზი?**

— ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ადამიანი ბუნებას მოწყვიტა და ოთახში გამოკეტა. ადამიანს ოთახში დაგროვილ მტვერთან კონტაქტი წარმოუდგენლად დიდხანს უწევს. სწორედ ოთახის მტვერია ზემოხსენებული ალერგიების წარმოშობისა და განვითარების მიზეზი...

**— მაინც რას წარმოადგენს ოთახის მტვერი და რას სუნთქავენ დღის განმავლობაში ოთახში გამოკეტილი ადამიანები?**

— ცნობილია, რომ ადამიანის კანი ყოველ სამ დღეში ერთხელ განახლებას განიცდის, რაც იმას ნიშნავს, რომ, **თუ ადამიანი საცხოვრებელ ბინაში ან სამუშაო ოფისშია გამოკეტილი, მისი კანის მკვდარი უჯრედები სწორედ ოთახსა და ოფისში რჩება.** ოთახის მტვრის 70 პროცენტი ჩვენი კანის მკვდარი უჯრედებისაგან შედგება, რასაც ემატება ადამიანებისა და იმ ცხოველების თმები და ბეწვები, რომლებიც ჩვენი განუყრელი მეგობრები არიან.

## „არ დაუშვათ კედელზე სუფთა ქაღალდის გაკვრაც კი!“

ოთახის მტვერი საშიში ხდება მაშინ, როცა მასში ჩნდება მიკროსკოპული ცოცხალი არსებები — **ოთახის ტკიპები,** რომლებიც ყველგან გვხვდება, სადაც კი ადამიანი ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, **იქ, სადაც ადამიანი ბინადრობს, ოთახის მტვერი ყველგან ტკიპებით არის გაჯერებული.**

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ადამიანის კანის მკვდარი უჯრედები, რომლითაც სავსეა ნებისმიერი ოთახი, მიკროსკოპული ტკიპების გასამრავლებლად იდეალურ გარემოს ქმნის. **მტვერში ჩაბუდებული ტკიპები სწორედ ადამიანის მკვდარი კანის უჯრედებით იკვებებიან. ოთახის მიკროსკოპული ტკიპები მინდვრის ტკიპებისგან განსხვავებით, რომლებსაც ძალიან საშიში დაავადებები გადააქვთ, უსაფრთხო არიან, არ იკბინებიან და არც სახიფათო ვირუსი გადააქვთ, მაგრამ ძალზე დამაზიანებელია მათი ცხოველქმედების პროდუქტი, ანუ კანის მკვდარი ეპიდერმისის გადამუშავების შედეგად გამოყოფილი ექსკრემენტები.** ეს ექსკრემენტები დიდი რაოდენობით **გლიკოგენს,** კერძოდ, **გუანინს** შეიცავს, რომელიც ძლიერი ალერგენია და ზოგიერთ ადამიანში შესაძლოა, მწვავე ალერგიული რეაქციაც გამოიწვიოს!



ტკიპების მიერ გამომუშავებული **გუანინი** მტვერთან ერთად ბრონქებში მოხვედრისას ლორწოვანას შეშუპებას იწვევს, ბრონქებს ავიწროებს და სუნთქვას აძნელებს. ასეთ დროს შესაძლოა, უძლიერესი ასთმური შეტევაც კი განვითარდეს. ეს ყველაფერი ძირითადად სწორედ მტვრიან ოთახში ხდება, რადგან **ოთახის ტკიპა, როგორც წესი, ქუჩაში არ ცხოვრობს!** ტკიპების მიერ გამოყოფილი გუანინის გავლენით ხშირია ალერგიული დერმატიტის შემთხვევებიც, რაც კანის სიმშრალით ან გამონაყარით, ე.წ. ურტიკარიით გამოიხატება.

**არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ადამიანი ქრონიკულ სურდოს უჩივის და ამას იმუნიტეტის დაქვეითებას მიაწერს. შესაბამისად, ასეთი პაციენტი იღებს იმუნიტეტის ამწევ უამრავ მედიკამენტს, მაგრამ უშედეგოდ.** ასეთ დროს პაციენტის ავადმყოფობის მიზეზი არა იმუნიტეტის დაქვეითება, არამედ **ოთახის ტკიპაა.** ბევრისთვის შესაძლოა, სენსაციური იყოს ის ფაქ-

## „არსებობს სერიოზული ეჭვი იმის შესახებ, რომ წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებული იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტე სწორედ იმ დარიშხანის მსხვერპლი გახდა, რომელსაც მის ოთახში გაკრული შპალერის საღებავი შეიცავდა!“



## „ოთახის ტკიპას მიერ გამოყოფილი გუანინი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია მოხუცებულობითი ჭკუასუსტობის, ანუ ალცჰაიმერის დაავადების წარმოშობის საქმეში. ამის ნათელი დასტურია დიდი პრეზიდენტის რონალდ რეიგანის ცხოვრება!“




რონალდ რეიგანი

# „სამოთახიან ბინაში ერთი წლის განმავლობაში დაახლოებით 40 კილოგრამი მტვერი გროვდება, ხოლო ოთახში 1 კვადრატულ მეტრზე დაახლოებით 150 მილიონი მიკროსკოპული ტკიპა ცხოვრობს!“

ტი, რომ ადამიანი, რომელიც სიბინძურეში ცხოვრობს და სახლს არ ალაგებს, წონაში იმატებს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ოთახის ტკიპების მიერ გამოყოფილი გუანინი ააქტიურებს ადამიანის ცხიმოვან უჯრედებს, რომლებიც მრავლდება, ცხიმებს აგროვებს და ადამიანის გასუქებას იწვევს. მოკლედ, **ვინც სახლს არ ალაგებს და მოუწესრიგებელ გარემოში ცხოვრობს, ჭარბი წონა გარანტირებული აქვს.**

**— მაინც რა რაოდენობის ტკიპა ბინადრობს მტვრიან და საშუალო სიდიდის ბინაში?**

— სამოთახიან ბინაში ერთი წლის განმავლობაში დაახლოებით **40 კილოგრამი მტვერი** გროვდება, ხოლო ოთახში 1 კვადრატულ მეტრზე დაახლოებით **150 მილიონი მიკროსკოპული ტკიპა** ცხოვრობს. საშუალო ზომის ბინაში ასეთი ტკიპების ოდენობა დაახლოებით **10 მილიარდ ერთეულს** აღწევს. ეს ტკიპები განსაკუთრებით ბევრია საძინებლებში, რადგან საწოლის მატრასებზე დიდი რაოდენობით კანის მკვდარი უჯრედები ილექება, რაც ტკიპებისთვის იდეალური საკვებია. **ტკიპები განსაკუთრებით ეტანებიან შალის ხალიჩებსა და გადასაფარებლებს, რადგან შალისა და მატყლის ქსოვილებში, როგორც წესი, დიდი ოდენობის მტვერი გროვდება.** ამიტომ ჩემი რჩევაა, ოთახს აუცილებლად მოვაშოროთ შალისა და მატყლისგან დამზადებული ხალიჩები და უფრო სინთეტიკური ქსოვილები და გადასაფარებლები შევიძინოთ, რომელსაც ოთახის ტკიპები ნაკლებად ელტვიან. ეს არ ეხება ტანსაცმელს, რომელიც აუცილებლად ნატურალური ქსოვილისა და ტყავისგან უნდა იყოს დამზადებული.

**ოთახის ტკიპების საყვარელი თავშესაფარია ძველი წიგნები და ფოლიანტები...** წიგნის მტვერი ტკიპების ბუდეა. ძველი წიგნები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში ნესტიან გარემოშია მოთავსებული, იდეალურ გარემოს ქმნის **ობის სოკოს** ერთ-ერთი სახეობის, **სოკო ასპერგილუსის** გასამრავლებლად. მის მიერ გამოყოფილი შხამიანი ნივთიერება **აფლოტოქსინი** კიბოს მაპროვოცირებელია. **ამიტომაცაა, რომ ძველ არქივებსა და სამკითხველოებში მომუშავე პერსონალი არცთუ იშვიათად სწორედ სიმსივნით ავადდება და ათასგვარი ალერგიით იტანჯება.** სხვათაშორის, ცნობილი არქეოლოგის **ჰოვარდ კარტერის** ექსპედიციის მრავალი წევრის სიცოცხლე სწორედ სოკო ასპერგილუსის სპორებმა შეიწირა, რომელიც ასე უხვად იყო ფარაონ ტუტანხამონის აკლდამაში. მრავალი საუკუნის განმავლობაში საგულდაგულოდ ჩაბნელებულ და ნესტიან ტუტანხამონის აკლდამაში სოკო ასპერგილუსის სპორების გასამრავლებლად იდეალური გარემო იყო შექმნილი. სხვათაშორის, **შხამიანი ობის სოკო ასპერგილუსისთვის იდეალურ გარემოს ქმნის კომუნისტების დროინდელი ქაღალდის შპალერი, რომელიც ძველ ბინებში ახლაც არის შემორჩენილი.**

**მოვუწოდებ ყველას: სახლში, სადაც ძველი, კომუნისტური შპალერია გაკრული, სასწრაფოდ გააკეთეთ რემონტი და შპალერი ჩამოხიეთ ანდა არასოდეს იცხოვროთ!**



„ადამიანი, რომელიც სიბინძურეში ცხოვრობს და სახლს არ ალაგებს, წონაში იმატებს!“

„ოთახის მტვრის 70 პროცენტი ჩვენი კანის მკვდარი უჯრედებისაგან შედგება, რასაც ემატება ადამიანებისა და იმ ცხოველების თმები და ბეწვები, რომლებიც ჩვენი განუყრელი მეგობრები არიან!“

**— რატომ?**

— საქმე ის გახლავთ, რომ ძველი და, მათ შორის, საბჭოთა კავშირის დროს დამზადებული ქაღალდის შპალერი და მასზე ტიპოგრაფიულად დატანილი ნახატები უმეტეს შემთხვევაში ტყვიასა და დარიშხანს შეიცავს, რომელიც უმცირესი რაოდენობითაც კი სასიკვდილოდ სახიფათოა! მეორე მხრივ, **ასეთ შპალერს კედელზე პურის სახამებლის საშუალებით აკრავდნენ. სახამებელი, ანუ მოდუღებული პურის ფქვილი, ე.წ. „კრახმალი“ შხამიანი ობის სოკოს გასამრავლებლად საუკეთესო გარემოა.** ამას ისიც ემატება, რომ ქაღალდის შპალერს გააჩნია უწვრილესი ფორები, რომელშიც ნესტი და მაღალი ტემპერატურა კარგად აღწევს; ეს კი სოკოების გამრავლებას უწყობს ხელს. **საკმარისია ძველი, კომუნისტური შპალერი სადმე, რომელიმე ბინაში ჩამოვხიოთ, რომ მის უკან დავინახავთ გაშავებულ კედელს. სწორედ ეს არის კიბოს გამომწვევი სოკო ასპერგილუსი.** სხვათაშორის, არსებობს სერიოზული ეჭვი იმის შესახებ, რომ წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებული იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტე სწორედ იმ დარიშხანის მსხვერპლი გახდა, რომელსაც მის ოთახში გაკრული შპალერის საღებავი შეიცავდა!

**— თანამედროვე შპალერები ამ მხრივ უსაფრთხოა?**

— უსაფრთხო არც თანამედროვე და მოდური ე.წ. ვინილის შპალერებია. მართალია, ასეთი შპალერი ნესტსა და ჰაერს არ ატარებს, მტკიცეა და ადვილად ირეცხება, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მძიმე მეტალებს შეიცავს. **მაღალ ტემპერატურაზე, მაგალითად, ზაფხულში, თანამედროვე შპალერების უმრავლესობა გამოყოფს ფორმალდეჰიდს, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე უფრო საშიშ კანცეროგენად არის მიჩნეული.** აქედან გამომდინარე, ჩემი რჩევაა: ბინაში შპალერზე სასწრაფოდ უარი თქვით და კედლები ეკოლოგიურად სუფთა საღებავით შეღებეთ! რაც მთავარია, არ დაუშვათ კედელზე სუფთა ქაღალდის გაკვრაც კი, ე.წ. ნაპრალებისაგან თავის დასაზღვევად.

ასევე ბინაში უარი უნდა ვთქვათ ყოველგვარ მცენარეზე, რადგან მათ უჩნდებათ ობის სოკოს მეორე სახეობა — **კლოდისპორიუმი,** რომელიც ყვავილებში ბუდობს. **ამიტომაც ოთახის მცენარეები და განსაკუთრებით ყვავილები სახლს მოვაშოროთ!** პენიცილიუმი ობის ჯგუფის სოკოების ერთადერთი სახეობაა, რომელიც ჩვენთვის სასარგებლოა... ამ სოკოსგან მე-20 საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა მეცნიერმა **ალექსანდრე ფლემინგმა** პენიცილინი გამოყო და ასეულობით მილიონ ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნა. ისიც კი ფაქტია, რომ სპეციალური ტექნოლოგიით დაობებული ყველი, ხაჭო და სხვა პროდუქტები მთელ მსოფლიოში ჯანმრთელობისთვის სასარგებლო დელიკატესებად არის მიჩნეული.



„ოთახის ტკიპების საყვარელი თავშესაფარია ძველი წიგნები და ფოლიანტები...“

**— როგორ ვებრძოლოთ ოთახის მტვერს და მავნე, შხამიან ობის სოკოებს?**

— თუ ოთახს ყოველდღიურად სველი წესით დავალაგებთ და ოთახიდან გავიტანთ მტვრის შემკრებ ბუნებრივი ნედლეულისგან დამზადებულ შალის ან მატყლის ხალიჩას, მაშინ ალერგიებისგან დაცული ვიქნებით! რაც შეეხება **შხამიან ობის სოკო ასპერგილუსს,** რომელიც აბაზანაში ყველაზე უფრო გალაღებული და გამრავლებულია, მის მოსასპობად აბაზანა განსაკუთრებული სითხით უნდა გავწმინდოთ! მისი მოსამზადებელი რეცეპტურა ძალიან მარტივია: **50 გრამ ვაშლის ან ღვინის ძმარს დავუმატოთ 25 გრამი ბორის მჟავა, 50 გრამი წყალბადის ზეჟანგი, ანუ ე.წ. „პერეკისი“ და 100 გრამი წყალი.** ეს სითხე 50-70 გრადუსამდე უნდა შევათბოთ და გულდასმით დავამუშავოთ ის ადგილები, სადაც კიბოს გამომწვევი ობის სოკოებია ჩაბუდებული!

ყოველთვის ვფიქრობდი, დიდი მეცნიერები, რომლებიც გამუდმებით ძველ ფოლიანტებს ჩაჰკირკიტებდნენ და ოთახის მტვერი არად მიაჩნდათ, როგორ ცოცხლობდნენ დიდხანს, მაგრამ თითქმის ყველას რატომ ემართებოდა **ალცჰაიმერის დაავადება,** რომელიც სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გავლენას არ ახდენს, მაგრამ გონების სრულ დეგრადაციას იწვევს? ამ საკითხზე ახლახან გამოქვეყნდა დანიელი მეცნიერების დასკვნები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ **ოთახის ტკიპას მიერ გამოყოფილი გუანინი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია მოხუცებულობითი ჭკუასუსტობის, ანუ ალცჰაიმერის დაავადების წარმოშობის საქმეში.** ამის ნათელი დასტურია დიდი პრეზიდენტის **რონალდ რეიგანის** ცხოვრება, რომელიც ძალიან ბევრს კითხულობდა, მაგრამ, როცა ალცჰაიმერის დაავადება შეეყარა, საკუთარ ცოლსაც ვეღარ ცნობდა და სიცილს გვრიდა იმაზე საუბარი, რომ ის ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული პრეზიდენტი იყო!

„ცნობილი არქეოლოგის ჰოვარდ კარტერის ექსპედიციის მრავალი წევრის სიცოცხლე სწორედ სოკო ასპერგილუსის სპორებმა შეიწირა, რომელიც ასე უხვად იყო ფარაონ ტუტანხამონის აკლდამაში!“



ჰოვარდ კარტერი



*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




პატიმარ სააკაშვილის ციხის საკითხავი

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

## მიხეილ სააკაშვილი: პუტინი ძალიან ენადაშაქრული იყო, მაგრამ, იმავდროულად, დროდადრო მემუქრებოდა!

34

**მიხეილ სააკაშვილი** დეტალურად აღწერს 2004 წლის ადრეულ გაზაფხულზე მოსკოვში მისი პირველი ვიზიტისას როგორ წაიყვანა **ვლადიმერ პუტინმა** ერთი-ერთზე მოსალაპარაკებლად კრემლში, მის კაბინეტად გადაკეთებულ სტალინის კაბინეტში:

***„პუტინის წინადადებით, ჩვენ პიჯაკები გავიხადეთ, მოვიხსენით ჰალსტუხები და პუტინმა მითხრა: „ახლა კი დავილაპარაკოთ“.*** *საუბარი მან ლიტვის ლიდერის* ***ადამკუსის*** *მაგალითით დაიწყო. ადამკუსმა პუტინს ინგალინის აეს-ის თემაზე დახმარება სთხოვა.* ***„მე არ დავეხმარები, ვინაიდან მას ბევრი ანტირუსული მოსაზრება აქვს საჯაროდ გამოთქმული და ჩემ ზურგს უკან ამერიკელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა — არა, ჩვენ არ დავეხმარებით“. ეს პირველი იგავი იყო. დასკვნა მე უნდა გამეკეთებინა“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 202).*

ეს 2004 წლის დასაწყისში ხდებოდა და მაშინ ლიტვა (ლატვიასთან და ესტონეთთან ერთად) ჯერ კიდევ არ იყო ნატო-ს წევრი — სამი ბალტიისპირეთის სახელმწიფო ამ ამბიდან რამდენიმე თვეში მიიღეს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში...

შემდეგ მემუარისტი კიდევ ერთ, მისი შეფასებით, „იგავს“ იხსენებს, რომელიც მას **პუტინმა** მოუყვა:

***„შემდეგ პუტინმა მოლდოვის მაგალითი მომიყვანა: თითქმის მოვაწერე ხელი ხელშეკრულებას მოლდოვის პრეზიდენტ ვორონინთან დნესტრისპირეთში ვითარების დარეგულირების თაობაზე და უკვე კიშინიოვში გავფრინდი. უცებ ვორონინს ამერიკის საელჩოდან ვიღაც მეორე მდივანმა დაურეკა და მან შეთანხმება დაარღვია. პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის დამამცირებელია, რომ ვიღაც მეორე მდივანი მის საქმეებში ერევა. ეს აბსოლუტურად დაუშვებელია — თქვა პუტინმა. მას ამ ისტორიების საფუძველზე სურდა, ეჩვენებინა, რისი გაკეთება არ შეიძლება საერთოდ არცერთ ვითარებაში“*** *(იქვე, გვ. 202).*

და სააკაშვილმა ამ საუბრისას აღმოაჩინა, რომ **პუტინი** მის ერთ ნაცნობ კაგებეშნიკს აგონებდა:

***„ორ საათზე მეტი ვისაუბრეთ, მე კი სულ ვფიქრობდი, ვის მაგონებს პუტინი. ის ძირითადად ძალიან ენადაშაქრული იყო, მაგრამ, იმავდროულად, დროდადრო მემუქრებოდა, ცდილობდა, შევესწავლე, მისახვედრ კითხვებს მისვამდა. და უკვე ბოლოს მაიორი პეტროვი გამახსენდა — კგბ-ს განსაკუთრებული განყოფილების უფროსი ჩემს სასაზღვრო ნაწილში, რომელიც ზუსტად ასე მესაუბრებოდა, როდესაც მე სასაზღვრო ჯარებში ვმსახურობდი.*** *ვფიქრობდი, რომ ჩვენ პოლიტიკური მოლაპარაკებები გვქონდა, პუტინი კი იმ სქემით მესაუბრებოდა,* ***სუკ****-ში რომ ასწავლეს.* ***ეს გადაბირების სეანსი იყო. ერთადერთი განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ მაიორი პეტროვი საუბრის ბოლოს ყოველთვის რაღაც ქაღალდებზე ხელის მოწერას მაძალებდა, რაზეც მე ყოველთვის უარს ვეუბნებოდი. პუტინს კი პირველ შეხვედრაზე რაიმეზე ხელის მოწერა არ უთხოვია“*** *(იქვე, გვ. 203).*

სააკაშვილი ამეტებს, რადგან ის ჯერ კიდევ მაიორ პეტროვამდე კარგა ხნით იყო „კაგებეში“ გადაბირებული და ეს მისმა კაგებეშნიკმა ბიძამ **თემურ ალასანიამ** გააკეთა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე! **აბა, „კაგებეს“ ვიზის გარეშე ვინ დასვამდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებში ჩაფლავებულ სააკაშვილს რამდენიმე კვირაში კიევის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის სტუდენტად — უმაღლეს დიპლომატიურ სასწავლებელში, რომელსაც სწორედ „კაგებე“ კურირებდა და რომელიც საბჭოთა დიპლომატიისათვის სანდო კადრებს ამზადებდა!**

სააკაშვილი იმასაც იხსენებს, რა შთაბეჭდილება დატოვა მასზე ეგრეთ წოდებულმა მოსკოვურმა ლიბერალურმა ბომონდმა, რომელიც პუტინის რეჟიმს ებრძოდა და მაშინ ჯერ კიდევ ანგარიშგასაწევი ძალა იყო:

***„ოფიციალური სადილის შემდეგ მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში მეტად ცნობისმოყვარე აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოვედი. რადიოსადგურ „მოსკოვის ექოს“ მთავარი რედაქტორის ალექსეი ვენედიქტოვის თხოვნით, ცენტრში, ტვერის ქუჩაზე, რომელიღაც ბინაში ოპოზიციურ ჟურნალისტებს შევხვდი. რამდენიმე საათი ვისაუბრეთ. ისინი ცოტა ეჭვის თვალით მიყურებდნენ და მე მათ მზერაში სნობიზმი დავიჭირე. ნებისმიერ შემთხვევაში ძალიან დადებითი მგზავრობა იყო“*** *(იქვე, გვ. 203).*

ამის შემდეგ სააკაშვილი უკვე ვაშინგტონს ესტუმრა! ძალიან საინტერესოა, როგორ აფასებს ის **პრეზიდენტ ბუშის** მაშინდელი საგარეო პოლიტიკის ერთ უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს:

***„შემდეგი გაჩერება ვაშინგტონი იყო. ცოტა ხნით ადრე ბუშმა ნათან შჩარანსკის წიგნი წაიკითხა დემოკრატიაზე და შეპყრობილი იყო დემოკრატიის მთელ მსოფლიოში ექსპორტირების იდეით. მან გადაწყვიტა, რომ ეს მისი განსაკუთრებული მისიაა. ჩვენ კი საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოვჩნდით“*** *(იქვე, გვ. 203).*

ებრაელი **ნათან შჩარანსკი** ცნობილი საბჭოთა დისიდენტი იყო, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირისას ქვეყნიდან გააგდეს ისტორიულ სამშობლოში — ისრაელში! ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ **შჩარანსკის, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირისა და მისი მემკვიდრის — პუტინის რუსეთის ატანა არ ჰქონდა და მისი ნაშრომიც დემოკრატიის გავრცელებაზე სწორედ ამ პრიზმაში უნდა აღვიქვათ! თუმცა, როდესაც სააკაშვილი აბრეხვებს, ბუშმა შჩარანსკის წიგნი წაიკითხა და ამის შემდეგ გახდა დემოკრატიის მთელ მსოფლიოში გავრცელების იდეით შეპყრობილიო, ეს, რბილად რომ ითქვას, სასაცილოა და ძალიან გულუბრყვილოც** — ყველასთვის ცნობილია, რომ **ბუში** ამერიკის ყველა პრეზიდენტს შორის ყველაზე უინტელექტო გახლდათ და ის **შჩარანსკის** წიგნს არათუ სახელმძღვანელოდ ვერ გაიხდიდა, უბრალოდ, არც წაუკითხავს!

თუმცა, ის, რომ ამერიკის მმართველმა ელიტამ ამერიკის მსოფლიო ჰეგემონიისათვის მართლაც განიზრახა „დემოკრატიის ექსპორტი“, ეს სრული სიმართლეა, რადგან დღემდე ასე ხდება, მაგრამ აქ ყველაზე საგულისხმო ის ფრაზაა, სააკაშვილი ასე დაუფარავად რომ ამბობს — აღიარებითი ჩვენებასავით — ჩვენ საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოვჩნდით, ანუ ბუშის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ იარაღად ვიქეცითო!

მემუარისტი აშკარად უმწიფარი ყმაწვილივით ვერც კი მალავს თავის აღტაცებას, როგორ მოხვდა მსოფლიოს ახალი დიდი გადანაწილების ეპიცენტრში:

***„სახელმწიფო მდივანთან კოლინ პაუელთან ერთად ვაშინგტონის ქუჩებში გავისეირნეთ. ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის წინ, სადაც მე რამდენიმე წლის წინათ ვსწავლობდი, პაუელს ჰოთ-დოგის ყიდვა შევთავაზე, მან კი არ მაცალა და ფული თვითონ გადაიხადა. სულ რაღაც 8 წლის წინათ, როგორც სტუდენტი, იქ ყოველდღე ვყიდულობდი ჰოთ-დოგს, დავაგელვებდი ველოსიპედს და რას წარმოვიდგენდი, რომ სახელმწიფო მდივანთან ერთად დავბრუნდებოდი. ამ ყველაფერს ვიდეოკამერაზე იღებდნენ და ძალიან საინტერესოდ გამოიყურებოდა“*** *(იქვე, გვ. 203).*

მიხეილ სააკაშვილი, რომელიც მოსკოვში **ვლადიმერ პუტინთან** შეხვედრაზე თხრობისას ხაზგასმულად ცდილობდა კაგებეშნიკური განსწავლულობის დემონსტრირებას, ცერეუშნიკულ ამბებს ერთობ ზერელედ და აგდებულად აღგვიწერს:

***„სამაგიეროდ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორთან შეხვედრაზე, რომელიც მეორე დღეს გვიან საღამოს გაიმართა, პრაქტიკულად, მეძინა. ისიც ძალიან გადაღლილი იყო. კონგრესში გრძელი მოსმენებიდან იყო ახალი დაბრუნებული. მოგვიანებით მეუბნებოდნენ, რომ ეს ორი რობოტის შეხვედრა იყო: ერთმანეთს „ავტომატურად“, ყოველგვარი ინტერესის გარეშე ვესაუბრებოდით“*** *(იქვე, გვ. 204).*

ცეერუს დირექტორი მუზეუმის დირექტორი არ არის, რომ ის ტურისტული მარშრუტის აუცილებელ გაჩერებად ყოფილიყო შეტანილი ნუსხაში! თუ ასეთი უინტერესო იყო ცეერუს დირექტორთან შეხვედრა და არც ცეერუს აინტერესებდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კავკასიის რეგიონის მთავარი სახელმწიფო — საქართველო, ეს შეხვედრა საერთოდ არ შედგებოდა! ასე რომ, სააკაშვილი სულ ტყუილად ვირეშმაკობს...

სააკაშვილი **ჯორჯ ბუშთან** პირველ შეხვედრასაც განსაკუთრებული თრთოლვითა და სენტიმენტებით ჰყვება:

***„ბუშთან შეხვედრის წინ ინსტრუქტაჟი ჩამიტარეს, მითხრეს, რომ აუცილებლად ნავთობსა და ნავთობსადენზე უნდა მელაპარაკა, რადგან ბუში ჰიუსტონიდან იყო და ნავთობის ბიზნესში მუშაობდა. როგორც დამარიგეს, ისე მოვიქეცი, მაგრამ, ვხედავ, ბუშმა მოიწყინა. ხუთიოდე წუთის შემდეგ კი საკმარისი იყო ჩვენს საერთო ფასეულობებსა და თავისუფლების პრობლემაზე გადამეტანა საუბარი, რომ წამოენთო, თვალები გაუბრწყინდა. ამ მომენტიდან აქტიურად ჩაერთო საუბარში. აღმოჩნდა, რომ ნავთობი და ნავთობსადენი ბაქო-ჯეიჰანი ნაკლებად აინტერესებდა. ეს მერე გავიგე, რომ ამ პრობლემით ინტენსიურად ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი იყო დაკავებული“*** *(იქვე, გვ. 204).*

ანუ სააკაშვილმა პირდაპირ „ჩაუშვა“ ამერიკის მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტი **დიკ ჩეინი** — სწორედ ეგ იყო ნავთობპოლიტიკის მთავარი კურატორიო! აბა, სად ამერიკა და მისი ვიცე-პრეზიდენტი და სად — აზერბაიჯანიდან ნავთობის გადაქაჩვა თურქეთიდან ევროპაში?!

მემუარისტი კი კვლავ ურცხვად და მოურიდებლად აგრძელებს **ბუშის** ფეხების ლოკვას:

***„ბუშს სულ სხვა რამ აინტერესებდა, რისი წყალობითაც ჩვენ შორის სწრაფად ურთიერთსიმპათია გაჩნდა. ამის შემდეგ დღე არ გავიდოდა, საქართველო სწორი განვითარების მაგალითად არ მოეყვანა. თუ ჩვენ ერთმანეთს საერთაშორისო შეხვედრებზე ვხვდებოდით, პროტოკოლის ამერიკული სამსახური ყოველთვის დაჟინებით მოითხოვდა, რომ ბუშის მაგიდის გვერდით დავმჯდარიყავი. ბუში ყოველთვის ძმაკაცურად მომიკითხავდა, გამესაუბრებოდა. ასე რომ, პირველ პოზიტიურ რეაქციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“*** *(იქვე, გვ. 204).*



ჰოდა, **ბუში** ადამიანების ქუჩებში მჟლეტი და პატიმრების ცოცხებით გამაუპატიურებელი სააკაშვილის რეჟიმს „დემოკრატიის შუქურად“ რომ მოიხსენიებდა, იმიტომაც არის დღემდე საქართველოში საგინებელი სიტყვები **„ამერიკაც“** და **„დემოკრატიაც“!**



*გიორგი გიგაური*

*გაგრძელება იქნება*

# ფრთხილად, ქართველებო!

# წაიკითხეთ, რა უწერია ჟირინოვსკის!



***„ასავალ-დასავალი“ ადრეც წერდა ამ საოცარი პროგნოზის შესახებ: „ომი იქნება უკრაინის ტერიტორიაზე, ყირიმისთვის. ამიერკავკასიაში დასავლეთი მხარს დაუჭერს სომხებს ბაქოს წინააღმდეგ და პირიქით, თბილისს აფხაზების წინააღმდეგ დაეხმარება“.***

წინასწარმეტყველების ტოლფასი პოლიტიკური ანონსი **რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის აწ განსვენებულმა ლიდერმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ** ორ ათეულ წელზე მეტი ხნის წინ, ჯერ კიდევ 1999 წელს, ევროპის საბჭოში გამოსვლისას გააჟღერა. დარბაზში მსხდომთ მაშინ ღიმილი დასთამაშებდათ სახეზე და რას წარმოიდგენდნენ, რომ კომიკურ პერსონაჟად შერაცხილი პოლიტიკოსი ზედმიწევნით შიფრავდა რუსეთის წინააღმდეგ ნატოს ფარულ გეგმებს.

*ვლადიმერ ჟირინოვსკი: — **„მე ვამბობ: ამის შემდეგ თქვენ კიევს დაბომბავთ! დაბომბავთ — დაგეგმილია! ნატოს გეგმაში უკვე შედის კიევის დაბომბვა!** თარიღიც კი ცნობილია, ეს როდის მოხდება! თქვენ კი, ვითომც არ იცით, მიამიტი ბავშვებივით იღიმებით, თითქოს ეს შეუძლებელია... **არადა, ეს მოხდება! ბალტიისპირეთშიც მოხდება — ვერ გაექცევიან! ომი იქნება უკრაინის ტერიტორიაზე, ყირიმისთვის!** ამიერკავკასიაში დასავლეთი მხარს დაუჭერს **სომხებს ბაქოს წინააღმდეგ და პირიქით,** თბილისს კი, პირიქით — **აფხაზების წინააღმდეგ** დაეხმარება. მაგრამ ნატო ამას აქ, ევროპის ცენტრში, ჩაიდენს, რადგან ომის გარდა ნატოს სხვა გეგმა არ გააჩნია, ხოლო მისი მთავარი მიზანი — რუსეთთან ომია! **ოღონდ პირდაპირ ომისა მათ ეშინიათ, ამიტომ დაბომბავენ პერიფერიებს: კავკასიას, ბალკანეთს, ახლო აღმოსავლეთს, შორეულ აღმოსავლეთს...** რუსეთთან პირდაპირ ომზე არ წავლენ, მაგრამ მიაწვებიან **უკრაინის, ბელარუსის, ბალტიისპირეთის** და **კავკასიის** მეშვეობით — ეს საერთო ტენდენციაა! **ასე იქცეოდა ნაპოლეონი, მაგრამ ის პატიოსნად მოქმედებდა და რუსეთის წინააღმდეგ პირდაპირ მოიწევდა.** მოვიდა, დაწვა მოსკოვი და უკან გაბრუნდა. **ჰიტლერიც ამგვარად, პატიოსნად მოიქცა: მოსკოვამდე პირდაპირ, ჯიქურ მოვიდა, მაგრამ დედაქალაქის აღება ვერ შეძლო. ნატო კი თაღლითობს. მას მიზანი იგივე აქვს, რომ დაიპყროს, გაანადგუროს რუსეთი...** ნატომ უკვე 70 პროცენტით შეძლო, რისი ჩადენაც ჰიტლერმა ვერ მოახერხა: საბჭოთა კავშირი დაშალა, ეკონომიკა დაწნეხა, არმია გაანადგურა... დასავლეთი სხვისი თანხით ცხოვრობს. **მე ლენინს პატივს არ ვცემ და ერთი სული მაქვს, წითელი მოედნიდან როდის მოაშორებენ, მაგრამ ის მართალი იყო — დასავლეთი ლპობადი, მომაკვდავი კონტინენტია, რომელიც მსოფლიოს აწამებს! ის კარგად ცხოვრობს მთელი პლანეტის ტანჯვის ხარჯზე. 6 მილიარდი ადამიანი იტანჯება, რათა ნახევარმა მილიარდმა — ინებივროს, მიირთვან შამპანური, ისხდნენ ლამაზ დარბაზებში, განსაჯონ დანარჩენი მსოფლიო და თავიანთი ჯარები აღმოსავლეთში გზავნონ...** ბოლო პერიოდში მსოფლიოს არცერთი ქვეყანა სხვას თავს არ დასხმია, არამედ ყველა ომი დასავლეთის პროვოცირებით მოხდა! დასავლეთი თან ბომბავს და იმავდროულად დემოკრატიაზე ლაყბობს!“*

ფაქტია — **ჟირინოვსკის წინასწარმეტყველების პირველი ნაწილი დიდი სიზუსტით ახდა — უკრაინაში დასავლეთის მიერ პროვოცირებული ომი მძვინვარებს!** ამჯერად რიგში დგას მეორე წინასწარმეტყველება, **კავკასიაში ომის გაჩაღებასთან დაკავშირებით...** აკი, სექტემბრის შუა რიცხვებში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობითი პალატის სპიკერი **ნენსი პელოსი** ერევანს „მხარდაჭერის მიზნით“ ეწვია, რის შემდეგაც „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციიდან“ **(ОДКБ)** სომხეთის გასვლის მოთხოვნით ერევანში აქციები გაიმართა. **აზერბაიჯანთან მოსალოდნელ მომავალ ომში სომხებს აშკარად დასავლეთის იმედი აქვთ, რაც კავკასიაში ხანგრძლივი ცხელი კერის წარმოქმნის წინაპირობად მიიჩნევა!**

რუსეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური და იმავდროულად ქარიზმატული პოლიტიკოსის **ვლადიმერ ჟირინოვსკის** განცხადებები დღეს ამ ქვეყნის ყოველ მეორე მოქალაქეს პირზე აკერია. ტეგები „ჟირინოვსკი, წინასწარმეტყველება, ომი...“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საძიებო სისტემაა.



ნენსი პელოსი ერევანში

**ვიღაც ჟირინოვსკის ადარებს ვანგას, სხვები — ნოსტრადამუსს, მაგრამ სინამდვილეში ზებუნებრივი არაფერი მომხდარა. უნდა ითქვას, რომ ვლადიმერ ვოლფოვიჩმა კარგად იცოდა ისტორია, იმავდროულად, ფლობდა მნიშვნელოვან ინფორმაციებს და შეეძლო მოვლენათა და მათი შედეგების სწორად გაანალიზება.** ამ შემთხვევაშიც ზუსტად ივარაუდა მომავლის მოვლენათა მსვლელობა.

**2006 წელს** მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ნატოს არა უკრაინა, არამედ **რუსული ყირიმი** სჭირდება.

**2008 წელს** ვლადიმერ ჟირინოვსკიმ გააფრთხილა უკრაინის მოსახლეობა, რომ მათ დიდ ნაწილს ქვეყნის დატოვება მოუწევდათ. **ერთ-ერთ თოქშოუში გამოსვლისას პოლიტიკოსმა განაცხადა, რომ რუსეთი არასოდეს გაგზავნის ჯარს უკრაინაში, „მაგრამ, თუ ვინმე შეეცდება უკრაინის ნატოში შეყვანას, ანდა თუ ვინმე დაბომბავს ლუგანსკს და დონეცკს, ჩვენ დავიცავთ ამ ქალაქებს“.** ამბობდა, რომ: **„რუსეთს აქვს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, სადაც წერია, რომ რუსეთისთვის საფრთხის შემთხვევაში, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ჩვენ გვაქვს სრული უფლება, პრევენციული დარტყმა განვახორციელოთ“.**

**2015 წელს** ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ვლადიმერ ჟირინოვსკიმ ისაუბრა მიზეზებზე, რის გამოც ომი დაიწყებოდა:

*„ომის მიზეზი იქნება ის, რომ უზარმაზარ კაპიტალს, ტრილიონ დოლარს არსად ექნება ინვესტირება. ერთადერთი გზა არის ომის დაწყება ევროპის რომელიმე ნაწილში და შემდეგ შევუდგებით მარშალის ახალი გეგმის აღდგენას.*

*იქ ჯერ იარაღს შეზიდავენ, მერე ჯარებიც შევლენ. მერე აღადგენენ დანგრეულ ევროპას... ამიტომ ყოველდღიურად იბომბება დონბასი, რომ განადგურდეს ყველაფერი, მთელი უკრაინა და მთელი სამხრეთ ევროპა. ყველაფერი განადგურდება და გერმანია აღადგენს მას!“*

ვლადიმერ ვოლფოვიჩმა იქვე დასძინა, რომ **აუცილებელია „მზადება ნაწილობრივი მობილიზაციისთვის!“** არადა, მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა ამას, მაგრამ ფაქტია — რუსეთში ნაწილობრივი მობილიზაცია მართლაც გამოცხადდა!

**ჟირინოვსკი** კიდევ უფრო შორს წავიდა, როცა 2021 წლის დეკემბრის ბოლოს სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან ე.წ. **დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებში** რუსული ჯარების შესვლის ზუსტი თარიღიც კი გამოაცხადა:

***— „ყველაფერს 22 თებერვალს დილის ოთხ საათზე იგრძნობთ. ვისურვებდი, რომ 2022 წელი იყოს მშვიდობიანი, მაგრამ მე მიყვარს სიმართლე, 75 წელია, სიმართლეს ვამბობ.** ეს წელი არ იქნება მშვიდობიანი და რუსეთი იძულებული გახდება, მხარი დაუჭიროს საკუთარ მოქალაქეებს, **ეს იქნება წელი, როცა რუსეთი დიდებულ ქვეყნად გადაიქცევა და ყველას მოუწევს, პატივი სცეს ჩვენს ქვეყანას. ამიტომ მხარი დავუჭიროთ რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ახალ მიმართულებას!“***



ჩვენთვის, ქართველებისთვის, ყველაზე საინტერესო მაინც **ვლადიმერ ჟირინოვსკის** პოლიტიკური წინასწარმეტყველების მესამე ნაწილია, რომლის თანახმად, **დასავლეთი მხარს დაუჭერს თბილისს აფხაზების წინააღმდეგ.** იმაზე დიდი ბედნიერება რაღა უნდა იყოს, თუ აფხაზეთის დაბრუნებაში ვინმე რეალურ დახმარებას აღმოგვიჩენს, მაგრამ დღეს უკვე ეჭვი აღარავის ეპარება, რომ დასავლეთი ამას გულწრფელი მიზნებით არასოდეს გააკეთებს და აფხაზეთში ომის გაჩაღების მოწოდება იქნება **საქართველოსთვის ულმობელი ხაფანგი,** რომელშიც ჩვენი სამშობლო თუ გაებმება, არამხოლოდ ფორმალურ დამოუკიდებლობას დაკარგავს, არამედ თავის სახელმწიფოებრიობასაც სამუდამოდ დაასრულებს. დიახ, **ეს იქნება არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად დაწყებული ომი, არამედ კოლექტიური დასავლეთის ომი რუსეთის წინააღმდეგ, რომელშიც დასავლეთი ქართველებს საზარბაზნე ხორცად გამოიყენებს ზუსტად იმგვარად, როგორც დღეს უკრაინელებს იყენებს!**

ასე რომ, ფრთხილად, ქართველებო! ჟირინოვსკის **წინასწარმეტყველების** პირველი და მეორე ნაწილი უკვე ახდენილია! არ დავუშვათ **წინასწარმეტყველების** მესამე ნაწილის განხორციელება!

*მოამზადა*

***ზაზა დავითაიამ***

**ჟირინოვსკის წინასწარმეტყველების პირველი და მეორე ნაწილი უკვე ახდენილია!**

# ანზორ თოთაძე: ამოწყვეტის პირას ვართ და სულძაღლ სააკაშვილზე ვგოდებთ?

*პროფესორ ანზორ თოთაძეს, რომელსაც საქართველოს დემოგრაფიულ მაჯისცემაზე აქვს ყური მიდებული, არაერთხელ დაურისხებია განგაშის ზარი, მაგრამ ამჯერად მისი გაფრთხილება კატეგორიულია:*





— თუ ასე გაგრძელდა, საბოლოოდ გავწყდებით. საქართველოს ტერიტორია თუნდაც ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გაიშალოს, დემოგრაფიის გარეშე ყველაფერს აზრი ეკარგება.

თუ 1989 წელს საქართველოში 5 მილიონი ქართველი ცხოვრობდა, ამჟამად ჩვენი რიცხოვნობა 3 მილიონ 690 ათასამდეა შემცირებული.

## ომები და სხვა კატაკლიზმები რომ არა, ახლა 7 მილიონი უნდა ვყოფილიყავით!

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში 454 000 გოგონა დაიბადა, 2003 წლის შემდეგ კი — 226 000. მაგალითად, 2020 წელს საქართველოში მხოლოდ 46 520 ახალშობილი გაჩნდა. გესმით, თქვენ, ეს რას ნიშნავს?

## ისე შეიცვალა ადამიანების დამოკიდებულება შთამომავლობისადმი, რომ ოჯახებში ძაღლებმა ჩაანაცვლეს ბავშვები. თითო ოჯახს ერთი ბავშვი ჰყავს და ორი ძაღლი.

თუ ასე გაგრძელდა, ფაქტობრივად, 4-5 ათეულ წელიწადში საქართველო გაუკაცრიელდება და წარმოიდგინეთ, რომ აქ არც კაცის ჭაჭანება იქნება და არც ძაღლის!

ასეთ ვითარებაში ვიღაც გაურკვეველი წარმოშობის პირები უკრაინიდან და საქართველოში მყოფი მოღალატეები გვიჩიჩინებენ, მეორე ფრონტი გახსენით და ამით ტერიტორიებს დაიბრუნებთო. **თქვე ოჯახქორებო, რად გინდათ ტერიტორია, თუ მასზე ადამიანები არ იცხოვრებენ? გავწყდებით, ხალხო, საერთოდ გავქრებით, რა დროს ომი და სისხლისღვრაა? ან იქნებ ცოტა სისხლი გვაქვს დაღვრილი ბოლო წლებში?!**

ნაციონალები არიან თუ ვიღაც ჯანდაბა, ამ ხალხს ფეხებზე ჰკიდიათ საქართველოც და ქართველი ხალხიც, ოღონდ თვითონ იყვნენ კარგად. ომისკენ მოგვიწოდებენ, მაგრამ რაიმე უბედურება რომ მოხდეს, იმწამსვე გაიქცევიან აქედან, ზოგი უკვე გაქცეულიც არის და ბუნაგებიც აქვთ მოწყობილი საზღვარგარეთ. ზუსტად ბუნაგები, რადგან ადამიანი, რომელსაც ქვეყანა ფეხებზე ჰკიდია, ცხოველია!

**— ოპოზიციონერები ცხოველები არიან და არა პოლიტიკოსები?**

— კარგით, რა, ჩემო ბატონო, ნაცმოძრაობის წევრები არიან პოლიტიკოსები? ძალიან გთხოვთ, არ გამოტოვოთ და დაწერეთ, რომ თქვენი **გაზეთი „ასავალ-დასავალი" ყოველთვის იდგა ეროვნული პრობლემების სადარაჯოზე და ნაცმოძრაობის დამარცხებაში ქართველ ხალხთან ერთად უდიდესი წვლილი გაქვთ შეტანილი.**

პოლიტიკოსებზე მკითხეთ და გიპასუხებთ: მაგალითად,

## სააკაშვილი თავს პოლიტიკოსს რომ უწოდებს და გაიძახის — უნამლოდ მკლავენო, წმინდა წყლის აფერისტია!

**— თქვენი აზრით, ავად არ არის და იტყუება?**

— ავად არის, ოღონდ ფსიქიკურად. თანაც, იმდენად გაბოროტებულია, რომ ქართველების სულიერად განადგურება აქვს განზრახული.

**ხოშტარიაც**, ხან **„ხოშტარიას"** რომ ეძახის ხალხი, გაურკვეველი გენდერული იდენტობის არსებაა და ამან რა გზაზე უნდა გაიყვანოს საქართველო? ან იქნებ ხაბეიშვილია ნორმალური?

დასავლეთის მავნებლურმა ძალებმა როგორც კი დაინახეს, რომ ეს უწიგნურები ოქრო-ვერცხლზე არიან დახარბებული, ყველანაირ სისაძაგლეს აკეთებინებენ.

**— გენდერული თანასწორობა ახსენეთ და ლგბტ თემის მომძლავრება ჩვენს პატარა ქვეყანაში დემოგრაფიულ ვითარებას უფრო არ გააუარესებს?**

— უკუღმართი ხალხის კვალდაკვალ მინდა, ფემინისტებზე გავამახვილო ყურადღება. ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ქალი იყო საქართველოს მეფე და ეს სულგაყიდულები გვასწავლიან ახლა თანასწორობას?

იტალიელმა მისიონერმა **ქრისტეფორო დე კასტელმა** 1627 წელს საქართველოში რომ იმოგზაურა, დაწერა: **ვუმზერ საქართველოს და გული ცრემლებით მევსება, უწინ დედამიწის სამოთხე რომ იყო, ახლა კვნესის ქაოსად გადაქცეულა. საქართველოს იმ მიწას ვტირი, რომლის მცხოვრებლებმა ქვეყნიერება განანათლეს და ანტიკური ბერძნული სიბრძნე წარმოშვესო.**

აი, ეს ქვეყანაა ახლა ტურების ხელში ჩავარდნილი, დამცირებული და განადგურებული. რომელ ომზეა ლაპარაკი. ორი კინკილა ქართველია დარჩენილი საქართველოში. ამოწყვეტის პირას ვართ და სულძაღლ სააკაშვილზე ვგოდებთ?

*ესაუბრა* ***ირანდა კალანდაძე***

ფენომენი

# დავით ქობალია: ახალი წელთაღრიცხვა შაბათით იწყება!

*გალიდან დევნილი დავით ქობალია, რომელიც დღეს ხაშურში ცხოვრობს, უნიკალური ფენომენია — ის 200 000 კალენდარული წლის მონაცემებს იტევს გონებაში — ძველი წელთაღრიცხვის 100 000 წლიდან ახალი წელთაღრიცხვის 100 000 წლამდე. ამბობს, რომ ათასწლეულების კოლოსალური ინფორმაცია უხილავმა ძალამ მიაწოდა ზეციდან:*



— 4 წლის ვიყავი, ეს ნიჭი რომ აღმომაჩნდა. იმხანად გალში ვცხოვრობდი და კალენდრები მეგრულ ენაზე შემოდიოდა, აქეთ რომ გადმოვედით, ქართულად დაიწყო ინფორმაციამ შემოდინება. 9 წლის ასაკში უხილავმა ძალამ მამცნო: გაიხსენე ის ინფორმაციები, 4 წლისას რომ მოგაწოდეო და ამრიგად, 1978-დან 1983 წლამდე ათი კალენდარი ჩაიწერა გონებაში, მათ შორის, მე-20 და 21-ე საუკუნეების. კოლოსალური ინფორმაციის შემოდინება დამთავრდა 1993 წელს, წლები, თვეები და დღეები გარკვეული კანონზომიერებით დალაგდა, რაც მთავარია, გონებრივი ხედვის არეალში მოხვდა ძველი და ახალი სტილის კალენდარული მონაცემები.

**— დავით, პირველი საუკუნის პირველი რიცხვი რა დღე იყო?**

— პირველი საუკუნის პირველი დღე შაბათი იყო!

**— ანუ ახალი წელთაღრიცხვა შაბათით იწყება?**

— დიახ!

**— ჩვენი წელთაღრიცხვის 100 000 წლის ბოლო დღე, ანუ რომელი დღე იქნება?**

— 100 000 წლის 31 დეკემბერი არის კვირა.

**— რომელ დღეს დაიბადა იესო ქრისტე?**

— 25 დეკემბერს, როცა ქრისტე ბეთლემს იშვა, იყო კვირა. იესო ქრისტეს წამება 33 წლის 3 აპრილს, პარასკევს, მოხდა.

**— დიდგორის ბრძოლის დღე — 1121 წლის 12 აგვისტო, საისტორიო წიგნების მიხედვით, ხუთშაბათი იყო...**

— სინამდვილეში, 12 აგვისტო პარასკევი გახლდათ!




**— მარტყოფის ბრძოლა რომელ დღეს მოხდა?**

— 1625 წლის 25 მარტი პარასკევი იყო.

**— 1625 წლის 1 ივლისი — მარაბდის ომი?**

— პარასკევი.

**— 1798 წლის 11 იანვარი — ერეკლე მეორის გარდაცვალების დღე?**

— ორშაბათი.

**— ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების დღე — 1907 წლის 30 აგვისტო?**

— ილია ჭავჭავაძე მოკლეს ზაფხულის ბოლოს წინა დღეს — 1907 წლის 30 აგვისტოს, ხუთშაბათს (ახალი სტილით ამავე წლის 12 სექტემბერს, რომელიც შემოდგომას მიეკუთვნება). არადა, კითხვაზე — ილია ზაფხულში მოკლეს თუ შემოდგომაზე? — ერთადერთი სწორი პასუხია — ზაფხულში!




**— სტალინი რომელ დღეს დაიბადა?**

— 1879 წლის 21 დეკემბერი პარასკევი იყო. 1953 წლის 5 მარტს, სტალინის გარდაცვალების დღეს, ხუთშაბათი იდგა.




**— სამამულო ომის დაწყებისა და გამარჯვების თარიღები თუ გახსოვთ ზეპირად?**

— კი არ მახსოვს, ახლავე ჩავიხედავ გონების დავთარში: 1941 წლის 22 ივნისი, დიდი სამამულო ომის დაწყების დღე, იყო **კვირა,** 1945 წლის 9 მაისი, ფაშიზმზე გამარჯვების დღე, გახლდათ **ოთხშაბათი.**

**— 1939 წლის 31 მარტი, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე, რა დღე იყო?**

— პარასკევი. სხვათაშორის, მერაბ კოსტავას დაბადების დღეც, 1939 წლის 26 მაისი, პარასკევი იყო.

**— კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე რომელ დღეს დაიბადა?**

— 1933 წლის 4 იანვარს, ოთხშაბათს...

**— და მაინც, როგორ ახსნით თქვენს ფენომენს?**

— ალბათ, ბევრი არ დაიჯერებს ჩემს მონაყოლს, მაგრამ უნდა ვაღიარო, მეც არ დავიჯერებდი, არადა, ხომ მხედავთ, თქვენნაირი ადამიანი ვარ და არ ვიცი, რა ხდება.

**— არ ჰკითხე იმ უხილავ ძალას, რაში უნდა გამოვიყენო ეს ინფორმაციები-თქო?**

— ვკითხე და მითხრეს: მაგის გამოყენების დროც დადგებაო და მეც ველოდები!

*ესაუბრა* ***ირანდა კალანდაძე***







წალენჯიხის მერის გია ხარჩილავას ცეცხლმოკიდებული ავტომობილი

*2022 წლის 12 ოქტომბერს, გამთენიისას, წალენჯიხის მერის გია ხარჩილავას „ჯიპ გრანდ ჩეროკს“, რომელიც მისი სახლის წინ იდგა, ცეცხლი გაუჩნდა და ისე დაიფუფქა, რომ გადასაგდებია... კინაღამ გადასაგდები გახდა ხარჩილავას სამსახურებრივი მანქანაც, რომელიც წალენჯიხის ოპოზიციონერი მერის მძღოლს დაახლოებით ერთი თვის წინათ თბილისში ჰყავდა წამოყვანილი და ავარიაში მოჰყვა.*

# ნაცხროვას, რომელმაც 2008 წელს ქვეყანა გადაბუგა, არც გია ხარჩილავას გადაწვა გაუჭირდება!

როგორც ხარჩილავა აცხადებს, მომხდარი მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდება. ამასვე იმეორებს მთელი ნაცსექტა და ის სამყაყეთი, რომელიც სააკაშვილს პოლიტიკურ სამარეში დიდი ხანია, ჩაჰყვა, მაგრამ ახლა სამარიდან ამოსაფორთხებლად თუ ამოსაფურთხებლად გზებს დაეძებს, რათა **ქეზერაშვილის ფულებს** სვავივით დააძღეს და მუცელი ამოიყოროს!

თავიდანვე გარკვევით უნდა ითქვას — **ვინც წალენჯიხის მერს მანქანა დაუწვა, სასწრაფოდ დასაჭერია ისევე, როგორც ვირის აბანოშია მისაბრძანებელი ყველა ის ნაძირალა, რომლებმაც თავის დროზე სააკაშვილის მიერ შერისხულ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებსა და, მათ შორის, ქიბარ ხალვაშს ბიზნესცენტრი გადაუწვეს, ანზორ ქოქოლაძეს „ელიტ ელეტრონიქსი“ წაართვეს და ხაზარაძე მიკირტუმას მისცეს, ხოლო ცხონებული ბიზნესმენი თემურ ყორშია აწამეს და ციხეში მოკლეს!**

ერთი სიტყვით, მერი იქნება თუ მაშო, არავის აქვს უფლება, ვინმეს მანქანა დაუწვას, ბიზნესი წაართვას და გასაუპატიურებლად **მამათმავალი კოხტა კოდუა ან თემურ უზირია** მიუქსიოს, რომელსაც **ვანო მერაბიშვილი** თითო კაცის გაბახებაში **35 ლარს** უხდიდა. მაგრამ წალენჯიხის ნაციონალი მერის მანქანის დაფუფქვის ფაქტი მრავლისმეტყველია, ბევრ კითხვას ბადებს და ბევრ ეჭვსაც აღძრავს.

დავიწყოთ იმით, რომ **ცოტა ძნელი წარმოსადგენია, როგორ გახდა კაცების გამაუპატიურებლების პარტიის რჩეული — ნაციონალი გია ხარჩილავა იმ წალენჯიხის მერი, რომელიც სამეგრელოში შევარდნაძის „ოპრიჩნიკების“ თარეშის დროს აუღებელი ციხე-სიმაგრე და ერთ-ერთი გამორჩეული წინააღმდეგობის ცენტრი იყო?** მეორე და ყველაზე მთავარი — **როგორ უნდა ვირწმუნოთ გია ხარჩილავას ვიშვიში და მწუხარება — „აი, სადამდე დავეშვითო?“ — მაშინ, როცა ახლაც ყურში მიწივის სააკაშვილის სატელეფონო საუბარი კონჩიტა ნიკა გვარამიასთან, გიორგი-ალმაშენებელ-ვაშაძესთან, დავით ბაქრაძესთან, გიგი წერეთელთან და სხვა ღორ-ძაღლებთან?**

გახსოვთ, ალბათ, რას ეუბნებოდა და როგორ აკვალიანებდა გარყვნილი და ზნედაცემული სააკაშვილი თავის ხელისბიჭებს — **იქნებ ისე მოაწყოთ, რომ „რუსთავი-2“-ის ეზოში ახალგაზრდა, ფეხმძიმე გოგონა დაილუპოს, რათა მერე ხალხი ავაბუნტოთ და პროტესტის ტალღის ასაგორებლად ქუჩაში გამოვიყვანოთო!**





გივი თარგამაძის ავტომობილი თბილისში, კოლმეურნეობის მოედანზე 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ააფეთქეს.

გავიხსენოთ 2016 წლის 8 ოქტომბერი, როცა **ტუჩებგადაბანტულ გივია თარგამაძეს** ვიღაცის უჩინარმა ხელმა მანქანაში ჰექსოგენი ჩაუმონტაჟა და, ფაქტობრივად, უკანალი აუფეთქა. მართალია, მაშინ თარგამაძე სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა, მაგრამ ისე შეშინდა, რომ ნაცსექტას თითქმის ჩამოშორდა. ვისაც ახსოვს, დამეთანხმება, რომ მაშინ თარგამაძე ყოველდღე ტელევიზორში იყო გამოდებული და იმ აფეთქებას **სოსო გოგაშვილს** აბრალებდა... **საინტერესოა, გივია თარგამაძე დღესაც ასე ფიქრობს?** თუ ასეა, მაშინ **ახლა მაინც უჩივლოს პატიმარ სოსო გოგაშვილს და გოგაშვილი, რომელიც ნაცებთან შეკრული ვირთხა აღმოჩნდა, ბოლოს და ბოლოს, იტყვის, ვინ დაავალა გივიას აფეთქება — სააკაშვილმა, თემურ ალასანიამ თუ ვანო მერაბიშვილმა?**

არადა, როგორც მაშინ ამბობდნენ, იმ აფეთქების უკან სწორედ სააკაშვილი იდგა, რომელსაც თარგამაძის გაზრდილი ამბიციები და „კანონიერ ქურდებთან“ კავშირი ფრიად სახიფათო მოვლენად მოეჩვენა და ბრძანა — **გივიას უკანალი აუწვითო!** ჰოდა, აუწვეს კიდეც, მაგრამ მეტი მოუვიდათ ისე, რომ თარგამაძე კინაღამ უკანალის გარეშე დატოვეს. **ცხადია, მომხდარში გასაკვირი არაფერი ყოფილა. რა, მსგავსი სიბინძურე ნაცსექტას არ დაუგეგმავს და არ შეუსრულებია, თუ რაშია საქმე?** ხურჩაში დადგმულ ე.წ. შტერაქტზე რომ აღარაფერი ვთქვათ, **ბინაში, რომელშიც გაზი გათიშული იყო, ზურაბ ჟვანია გაზმა როგორ გაგუდა?** მოკლედ, ასე იყო თუ ისე, სააკაშვილმა მაშინ თარგამაძის ამბიციებს აღვირი ამოსდო და ერთხელ და სამუდამოდ ჩააჩუმა.

მართალია, წალენჯიხის მერის მანქანის დაწვა ცოტა სხვა შემთხვევაა, მაგრამ ნაცსექტის ხელწერა მასაც ბეჭდად აზის.

## 1933 წლის 27 თებერვალს განა ადოლფ ჰიტლერმა არ გადააწვევინა ფაშისტ აქტივისტებს რაიხსტაგის ულამაზესი შენობა, რათა დანაშაული კომუნისტებისთვის დაებრალებინა და მერე მათი გასამართლება საჯაროდ მოეწყო? ვფიქრობთ, წალენჯიხის ინციდენტსაც სწორედ ამ კუთხით უნდა შევხედოთ...

რაც შეეხება წალენჯიხის მერ გია ხარჩილავას, რომელსაც **„ხანდაზმული თაღლითი“** და ცნობილი მიკირტუმა — **მამუკა ხაზარაძე** წალენჯიხის აყვავებასა და ახალ დუბაიდ გადაქცევას ჰპირდებოდა! მოგეხსენებათ, **ხაზარაძის ლაქლაქი და შოუ იმით დასრულდა, რომ წალენჯიხის ცენტრში ოდენ „საქართველოს ბანკის“ სწრაფი გადახდის აპარატი დაიდგა, თუმცა, მთავარი და ყურადსაღები ის ამბავია, რომ პატივცემული გია ხარჩილავა მემთვრალეობაშია ეჭვმიტანილი! მთვრალი კაცი კი, მოგეხსენებათ, ხან სად ჩათვლემს და ხან სად ჩაიძინებს.**

ჰოდა, ვურჩევთ ნაციონალ მერს, **იფხიზლოს და კარგად გამოიფხიკოს ყურები,** თორემ ნაცსექტას ახლა ისე უჭირს, სააკაშვილი და მისი მისტერ-„მასტერები“, ოღონდაც ქვეყანა არიონ და ხალხი მოაღორონ, **გია ხარჩილავას** მანქანას კი არა, თავად **გია ხარჩილავასაც** ნაცარტუტად აქცევენ!

არ არსებობს დანაშაული, ამ ველურ ხროვას არ ჩაედინოს! მაგალითად, ცხონებული **ევგენი აფრასიძე** სააკაშვილისა და ბარამიძის ბრძანებით სწორედ ცეცხლში ჩაიფერფლა...

**წალენჯიხის მერს მშვიდობას ვუსურვებთ, მაგრამ ფრთხილად იყოს, რადგან ნაცხროვას, რომელმაც 2008 წელს ქვეყანა გადაბუგა, არც გია ხარჩილავას გადაწვა გაუჭირდება!**

**ვურჩევთ ნაციონალ მერს, იფხიზლოს და კარგად გამოიფხიკოს ყურები, თორემ ნაცსექტას ახლა ისე უჭირს, სააკაშვილი და მისი მისტერ-„მასტერები“, ოღონდაც ქვეყანა არიონ და ხალხი მოაღორონ, გია ხარჩილავას მანქანას კი არა, თავად გია ხარჩილავასაც ნაცარტუტად აქცევენ!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**დიმიტრი ტატიშვილი**
*მსახიობი*

**ცინიკოსი გავხდი,** ეს, ალბათ, ადამიანის თავდაცვის მექანიზმია.

„თბილისელები“



**ნუცა შანშიაშვილი**
*მომღერალი*

**ღმერთს ვთხოვ,** არცერთმა ჩემმა დიდმა წარმატებამ **არ გამომაშტეროს.**

„თბილისელები“



**როლანდ შავაძე**
*წლის საუკეთესო მასწავლებელი*

**100 კილომეტრის გავლა მიწევს, რომ ჩემი სახლიდან სკოლაში მივიდე.**

„სარკე“



**ავთო აბესლამიძე**
*მომღერალი*

ყველაზე **უნიჭო** პირად ცხოვრებაში ვარ.

„სარკე“



**ილო ბეროშვილი**
*შოუმენი*

ჩემი ცხოვრებისეული გამარჯვებები **ჩემს ცოლს** უკავშირდება.

„სარკე“



**გიორგი კალანდია**
*ხელოვნების სასახლის დირექტორი*

ხშირად მესმის — **„მოიყვანე ცოლი“,** მაგრამ მთავარი მომენტი ის არის, რომ მე მივეჩვიე **დამოუკიდებელ ცხოვრებას,** რომელიც ახლა ჩემმა **მარტოცხოვრებამ** კიდევ უფრო განამტკიცა.

„თბილისელები“



# მიხეილ ცაგარელი: რეტროგრადული მარსის პერიოდის სირთულეები და რეკომენდაციები

***— რასთან გვაბრუნებენ და რისი მიზეზი შესაძლოა გახდნენ უკუმიმართულებით მოძრავი პლანეტები და ასტროლოგიაში რატომ ექცევა განსაკუთრებული ყურადღება მათ რეტროგრადულობას? რეტროგრადული მარსის დროს რისი მაღალი ალბათობაა და რა და რა მოვლენებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი? ამ დროს რატომ არ არის რეკომენდებული ახალი საქმის, პროექტის ან სასიყვარულო ურთიერთობის დაწყება? როგორ აისახება ეს პერიოდი ადამიანებზე, რატომ უნდა გავამახვილოთ ყურადღება პირად უსაფრთხოებაზე ანდა ეს დრო რისთვის იქნება მშვენიერი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— როგორც ჩვენთან წინა საუბრისას აღნიშნეთ, წლევანდელი წელი პლანეტა მარსთან დაკავშირებით გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან ტყუპის ზოდიაქოში 20 აგვისტოს გადანაცვლებული მარსი იქ ჩვეულებრივ ორი თვის ნაცვლად, 7 თვე დაჰყოფს (2023 წლის 26 მარტამდე), რაც განპირობებულია იმით, რომ ამ პერიოდში რამდენჯერმე გახდება რეტროგრადული, ანუ იმოძრავებს უკუმიმართულებით. შესაბამისად, მისი ზეგავლენა დედამიწელებზე და იქ მიმდინარე პროცესებზე განსაკუთრებული იქნება. ზოგადად, რეტროგრადულობის დროს პლანეტის ზეგავლენის თავისებურებანი რაზეა დამოკიდებული?**

— ნებისმიერი რეტროგრადული პლანეტის ზეგავლენა დამოკიდებულია მის თვისებებზე და ცხოვრების იმ სფეროებზე, რომელსაც განაგებს. საყურადღებოა ასევე ის ზოდიაქო, რომელშიც ამ მომენტში მოძრაობს. გარდა ამისა, მნიშვნელობა ენიჭება იმ ტრანზიტებს, რომლებსაც ქმნის სხვა პლანეტებთან. ნიშანდობლივია, რომ უკუმიმართულებით მოძრავი, ანუ **რეტროგრადული პლანეტა, შესაძლოა გახდეს, როგორც ამოუხსნელი და რთული სიტუაციების, ისე მნიშვნელოვანი მოვლენის, ცვლილების და გადაწყვეტილების მიღების მიზეზი. ასტროლოგიაში პლანეტების რეტროგრადული მოძრაობა წარმოადგენს ერთგვარ სიმბოლოს — ადრე განვლილი გზის, დაუმთავრებელი საქმის, გადაწყვეტილების გადახედვისა და შეცდომებზე დაფიქრების.** ამგვარად, უკან დაბრუნებით, პლანეტები გვაბრუნებენ იმ მოვლენებთან, რომელთა შესრულება და გავლა აუცილებელია ცხოვრების შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად და მანამ, სანამ ეს გზა არ იქნება გავლილი, ცხოვრება მუდამ დაგვაბრუნებს ამ ან ამგვარ მოვლენებთან და არ მოგვცემს წინსვლისა და წარმატების საშუალებას, ამიტომ მომავლის გასაუმჯობესებლად, აუცილებელია პლანეტების რეტროგრადული პერიოდების მშვიდად, მიზანმიმართულად გამოყენება. ამგვარი პერიოდების პოტენციალის შეფასებაში გვეხმარება თავად პლანეტის არსის სიღრმისეულად შესწავლა და გააზრება. **აგრესიულობა და ნაჩქარევად მოქმედება უარყოფითი შედეგის მიზეზი გახდება, ჩვენს გეგმებს ჩაშლის, დასახულ მიზნამდე ვერ მიგვიყვანს, იმედს არ გაგვიმართლებს, მდგომარეობას გაგვიუარესებს და მომავალ ცხოვრებას გაგვირთულებს, ამიტომაც ამ პერიოდებს ასტროლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.**

**— პლანეტა მარსთან მიმართებით, რა მოგვეთხოვება, რა უნდა გავითვალისწინოთ?**

— ჩვეულებრივ **პლანეტა მარსი** რეტროგრადული ხდება ორ წელიწადში ერთხელ. ეს რთული დროა, რადგან ადამიანებს სიტუაციაში ორიენტირება უჭირთ. ზუსტად ვერ საზღვრავენ მიზნებს, რომელიც აუცილებელია წინსვლისთვის და რასაც ძალა და ენერგია უნდა მოახმარონ. ამ დროს ხშირ შემთხვევაში ძველი კონფლიქტები მწვავდება, ადამიანები ერთმანეთს ძველ წყენას, შეცდომებს უხსენებენ. სხვადასხვა ქვეყნებს შორის ურთიერთობები იძაბება, მაღალია ომებისა და პოლიტიკური კონფლიქტების ალბათობა. **აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პერიოდში ომის დაწყების შემთხვევაში, ომის დამწყები ქვეყანა თითქმის არასოდეს იმარჯვებს.**

ნიშანდობლივია, რომ **რეტროგრადული მარსის** დროს ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის, რადგან ძნელდება იმის დანახვა და გარკვევა, თუ რა კონკრეტულ მიზანს ემსახურება ეს საქმე და რა არის საბოლოო მიზანი. საერთო ჯამში ამ დროს ძნელია სურვილების კონკრეტულად ჩამოყალიბება. სამაგიეროდ, **ეს პერიოდი მშვენიერია იმ საქმეთა შესრულებისთვის ანდა შეწყვეტისთვის, რომლებმაც თავიანთი ფუნქცია ამოწურეს, აღარ მოგწონთ, მოგბეზრდათ ან ხელს გიშლიან ახლის დაწყებასა და განვითარებაში.** ახლის დაწყებასა და რაიმე ჩანაფიქრის განხორციელებას რაც შეეხება, ჯობს, სხვა დროისათვის გადავდოთ, უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესობა პროექტებისა, რომლებიც **რეტროგრადული მარსის** დროს იწყება, დიდ რთულ წინააღმდეგობებს აწყდება მანამ, სანამ მთლიანად გაჩერდება. და შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზარალი მოგაყენოთ და შინაგანი დეპრესიაც გამოიწვიოს.

**— თავად ადამიანებზე, მათ საქციელზე, ქმედებებსა და ურთიერთობებზე ეს პერიოდი როგორ აისახება?**

— **რეტროგრადული მარსის** პერიოდში არ არის სასურველი არამარტო ახალი საქმის, არამედ ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დაწყებაც, რადგან იგი მალევე კონფლიქტით შეიძლება დასრულდეს. გარდა ამისა, ამ პერიოდში არსებობს ძველი სასიყვარულო პარტნიორის გამოჩენის ალბათობაც, მაგრამ ურთიერთობის განახლება არ არის რეკომენდებული, რათა ორჯერ ერთი და იგივე შეცდომა არ დაუშვათ. **ამ დროს ასევე, აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ პირად უსაფრთხოებაზე, რადგან ადამიანი ხდება განსაკუთრებით ფეთქებადი, იმპულსური, აგრესიული.** ყველა სახის ურთიერთობა იძაბება და, შესაძლოა, წვრილმანმაც ჩხუბი გამოიწვიოს. უკმაყოფილება და ბრაზი სრულიად უადგილოდ ჩნდება და დამატებით პრობლემებს ქმნის. გარდა ამისა, **ადამიანთა გარკვეული ნაწილი მძაფრად გრძნობს ენერგიისა და ძალების ნაკლებობას, ქრონიკულ დაღლას, უხასიათობას, აპათიას. ამავდროულად, ინიციატორი ამ პერიოდში უფრო მეტს კარგავს. იქნება ეს ერთობლივი საქმე, პირადი ბიზნესი, რაიმე კონფლიქტი თუ წვრილმანი პაექრობა.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 17-23 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
კარგი პერიოდია კონტრაქტის დასადებად, მათ შორის, საქორწინო გარისკვისკენ და ავანტიურისკენ ლტოლვა გაიზრდება. საბანკო საქმესა და კომერციაში ბედი გაგიღიმებთ. შემოქმედება წარმატებას მოიტანს. შემოსავალიც გაიზრდება, თუმცა, ამისათვის შესაძლოა, მივლინებაში ან უცხოეთში გამგზავრება მოგიწიოთ. სპონტანურ სასიყვარულო კავშირებს მოერიდეთ, ჯანმრთელობას რომ არ ავნოთ.

**კურო** (21.04-20.05)
ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებით თქვენი იღბლიანობა მოიმატებს. ახალი ნივთების შეძენაც სასიკეთო იქნება. შესაძლოა, მემკვიდრეობასთან ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საბუთების გაფორმება მოგიხდეთ. გადაადგილებების რიცხვი შეამცირეთ, რათა არ დაშავდეთ. ოჯახში მომთხოვნი ნუ იქნებით და სიმშვიდე შეინარჩუნეთ, რათა ჯანმრთელობას არ ავნოთ. შეყვარებული კი სულიერი წონასწორობის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
მოზღვავებული ენერგიის წყალობით, ოჯახში ლიდერის პოზიციას დაიკავებთ და ჩანაფიქრის რეალიზებას მოახერხებთ. კარგი პერიოდია ახალი საქმის დაწყებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის და იდეების განხორციელებისთვის, მომხიბვლელობით ნებისმიერ ადამიანს თავს ადვილად შეაყვარებთ. ჯანმრთელობას ყურადღება მიაქციეთ და ჩვეული ფორმის შესანარჩუნებლად პერიოდულად დაისვენეთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
თავს სტაბილურად იგრძნობთ. კარგი პერიოდია შემოქმედებითი და პედაგოგიური საქმიანობისთვის და ხელოვნების სფეროში ნიჭის დემონსტრირებისთვის. ყურადღებას ნუ მიაქცევთ უეცრად წარმოქმნილ წინააღმდეგობებს და გეგმის მიხედვით იმოქმედეთ. პირად საკითხში საყვარელი ადამიანის მოუცლელობის გამო შესაძლოა, სიხალისემ იკლოს. შორეული, მათ შორის, საქმიანი მოგზაურობა კი დადებითად ჩაივლის.

**ლომი** (23.07-23.08)
ახალი პერსპექტივების წარმოჩენისა და ოცნების ხორცშესხმისათვის აუცილებელია სწრაფად გადაწყვეტილების მიღება. შესაძლოა, ძველი ჩახლართული საქმეებიდან და არაერთგვაროვანი სიტუაციებიდან გამოსავალი მოიძიოთ. ოჯახში მატერიალური საკითხის მართვა ან დახმარების გაწევა მოგიწევთ. ოჯახის წევრებთან ერთად გატარებული საღამოები დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. ძალების აღდგენას კი ადვილად შეძლებთ ქალაქგარეთ გამგზავრებისას ბუნების წიაღში სეირნობით.

**ქალწული** (24.08-23.09)
აქტიური კვირაა. შესაძლოა სარფიანი შემოთავაზებანი მიიღოთ. ინტუიციას უსმინეთ და ფინანსურ თუ იურიდიულ საკითხებში სიფრთხილე გამოიჩინეთ. ახლობლების დახმარებით შესაძლებელი იქნება ძველი პრობლემების დაძლევა. პირად ურთიერთობაში თავდაჭერა გმართებთ, რათა ზედმეტმა მოთხოვნებმა განხეთქილება არ გამოიწვიოს. ქალაქგარეთ, ბუნების წიაღში გამგზავრებით კი ადვილად აღიდგენთ ენერგიას.

## 17-23 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
თქვენი ენერგობალანსი, შემოქმედებითობა და ინტუიცია იმატებს. არაერთ სფეროში წარმატება გელით. შემოსავლის მიღება დამოკიდებულია არამარტო იღბალზე, არამედ საქმიან აქტიურობაზეც. ეცადეთ, ფული ფუჭად არ ხარჯოთ. მოგზაურობისას, შესაძლოა, უჩვეულო სიტუაციაში აღმოჩნდეთ, რაც თქვენს მომავალ გეგმებსა და მიზნებზე აისახება.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ენერგიის სიმცირის მიუხედავად, ჯობს, დროის უმეტესი ნაწილი სამსახურსა და პროფესიულ საქმიანობას დაუთმოთ. ზედმეტად თავდაჯერებული ნუ იქნებით. რეპუტაციას გაუფრთხილდით და დამოუკიდებლად ნუ იმოქმედებთ. სხვისი აზრის პატივისცემა და საქმიანი თანამშრომლობა გასწავლით საჭიროებისას დათმობას. კარგი პერიოდია ხანმოკლე მოგზაურობებისა და დასვენებისთვისაც.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
მოზღვავებული ენერგია ხშირ გადაადგილებასა და ახალი კავშირების დამყარებაში დაგეხმარებათ. ხელი შეეწყობა ცოდნის გაღრმავებასაც. უცხოეთში გამგზავრების შემთხვევაში ბევრ დადებით შთაბეჭდილებას დააგროვებთ. ნათესავების მეშვეობით, შესაძლოა პროფესიულ სარბიელზე ახალი კავშირები დაამყაროთ, რაც დამატებით მოგებას მოგიტანთ. სახლშიც თავს საუკეთესოდ იგრძნობთ და სითბოთი აივსებით, ოღონდ შვილებს მეტი ყურადღება დაუთმეთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ბევრი საქმე გექნებათ, მაგრამ ემოციურობისა და რომანტიკულობის გამო გონებაგაფანტული იქნებით. მოსალოდნელია როგორც მოულოდნელი ხარჯი, ისე შემოსავალიც. ორიგინალური მეთოდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სამუშაო პროცესს გაახალისებს და სიამოვნებასაც მოგანიჭებთ. მოგზაურობა პოზიტიურად ჩაივლის, ოღონდ ალკოჰოლის მიღებას მოერიდეთ, რათა ორგანიზმს ზიანი არ მიაყენოთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
იდეების სიუხვე ახალი საქმის გააზრებაში და ცხოვრებისეული ცვლილებების განხორციელებაში დაგეხმარებათ. საქორწინო ან სასიყვარულო ურთიერთობაში შესაძლოა პრობლემები გაჩნდეს, რაც დაგანახვებთ, თუ რა გაკავშირებთ და რა გაშორებთ რჩეულთან. ახლო მანძილზე მოგზაურობისთვის სასიკეთო პერიოდია. თავისუფალი დრო კი საკუთარ გარეგნობასა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებას დაუთმეთ.

**თევზები** (19.02-20.03)
შემოქმედებითი საქმიანობა წარმატებას მოგიტანთ. კარგი დროა აღიარების მოსაპოვებლად და ავტორიტეტის ასამაღლებლად. თუმცა, ყურადღება გმართებთ, რადგან თქვენმა წინსვლამ შესაძლოა კონკურენტები და შურიანი ადამიანები გააატიუროს. ახალი შეყვარებული, სავარაუდოდ, კოლეგა ან თანამოაზრე იქნება. უცხოელებთან კონტაქტი სასურველ შედეგს არ მოიტანს. კარგი განწყობის მიუხედავად, ეცადეთ, ორგანიზმი არ გადატვირთოთ.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 17, 18,19 და 22 ოქტომბერი

10 ოქტომბერი – სავსემთვარეობა (00.55);
25 ოქტომბერი – ახალმთვარეობა, მზის დაბნელება (14.49).



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 17 ოქტომბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.15 საათზე, ჩადის 17.17 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 22.27 საათზე, ჩადის 18 ოქტომბერს 13.37 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 22.43 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 21.16 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.56 საათიდან 01.00 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მხოლოდ კარგად ნაფიქრ და გააზრებულ საქმეს მოჰკიდეთ ხელი. პარტნიორთა შორის პატიოსნება და გულწრფელობა მოიმატებს. შესაძლებელია მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ვაჭრობისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ანტიკვარიატის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ხალხური შემოქმედების ნიმუშების, ცხოველების შესაძენად, კბილების სამკურნალოდ. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. ხელმოწერამდე საბუთები კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ნაღვლის ბუშტი, ღვიძლი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, მარგალიტი, ოპალი, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 18 ოქტომბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.16 საათზე, ჩადის 17.16 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (08.46) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 23.29 საათზე, ჩადის 19 ოქტომბერს 14.16 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 23.57 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 08.46 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** პროვოკაციებს ნუ აჰყვებით. ხალხის მასაში ყოფნას მოერიდეთ, ხელი შეეწყობა ძველი საქმის დასრულებას, ვალის დაფარვას. ურთიერთობისას მოერიდეთ კამათს, საქმის გარჩევას, ეჭვიანობას. ეფექტური იქნება ნერვული სისტემის, მხედველობის მკურნალობა. კარგი დღეა მეგობრული კონტაქტებისთვის, ახალი სამსახურის დასაწყებად, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისთვის. არ არის სასურველი ფიზიკურ-ემოციური გადატვირთვა, სიმძიმეების აწევა, ნერვიულობა, ფინანსური გარიგება, ბინის შეცვლა, ქორწინება, ნიშნობა, მცენარეთა დარგვა-გადარგვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 19 ოქტომბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.17 საათზე, ჩადის 17.14 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 23.58 საათზე, ჩადის 20 ოქტომბერს 14.48 საათზე (მთვარის 24-ე დღე გრძელდება. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დაძაბული დღეა, ყურადღებით იყავით. ფინანსური და სასიყვარულო პრობლემების გადაწყვეტას ნუ გადადებთ სხვა დროისთვის, შინაგანი სიმშვიდე და ყურადღების კონცენტრაცია სწორი მიმართულების არჩევაში დაგეხმარებათ. ეფექტური იქნება თვალებისა და ნერვული სისტემის მკურნალობა. ფიზიკურ და ემოციურ გადაღლას მოერიდეთ. გულსა და ხერხემალს გაუფრთხილდით. კარგი დღეა იურიდიული საქმეებისთვის, ძვირფასი ნივთებისა და საჩუქრების შესაძენად, მეგობრული კონტაქტებისთვის, ახალი სამსახურის დასაწყებად, ხელმძღვანელთან ურთიერთობისთვის. არ არის სასურველი ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, ქორწინება, ბინის (ადგილსამყოფლის) შეცვლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

## 20 ოქტომბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.19 საათზე, ჩადის 17.12 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (20.27) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 00.33 საათზე, ჩადის 15.16 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 01.15 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.35 საათიდან 20.27 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს მაღალია ცდუნებებისა და ილუზიების ალბათობა. ძვირფასეულობას გაუფრთხილდით. ურთიერთობისას მეტი მოთმინება და თავშეკავება გამოიჩინეთ. ტრავმულ-ავარიული დღეა. მოერიდეთ ფიზიკურ და ემოციურ დატვირთვას, გულს გაუფრთხილდით. კარგი დღეა ძვირფასი ნივთების, საჩუქრების შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ახალი სამსახურის დასაწყებად, იურიდიული საქმეებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ხელშეკრულების დადება, ფინანსური გარიგება, ბინის შეცვლა, მცენარეების დარგვა-გადარგვა, სიმძიმეების აწევა, ცხოველებით ვაჭრობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი, ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ბრილიანტი, სარდიონი, ქარვა, სერდოლიკი, ყვითელი იასპი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 21 ოქტომბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.20 საათზე, ჩადის 17.11 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 01.37 საათზე, ჩადის 15.46 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 02.35 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ნაკლებად ილაპარაკეთ და მეტად ისმინეთ. სამყარო გამოცდას გვიწყობს შინაგან სიმტკიცესთან, სანდოობასთან, ერთგულებასთან, დასახული მიზნის ჭეშმარიტებასთან მიმართებით. კარგი დღეა საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, აუდიტისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, ვაჭრობისთვის, დალაგებისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი-ქონების ყიდვა-გაყიდვა, სარისკო ქმედება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის.

## 22 ოქტომბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.21 საათზე, ჩადის 17.10 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 02.43 საათზე, ჩადის 16.02 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 03.55 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 22.17 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სასიკეთოა მშვიდად დასვენება. დღეიდან დიდი კოსმოსური მასწავლებელი **პლანეტა სატურნი** კვლავ დირექტიული ხდება, რაც ხელს შეუწყობს კარიერულ აღმასვლას, ახალი ინიციატივის, გლობალური პროექტების განხორციელებას, უფროსი და უმცროსი თაობების ურთიერთგაგებას, ბიუროკრატიის შემცირებას. დღეს დეტალურად დაგეგმეთ ჩასატარებელი სამუშაო. კარგი დღეა კონსულტაციის მისაღებად, საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, ვაჭრობისთვის, აუდიტისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ნიშნობა, უძრავი ქონების შეძენა ან გაყიდვა, გარისკვა და სულსწრაფობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 23 ოქტომბერი, კვირა

მზე გადაინაცვლებს (14.37) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.22 საათზე, ჩადის 17.08 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (05.25) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 03.49 საათზე, ჩადის 16.23 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 05.16 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 05.25 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს მზე გადაინაცვლებს **ღრიანკალის ზოდიაქოში** და ადამიანებში გააძლიერებს ორგანიზებულობას, პასუხისმგებლობას, მებრძოლ სულისკვეთებას, ლიდერულ მონაცემს, ინტუიციას, შრომისუნარიანობას, ნებისყოფას და ასევე ეჭვიანობას, სიჯიუტეს, სარკაზმს, განაწყენებასა და სამაგიეროს გადახდის სურვილსაც. ამავდროულად, **პლანეტა ვენერა** გადაინაცვლებს **ღრიანკალის** ზოდიაქოში (16 ნოემბრამდე), რაც ხელს შეუწყობს ფინანსების მოზიდვას პარტნიორის მეშვეობით, ავტომობილების ყიდვა-გაყიდვით, საბანკო სექტორის საშუალებით, პედაგოგიური მოღვაწეობით. ამ პერიოდში ეცადეთ, თქვენი გეგმები, ურთიერთობები და ქმედებები მაქსიმალურად საიდუმლოდ შეინახოთ. დღეს კარგია ქორწინება, შემოქმედებითი მუშაობა, მეგობრული კონტაქტები. არ არის სასურველი ზედმეტი სითხის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.





**19 ოქტომბერი – ხსენება წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა თომასი**

17 ოქტომბერი. ორშაბათი. მღვდელმოწამისა **ევდემოზ I**-ისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა; მღვდელმოწამისა **იეროთესისა,** ათენელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: **გაიოზისა, ფავსტოსისა, ევსევისა და ქერიმონისა;** მღვდელმოწამისა **პეტრე** კაპეტოლიელი ეპისკოპოსისა.

✝ 18 ოქტომბერი. სამშაბათი. ღირსისა **გრიგოლ ხანძთელისა,** კლარჯეთის სავანეთა აღმაშენებელისა და არქიმანდრიტისა; ტაო-კლარჯეთის უდაბნოთა ღირსთა მამათა და დედათა; მღვდელმთავართა: **სტეფანე მტბევარისა, ზაქარია ანჩელისა, მაკარი ანჩელისა, ეზრა ანჩელისა, საბა იშხნელისა;** ღირსისა მამისა **იოანესი,** ბაღდათს სარკინოზთაგან მოკლულისა; ღირსთა მამათა: **თეოდორე ნეძველისა, ქრისტეფორე კვირიკეწმიდელისა, ამონასი, პეტრესი, სამოელისა, ანდრიასი, ამბა გიორგისი, მაკარისი; შიო სასწაულმოქმედისა, გიორგისი, მიქაელისი, პავლესი, ბასილისი; ხვედიოსისა, ეპიფანესი, მატოსი, ზენონისი, არსენისი, იოვანესი, ბასილისი, დიმიტრიოსისა, არსენისი, მაკარისი, თეოდორესი, გაბრიელისა, გიორგი მერჩულესი; მიქელ პარეხელისა** და მოწაფეთა მისთა: **ბასილისა** და **მარკელაოსისა, დავითისა, იაკობისა; გრიგოლისა, სოფრონისა; ზაქარია ბარეთელთელისა, ილარიონ პარეხელისა, ილარიონ** უბის მამასახლისისა; ღირსთა დედათა: **თებრონიასი** და **თემესტიასი, ანატოლე დაყუდებულისა** და **ანასტასიასი;** მოწამისა **ხარიტინასი;** მღვდელმოწამისა **დიონისესი,** ალექსანდრიელი ეპისკოპოსისა; მოწამისა **მამელხვა სპარსელისა.**

✝ 19 ოქტომბერი. ოთხშაბათი. წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა **თომასი.**

✝ 20 ოქტომბერი. ხუთშაბათი. ღირსისა **იოსებ ხუცისა,** მოხევისა, სასწაულმოქმედისა; მოწამეთა: **სერგისა** და **ბაქოსი;** მოწამეთა **იულიანე ხუცისა** და **კესარი დიაკონისა;** მოწამისა **პელაგია ტარსიელისა;** მოწამისა **პოლიქრონი ხუცისა.**

✝ 21 ოქტომბერი. პარასკევი. ღირსისა **პელაგია ელეონელისა;** ღირსისა **ტაისიასი;** წმიდისა **პელაგია ქალწულისა.**

✝ 22 ოქტომბერი. შაბათი. მოციქულისა **იაკობ ალფესისა;** ღირსთა **ანდრონიკესი** და ცოლისა მისისა **ათანასიასი;** მართლისა **აბრაჰამ მამამთავრისა** და ძმისწულისა მისისა **ლოთისა;** მოწამეთა **ებენტი** და **მაქსიმე** მხედართა; წმიდისა **პოპლია** აღმსარებელისა, ანტიოქიელი **დედათდიაკონისა;** ღირსისა **პეტრე გალატიელისა.**

✝ 23 ოქტომბერი. კვირა. მოწამეთა **ევლამპისი** და დისა მისისა **ევლამპიასი;** მოწამისა **თეოტეკნისა;** ღირსისა **ბასიანე** მონაზონისა; ღირსისა **თეოფილე** აღმსარებელისა; ღირსისა **ამბროსი ოპტელისა.**


თამარისი Tamarisi

დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38

571 19 93 93 598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics

«კათარზისი» იწვევს!

ასოციაცია „კათარზისის“ თავშესაფარში ვიწვევთ ცხოვრების მსურველ საპენსიო ასაკის, თვითმოვლის უნარის მქონე ხანდაზმულ ქალბატონებს.

295 78 76, 558 19 41 30



დეტალური ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით 10-დან 18 საათამდე



მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კასტა; 5. ლაქია; 9. მოკო; 11. ვახტი; 12. დერბი; 14. თერგი; 15. მორგი; 16. ტეიდე; 17. ზანგი; 18. დანტე; 19. იმაგო; 22. ტუმბა; 23. რაისი; 24. ზიჩი; 26. სადია; 27. მეგერა; 29. მი; 30. ნიაზი; 31. ვერმუტი; 32. ადლი; 33. ღიმილი; 36. რაში; 37. სიძე; 39. მილედი; 42. მაო; 43. უტევანი; 44. აკრი; 45. ფენა; 46. სოსისი; 47. ნეი; 48. ეტალონი; 50. სი; 51. ალია; 54. აპოლოგეტი; 57. იდილია; 61. ლიგურია; 62. რერიხი; 64. გორილა; 65. პიკადორი; 69. როტონდა; 70. ლა; 71. ტირანა; 72. სტივიდორი.

შვეულად: 1. კეთრი; 2. სირმა; 3. ავიზო; 4. ახუნდი; 5. ლიმიტი; 6. ქურუმი; 7. ადიდასი; 8. ტრინიდადი; 9. მიტერანი; 10. კრიმინალი; 13. მერიქიფე; 20. მოემი; 21. გრემი; 24. ზავი; 25. ჩარჩი; 28. ბურე; 29. მირი; 32. აშიკი; 33. ღრუბელი; 34. მხედარი; 35. ლიანოსი; 37. სოფია; 38. ძუნწი; 39. მისია; 40. ლესკო; 41. დესპოტი; 42. მინი; 49. კევრი; 50. სილვა; 52. ლორდი; 53. ავარია; 55. პირატი; 56. აგრო; 58. დიონი; 59. ლაიკა; 60. არარა; 63. ხანა; 65. პას; 66. კაი; 67. დეი; 68. რიო; 70. ლი.

პანორამაზანგიომალოკალიუმიაკინიკაპილარიქსი
დეკალოგინიხრიკიმონოკლიმატინეონილიმონიტორი

| ხედი ზემოდან | შავკანიანი | სოფელი თუშეთში | ქიმიური ელემენტი, მეტალი | სახალხო პოეტი-მომღერალი ყაზახეთში | წვრილი სისხლძარღვი | ლათინური X-ის სახელი |
|---|---|---|---|---|---|---|

| მოხატული ჭერი | ... ჩხიკვაძე | კეთილთვისებიანი სიმსივნე | კაფე, რესტორანი გერმანიაში | ესკიმოსების ნავი | სახის ნაწილი | ფიჭვისებრთა ოჯახის მცენარე |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. კარჩაკეტილი საზოგადოებრივი დაჯგუფება; 5. ხელზე მოსამსახურე მამაკაცი; 9. ყავის სახეობა; 11. მორიგეობა გემზე; 12. 3-4-წლიანი ცხენების დოღი; 14. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 15. საცხედრე; 16. ვულკანი კანარის კუნძულებზე; 17. შავკანიანი; 18. „ღვთაებრივი კომედია“ (ავტორი); 19. მწერის განვითარების ერთ-ერთი სტადია; 22. საწოლთან დასადგმელი პატარა კარადა; 23. აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი; 24. უნგრელი მხატვარი; 26. სახორცე ქათმის ჯიში; 27. ერთ-ერთი ერინია ბერძნულ მითოლოგიაში; 29. მესამე ნოტი; 30. ტაჯიკი სახალხო მწერალი; 31. დასპირტული ღვინო; 32. სიგრძის საზომი ძველი ერთეული; 33. კ. გამსახურდიას „დიონისოს...“; 36. ზღაპრული ცხენი; 37. ქალიშვილის ქმარი; 39. დიდგვაროვანი გათხოვილი ქალის ხსენება ინგლისში; 42. ჩინელი ბელადი; 43. 143 ნაბიჯი ძველად; 44. მიწის საზომი ერთეული ინგლისში; 45. შრე, პლასტი; 46. მოსახარში წვრილი ძეხვი; 47. ნაპოლეონის მარშალი; 48. რისამე საზომი სტანდარტი; 50. მეშვიდე ნოტი; 51. ქართული გაზეთი; 54. ვისიმე ან რისიმე დამცველი; 57. უშფოთველი ცხოვრება; 61. სამხრეთ იტალიის ოლქი; 62. რუსი მხატვარი; 64. ადამიანის მსგავსი მაიმუნი; 65. კორიდის ცხენოსანი მონაწილე; 69. გუმბათიანი მრგვალი ნაგებობა; 70. მეექვსე ნოტი; 71. ალბანეთის დედაქალაქი; 73. პირი, რომელიც განაგებს გემების დატვირთვა-გადმოტვირთვას უცხოეთის პორტებში.

შვეულად: 1. კანის მძიმე დაავადება; 2. ოქრომკედი; 3. სწრაფმავალი გემი; 4. მაჰმადიანებში სჯულის მცოდნე; 5. ზღვრული ნორმა; 6. წარმართებში კულტის მსახური; 7. სპორტული ნაწარმის გერმანული ფირმა; 8. სახელმწიფო ვესტ-ინდოეთში ... და ტობაგო; 9. საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი; 10. სისხლის სამართლის დანაშაული; 13. ღვინის დამსხმელი სუფრაზე; 20. ინგლისელი მწერალი; 21. ტაძარი კახეთში; 24. შეთანხმება მეომარ მხარეთა შორის ომის შეწყვეტის შესახებ; 25. ვაჭარი ძველად; 28. რუსი ჰოკეისტი; 29. რუსული ორბიტალური სადგური; 32. ნ. ლორთქიფანიძე „სოფლის ...“; 33. „წვიმის წყარო“; 34. ჭადრაკის ფიგურა; 35. სავანის ტიპი; 37. ბულგარეთის დედაქალაქი; 38. გიორგი ერისთავის პიესა; 39. საგანგებო დავალება; 40. შევალიე დე გრიეს სატრფო მანონ...; 41. ტირანი; 42. მოკლე კაბა; 49. პურეულის გასალეწი ძველებური იარაღი; 50. კალმანის ოპერეტა; 52. ინგლისის თავადაზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული; 53. ავტოკატასტროფა; 55. მეკობრე; 56. აგრონომიასთან დაკავშირებული თავსართი; 58. მომღერალი სელინ ...; 59. ძაღლის ჯიში; 60. თუთიყუშის სახეობა; 63. ერა, ეპოქა; 65. უარის თქმა ბანქოს თამაშში; 66. ვაჟა-ფშაველა „... ყმა“; 67. ამერიკელი მომღერალი ქალი; 68. ოსტაპ ბენდერის ოცნების ქალაქი; 70. ბრიუს ...

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ბიბლიის ათი მცნება | ტარიფი | იაპონური ეროვნული სამოსი | ჯავა | „გასანათებელი“ გაზი | ციტრუსი | ნადირის თათი |
|---|---|---|---|---|---|---|

| სიმებიანი მუსიკალური საკრავი | ლეიბი, საბანი და ბალიში | ოინი | დასაკეცი სათვალე | ქალის დილის ხალათი | NBA-ის კალათბურთელი | სატელევიზიო გამოსახულების საკონტროლო მოწყობილობა |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

- სასიამოვნო, სასიკეთო დღე.
- პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.
- მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.
- ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.
- მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.
- მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.
- მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.
- მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.
- რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.
- ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.
- შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.



- რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.
- შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.
- კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.
- მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.
- წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.
- სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.
- ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.
- შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.
- შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.
- გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.
- იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2022 წლის 17 — 23 ოქტომბერი №43 (1455)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლღინგი "ასავალ-ღასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-ღასავალი"

სარედაქციო კოლეგია



*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*



წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: 215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**



THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA Acting Architect of the Capitol